

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Shota Rustaveli State University

ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო
ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო
არქიტექტურის ნიმუშები)

Cultural heritage monuments of the central part of
historical Tzanika: Fortifications, churches, samples of communication
and household architecture

UDC(უკ) 726:27-523.4+726:523.42+728.03](479.222+560)
ი-892

ანოტაცია

ნაშრომში ტრაპიზონსა და გუმუშხანეში 2016-2018 წწ საველე მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წერილობით და სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ისტორიული ჭანეთის ცენტრალური ნაწილის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები, არქეოლოგიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი, ძველი გზები. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა. ვფიქრობთ, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული ჭანეთით დაინტერესებულ მკითხველს.

Annotation

The monograph deals with the fortifications, churches, roads and samples of household architectural constructions in central part of historical Tzanika studied on the basis of the evidence collected during academic visits to Trabzon and Gümüşhane, written and other types of sources, some issues of archaeology and toponymy, ancient roads. The monograph is supplied with large English summary, rich illustrative and graphic materials. We assume it will be useful for historians, archaeologists, ethnologists, art historians, linguists and everyone interested in historical Tzanika.

რედაქტორები: შ. მამულაძე, ე. კახიძე

Editors : Shota Mamuladze and Emzar Kakhidze

სარედაქციო საბჭო: ა. კახიძე, შ.მამულაძე, გ.გრიგოლია, ე. კახიძე, მ. ფაღავა, მ.ხალვაში, თ.ფუტკარაძე, ნ.ხახუტაიშვილი, მ.ჭიჭილეიშვილი, კ. ქამადაძე

Editorial Board: A.Kakhidze, S. Mamuladze, G. Grigolia, E. Kakhidze, M. Pagava, M.Khalvashi, T. Putkaradze, N.Khakhutaishvili, M. Chichileishvili, K. Kamadadze

მთარგმნელი: ა. კალანდია

Translated by A. Kalandia

ISBN 978-9941-8-1990-2



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

სარჩევი

წინასიტყვაობა (შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე)-----	7
შესავალი (ემზარ კახიძე)-----	8
I თავი. საფორტიფიკაციო და საგზაო ნაგებობანი (შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, კახაბერ ქამადაძე, სულხან მამულაძე, ელგუჯა მაკარაძე) -----	13
§ 1. ზღვისპირა ზოლის ციხეები -----	13
§ 2. დელირმენდერეს ხეობის ციხეები -----	22
§ 3. გუმუშხანეს რეგიონის ციხეები -----	28
§ 4. ხარშიტის ხეობის ციხეები -----	49
§ 5. ძველი გზები და საგზაო ნაგებობანი -----	55
II თავი. საყოფაცხოვრებო და საკულტო არქიტექტურის ნიმუშები -----	70
§ 1. საცხოვრებელი და სამეურნეო არქიტექტურის ნიმუშები (თამაზ ფუტკარაძე) -----	70
§ 2. საკულტო არქიტექტურის ნიმუშები (შოთა მამულაძე, კახაბერ ქამადაძე) -----	84
III თავი. ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალები -----	88
§ 1. ლინგვისტური დაკვირვება ტრაპიზონის შემოგარენის გეოგრაფიულ სახელებზე (ომარ მემიშიში) -----	88
§ 2. არქეოლოგიური ძეგლები (ამირან კახიძე, შოთა მამულაძე, მერაბ ხალვაში) -----	92
დასკვნა (შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე) -----	109
ინგლისური ტექსტი -----	111
გამოყენებული ლიტერატურა -----	133
ტაბულების აღწერილობა -----	140
ტაბულები -----	145

Table of Contents

Foreword (Shota Mamuladze, Emzar Kakhidze) -----	7
Introduction (Emzar Kakhidze) -----	8
I. Fortifications and road constructions (Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Kakhaber Kamadadze, Sulkhan Mamuladze, Elguja Makaradze) -----	13
§ 1. Seaside forts -----	13
§ 2. Değirmendere valley forts -----	22
§ 3. Gümüşhane region forts -----	29
§ 4. Harşit valley forts -----	49
§ 5. Old roads and road constructions -----	55
II. Samples of household and cult architecture -----	70
§ 1. Samples of dwelling and farm architecture (Tamaz Putkaradze) -----	70
§ 2. Samples of cult architecture (Shota Mamuladze, Kakhaber Kamadadze) -----	84
III. Toponymic and archaeological evidence -----	88
§ 1. Linguistic observation of the toponyms of the suburbs of Trabzon (Omar Memishi) -----	88
§ 2. Archaeological sites (Amiran Kakhidze, Shota Mamuladze, Merab Khalvashi) -----	92
Conclusion (Shota Mamuladze, Emzar Kakhidze) -----	109
English summary -----	111
Bibliography -----	133
List of illustrations -----	140
Illustrations -----	145

წინასიტყვაობა

ჯერ კიდევ 2011 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა (ამირან კახიძე, შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, მერაბ ხალვაში, თამაზ ფუტყარაძე, კახაბერ ქამადაძე) დავიწყეთ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის რეგიონის თურქული მონაკვეთის (ისტორიული ჭანეთი) შესწავლა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში 2014 წ. სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ჩვენი კვლევის შედეგები: „ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები)“.

2016 წ. ჩვენმა ჯგუფმა, რომელსაც ბსუ-ს დოქტორანტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი სულხან მამულაძეც დაემატა, გააგრძელა ზემოთხსენებული კვლევები. ამჯერად, ჩვენ ტრაპიზონსა და გუმუშხანეს რეგიონებში დაცული მატერიალური კულტურის ძეგლებს „მივადექით“. მათგან უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურული ნაგებობები, რომელთა იდენტიფიცირება, აზომვა, გეგმების, ჭრილების და სხვა არქიტექტურული ნახაზების, თუ სიტუაციური რუკების დამზადება, ფოტო და ვიდეოფიქსაცია, GPS კოორდინატების მონაცემების რუკაზე დატანა განხორციელდა სრული სამი წლის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში ძირითად სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ნაყოფიერად იმუშავა დამხმარე პერსონალმა: გიორგი დუმბაძემ (მხატვარ-არქიტექტორი), ლილე თანდილავამ (თურქოლოგი), ელგუჯა მაკარაძემ (ფოლკლორისტი), ომარ მემიშიშიმ (ენათმეცნიერი), ანა კალანდიამ (მთარგმნელი) და თამილა ვარშანიძემ (სპეციალისტი). ყოველ მათგანს ჩვენ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

შ. მამულაძე, ე. კახიძე
20 ნოემბერი,
2019 წ.

შესავალი

ისტორიულ ჭანეთზე გამოცემულ წინანდელ მონოგრაფიაში (იხ. მამულაძე, კახიძე, 2014: 7-12), ჩვენ შევეხეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის, ჭანეთის ისტორიულ გეოგრაფიას. ძირითადად, შუა საუკუნეების წყაროებზე დაყრდნობით ამ მხარეს სამ ნაწილად ვყოფდით: 1) რიზეს მხარე (ლაზია, ლაზივ); 2) ტრაპიზონის ოლქი (ქალდია/ხალდია/ჭანივი/მეგრელთა ქვეყანა); 3) კოტიორა-კერასუნტის რეგიონი (პონტოს ადგილნი/ხალიზია). აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეთნონიმები ქალდია, ლაზეთი, ჭანეთი და სხვ. მთელ რეგიონზე, ან მის დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა (ინგოროყვა, 1954: 267-273; ტერელაძე, 1959: 155; მუსხელიშვილი, 1977: 59; გაბაშვილი, 1998: 143-145; Максимова, 1956: 13-15).

ამჯერად ჩვენ ტრაპიზონისა და გუმუშხანეს ოლქები, ანუ ზემოთ შემოთავაზებული გეოგრაფიული დაყოფით ცენტრალური ჭანეთი გვანტერესებს. მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ოფიდან იწყებოდა (იხ. Карпов, 2007: 35). ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით “ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრეთით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ასე შავი ზღვის კიდის წადევნებით გონიოდან ტრაპიზონის საზღვრამდე არს ქალაქი მცირე რიზა ზღვის კიდეზედ, ხოლო ამის დასავლეთით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა - ტრაპიზონისა...აქ არს რკინის პალო, აქავ არს სატყაპელა¹¹ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 142-143). უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ქართველი გეოგრაფოსი თანდართულ რუკებზე ჭანეთს სწორედ აღმოსავლეთ ნაწილს უწოდებს (ერთ ადგილას ათინამდე, მეორეგან რიზემდე), ხოლო ჩვენთვის საინტერესო რეგიონს ლაზეთად მოიხსენიებს, რომლის სამხრეთითაც ბაიბურთია. როგორც ჩანს, ეს უფრო მოგვიანო რეალიების ამსახველი უნდა იყოს. დაახლოებით ასეთ სურათს იძლევა XX ს პირველ ნახევარში მოღვაწე ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთიოსი (იხ. ანდრიაძე, 2016: 16-17).

რაც შეეხება ანტიკურ წყაროებს, ყველაზე სანდო, ისევე როგორც მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტოსპირეთთან მიმართებაში, სტრაბონის „გეოგრაფია“ მიგვაჩნია: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ხალდეები და სანნები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს“ (Strabo, XII, 3, 19).

სანნებმა, იგივე ჭანებმა² კი ძვ.წ. I ს ტრაპეზუნტისა და ხარშიტის ხეობის მიდამოებში მცხოვრებ მაკრონთა სატომო სახელი გადაფარეს. იგივე ბედი უნდა გაეზიარებინათ ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრებ ე.წ. სამხრეთელ კოლხებს და ამ ქალაქის სამხრეთ-

¹ სოტოროპოლისი, იგივე ოფი.

² არიანე მოგვითხრობს: „ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტეც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უფულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტე დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანნები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველითგანვე რომაელების მოხარკვა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი. მაგრამ, ამის შემდეგ თუ ღვთის ნება იქნება აწ წესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ მას გავამეფებთ ქვეყნიდან“ (Arr., PPE, 6).

აღმოსავლეთით მაღალ მთებში ბინადარ დრილებსა და მათ მეზობელ ჰეპტოკომეტებს (შკვითინები).³

ჭანებზე ყველაზე უფრო ამომწურავად ახ.წ. VI ს ავტორი პროკოპი კესარიელი წერს, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი, ძირითადად, ჩვენს მიერ მოხაზულ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ და ნაკლებად ემორჩილებოდნენ ბიზანტიურ დიქტატს. პროკოპი თავის ცნობილ ნაშრომში „შენობების შესახებ“ (იხ. პროკოპი კესარიელი, 2006) დაწვრილებით აღწერს იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჭანეთის ბიზანტიის იმპერიაში ინკორპორაციის საქმეში (კახიძე, 2002b: 116-130). დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა იუსტინიანეს „ნოველებსა“⁴ და აგათია სქოლასტიკოსთან შემორჩენილი ცნობები.⁵

³ ამ ტომებზე ყველაზე უფრო დაწვრილებით ქსენოფონტე მოგვითხრობს: ხალიბების ქვეყნის გავლის შემდეგ ელინები მივიდნენ მდ. ჰარპასოსთან (მდ. ჭოროხი). აქედან შევიდნენ შკვითინების ქვეყანაში, სადაც მათ მეგზური იახლეს. კიდევ უფრო ჩრდილოეთით განლაგებულ მაკრონების მიწა-წყალზე საინტერესო ამბავი მოხდა. ბერძნებს აქ ადგილობრივთა ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმათ. ერთ-ერთმა ბერძენმა მეომარმა, წინათ ათენში მონად ნამყოფმა, ქსენოფონტეს განუცხადა, რომ მას ესმის ეს ენა. გარკვეული გაუგებრობების მიუხედავად, მაკრონებმა და ელინებმა საერთო ენა გამონახეს. ამის დამადასტურებლად შუბებიც კი გაცვალეს. ქსენოფონტეს მტრულად განწყობილი ტომებიც დახვდა, რომელთაგან ხარშიტის ხეობაში მცხოვრები დრილები და ტრაპიზონელთა მეზობელი კოლხების ერთი ნაწილი უნდა გამოეყოთ (Xen., Anab., IV-V). მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ფლავიუს არიანე. მისი ცნობით, მდ.ოფისი (სულაკლი) კოლხთა და თიანიკეს (ჭანების) ქვეყნებს ჰყოფდა (PPE, 7). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მდ.არქაბისიდან ოფიუნტამდე ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მაქერონებისა და ჰენიოხების სამეფო მდებარეობდა (Anon., PPE, 42), მაშინ თიანიკეს ქვეყანა ჰინტერლანდშია სამეზობარი. ამის დამადასტურებელია ახ.წ. VI ს წყაროებიც (Proc., Aed. III, 6-7, Agath., V, 1). როგორც ჩანს, პარალელურად ჭანები ჩრდილოეთით, ზღვისკენაც მიიწევდნენ. არიანეს ზემოთ ციტირებულ ტექსტს თუ განვავრცობთ („ამათ (იგულისხმებიან ჭანები, ე.კ.) გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა“), გამოჩნდება, რომ თუ მდ.პრიტანიდის მდებარეობას ათინადან დაშორებულობის მანძილის მიხედვით ვივარაუდებთ, მაშინ მაკრონების და ჰენიოხების მეფის, ანქიალეს სასახლე დაახლოებით ახლანდელი ვიწეს მახლობლად უნდა ვიგულისხმოთ (კეკელიძე, 1961: 10) და შესაბამისად მდ. ოფიდან მოყოლებული ჭანების მიწა-წყალი ყოფილა. ამ მხრივ საინტერესოა ევსევი კესარიელი (260-340 წწ), რომელიც აღნიშნავს: „კაპადოკიის გადაღმა მარჯვნივ არიან არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხნივ სკვითები, კოლხები და ბოსპორელები, აგრეთვე [სანნები], რომლებსაც სანნიგები ეწოდებათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი [კაუსილიმანი] და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (Frick, 1892: 216-219). ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიელ ავტორებთან ე.წ. სამხრეთელი კოლხები საერთოდ ქრებიან. მაგ., პროკოპი სუსარმიამდე და რიზემდე განლაგებულ მიწებს ტრაპეზუნტელებისას ეძახის (Bel. Goth., IV, 2).

⁴ „ჭანები, რომელნიც მხოლოდ ახლა მოიქცნენ რომაელთა ძალაუფლების ქვეშ, ქვეშევრდომთა რიცხვში გვეყვანდნენ. ასეთი რამ დღემდე არასოდეს მიუნიჭებია რომაელებისთვის ღმერთს, – მხოლოდ ჩვენს მეფობაში მოგვენიჭა ეს მაღლი“ (Imp.Iust. Novell., XXXI).

⁵ „ჭანები ცხოვრობენ ევქსინის პონტოს სამხრეთით ქალაქ ტრაპეზუნტის ქვემოთ; თუმცა ეს ჭანები ძველითგანვე რომაელებთან დაზავებულნი და მათი ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ მაშინ მათი ერთი ნაწილი წინანდელ მშვიდობიან წესებს იცავდა და სრულიადაც არ ფიქრობდა ურჩობას, უმეტესი მათგანი კი შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდა და ყაჩაღობას მისდევდა, დათარეშობდა პონტოს გასწვრივ მდებარე სოფლებში, ანადგურებდა ყანებსა და მარცვადა მგზავრებს; ისინი თავს ესხმოდნენ არმენიასაც, სადაც კი ახერხებდნენ, მარცვა-გლეჯას ეწეოდნენ და ერთი სიტყვით, სრულიად არაფრით განირჩეოდნენ აშკარა მტრისაგან. ამიტომ, მათ წინააღმდეგ გაიგზავნა თეოდორე ჭანი, რომელსაც რომაელ სამხედრო მეთაურებს შორის პირველი ადგილი ეკავა. მან, როგორც ქვეყნის კარგმა მცოდნემ, იცოდა თუ საიდან დასხმოდა მათ თავს, სად დაბანაკებულიყო; ზედმიწევნით იცოდა აგრეთვე, თუ როგორ მიეგნო მტრის კვალისათვის, – ასე რომ სრულიად მიზანშეწონილი იყო, რომ მეფემ მას დაავალა ეს საქმე. ის დაიძრა კოლხიდიდან დიდძალი ჯარით, ფასისს გადაღმა მოუარა, დასავლეთით ჭანების საზღვრებს და უცბად შევიდა მტრის მაშინდელი

ქანების დამორჩილების შემდეგ იუსტინიანემ მათი საცხოვრისი ქ. ტრაპეზუნტთან ერთად, დაუქვემდებარა ახლად შექმნილ პროვინცია არმენია I მაგნას. ახ.წ. VII ს მეორე ნახევარში, თემების სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, მთელი ყოფილი პონტოს სამეფოს რეგიონი გახდა არმენიაკონის თემის (კაპადოკიის მიწებთან ერთად) ნაწილი, თავდაპირველად როგორც ხალდიის სამმართველო, შემდეგ კი ახ.წ. 824 წ-თვის ducatus-ად ჩამოყალიბდა. მისი სტრატეგოსი მოხსენიებულია „გიორგი ამასტრიელის ცხოვრებაში“ (d.ca. 802-7, ca. 825). IX ს არაბი გეოგრაფოსი იბნ ხორდადბეჰი აღწერს, რომ ქალდიის თემი ითვლიდა 6 ციხესიმაგრეს, ქუდამა იბნ ჯაფარის (X ს) ცნობით კი „ხალდიიდან 4000 მებრძოლი გამოჰყავდათ“ (http://umurgulia82.blogspot.com/2017/02/blog-post_12.html).

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო რეგიონს ადრებიზანტიური ხანიდან უფრო ხალდია (ქალდია) ეწოდებოდა. ქანები უცხოურ წყაროებში ბოლოს X ს ავტორ ელ-მასუდს ჰყავს მოხსენიებული (იხ. Bryer, 1966: 174-195). თუმცა, ტრაპიზონის იმპერიის პერიოდში მათი სახელი გუმიშხანეს ძველ დასახელებასა და აქაურ მმართველების (ქანიხიტები)

მიწა-წყლის შუა გულში. მან დაიბანაკა ქალაქ თეოდორიადისა (დღევ. თორდოვათი, ე.კ.) და ე.წ. რიზეს გარშემო, იქ ჯარისათვის შემოავლო თხრილი და თავისთან მოიხმო ქანების ის ნაწილი, რომელიც წყნარად და მეგობრულად იყო განწყობილი და ჯერ არ გამდგარიყო; ესენი მან საჩუქრების საშუალებით თავისკენ მიიძბრო და ძალიან უქო კეთილგონიერება; ისინი კი, ვინც უტიფრად განდგა და პირობები დაარღვია, გადაწყვიტა დაესაჯა, რაც შეიძლებოდა მალე და შეუდგა ომის სამზადისს. მაგრამ, იმათ აღარ დააყოვნეს და გაჩნდნენ იმ თხრილის წინ; იქვე მახლობლად ერთ გადმოშვერილ ბორცვზე თავი მოუყარეს ლაშქარს და შუბები და ისრები დაუშინეს რომაელებს ზემოდან, ისე რომ რომაელების მთელი ჯარი შეიძრა ქანთა ამ მოულოდნელი სითამამისგან. ბევრი რომაელი მაინც ამოვიდა თხრილიდან და გამშაგებით ეცა მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ისინი უმწყობროდ მოდიოდნენ, არც უცდიდნენ, რომ ისინი ქვემოთ, გაშლილ ადგილას, გაეწვიათ საბრძოლველად; ისინი რისხვას მისცემოდნენ და უმწყობროდ მორბოდნენ; თავ-ზევით გაეშვირათ მრუდე ფარები, თვითონ თავები ჩაექინდრათ და ასე ცდილობდნენ ბორცვზე აცოცებულიყვნენ. ქანები კი ხშირ-ხშირად უშენდნენ ზემოდან შუბებს, აგორებდნენ ქვებს და სწრაფად განდევნეს მოწინააღმდეგენი: გამოდრუნენ საფარიდან და ორმოცამდე კაცი მოკლეს, დანარჩენები კი სამარცხვინოდ აოტეს. ამ მოულოდნელი გამარჯვებით გათამამებული ბარბაროსები სასწრაფოდ მიუახლოვდნენ ბანაკს; აქ ატყდა ფიცხელი ბრძოლა: ქანები ცდილობდნენ შიგნით შეჭრილიყვნენ და ყველანი დაეწიოკებინათ, რომაელებს კი სამარცხვინოდ მიაჩნდათ არა მარტო ის, რომ მტერს სწრაფლ ვერ გააგდებდნენ, არამედ ის – თუ საბოლოოდ ვერ მოსპობდნენ მას. ორივენი ეცნენ ერთმანეთს, შეეპირისპირნენ, ხელდახელაც შეეხნენ და ოდნავაც არ შეუსუსტებიათ გულადობა. ასე მიმდინარეობდა ბრძოლა მეტწილად თანაბარი წარმატებით ორივე მხარისათვის: იქაურობა შეძრა აურზაურმა და შერეულმა ყვირილმა; ბრძოლა გადაუწყვეტელი დარჩა. თეოდორემ დაინახა მოწინააღმდეგენი უსარდლოდ იყვნენ და მაინცადამაინც არც უშიშარ პირობებში უხდებოდათ ბრძოლა; დაინახა ისიც რომ თხრილის ყველა ადგილას კი არ იყვნენ ჩამდგარნი, არამედ ყველანი ერთ ადგილს ჩაჰკირკიტებდნენ, უბრძანა ზოგიერთ ჯარისკაცებს თავიანთ ადგილას მდგარიყვნენ და ასე გაეწიათ წინააღმდეგობა მტრისათვის; მეტი წილი ჯარისა კი ფარულად გააგზავნა და დაავალა ზურგიდან დასცემოდა ბარბაროსებს. ისინიც ჩუმად წავიდნენ და ზურგით რომ მოექცნენ მტერს, მორთეს საზარელი და სმენის წამლები ყვირილი, ისე რომ დაფორიაქებულმა ქანებმა, ცხადია, სხვა ვერაფერი მოისაზრეს და ალყაში მოქცევის შიშით თავზარდაცემულები ლაჩრულად გაიქცნენ. ასე ოტებული და თავგზააზნეული ქანები რომაელებმა ადვილად მოსპეს: 2000 კაცი მოკლეს, დანარჩენები კი სხვადასხვა მიმართულებით გაფანტეს. ასე მთელი ტომი რომ დაიმორჩილა თეოდორემ, მეფეს შეატყობინა ყველაფერი და თანვე შეეკითხა, როგორ მოვიქცე მათ მიმართო. მეფემ უბრძანა განსაზღვრული ყოველწლიური ხარკი დაადე, რათა იმათ შეიგნონ, რომ ისინი ქვეშევრდომნი, მოხარკენი და საბოლოოდ დამორჩილებულნი არიანო. მაშინვე ყველანი აღწერეს და დაავალეს ხარკის გადახდა; მას აქეთ ისინი მუდამ ბეგარას იხდიან. ასე დამთავრდა ქანების თავგასულობის საქმე და თეოდორეც მაშინვე გაბრუნდა ლაზეთში სტრატეგოსებთან“ (Agath., V, 1).

წოდებაში შემორჩა.⁶

ხალდია, ძირითადად, ტრაპიზუნთან ერთად გუმუშხანეს პროვინციას, 2030 მ სიმაღლეზე მდებარე ზიგანას ქედსა და მდინარე ხარშიტის ხეობას შეესაბამებოდა.⁷ ჰინტერლანდში უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი იყო. ზიგანას უღელტეხილი თავისუფლად აკავშირებდა ტრაპიზონს გუმუშხანესა და ბაიბურთთან, შავი ზღვის ქედების მეორე წყება კი ერზრუმთან. უფრო აღმოსავლეთით არაქსის ხეობით ეს გზა ირანამდეც მიდიოდა. გუმუშხანედან არსებული კიდევ ერთი გზა სამხრეთის ქედიდან სპიქორის უღელტეხილით ერზიჯანში გადადის. ასევე უმნიშვნელოვანესი იყო ხარშიტის ხეობა, რომლის ზემო წელს ადრე კანისი (თორულამდე), ხოლო ქვემო წელს ფილაბონიტესი ერქვა. ამ ხეობით გადიოდა ტრაპიზონ-ბაიბურთის ცნობილი საქარავნო გზა.⁸

ბუნება აქ საკმაოდ მკაცრია, მცენარეული საფარი თითქმის არ გვხვდება, ხოლო ხარშიტი, რომელიც ხშირად დიდდება, სულაც არ უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. სასარგებლო წიაღისეულიდან აქ გრანიტი და ვულკანური ქვები, ასევე ცოტა ვერცხლი და უფრო ნაკლები ოქრო შემორჩა. საქმე იმაშია, რომ ეს ერთ დროს ვერცხლით მდიდარი მხარე, რაზეც ამ რეგიონის ცენტრის გუმუშხანეს (არგიროპოლისი) სახელიც მოწმობს, ვერცხლის დამუშავებისთვის აუცილებელი ქურების მოწყობისა და შესაბამისად ბუნებრივი გარემოს ინტენსიური ექსპლუატაციის გამო მცენარეული საფარისაგან დაცარიელდა. ბოლო ვერცხლის მაღარო აქ XIX ს 40-იან წწ დაიხურა (Bryer, Winfield, 1970: 329).

მეცნიერთა, განსაკუთრებით უცხოელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ხალდეები ურარტული მოდგმის მოსახლეობაა. ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურარტუს სახელმწიფოში ბევრი ქართველური ხალხი ცხოვრობდა. საინტერესოა, რომ ჰეროდოტე მაკრონებს ურარტუს შთამომავალთა შორის ასახელებს (II, 104; III, 94). ქსენოფონტეც მაკრონებს ხალდიაში ასახელებს (IV, III, 9), ხოლო სტრაბონი ამბობს, რომ ტრაპიზუნტის ზევით მცხოვრები ხალდეები ადრინდელი მაკრონები იყვნენ (XII, III, 18, 28).

1204 წ-დე ცნობილია ორი დიდი ხალდური დინასტია, რომლებსაც ბიზანტიური ადმინისტრაცია მიზანმიმართულად ავიწროვებდა. ესენია გაბრასები და ქსიფილინოსები. გაბრასების წარმომადგენელი იყო თეოდორე,⁹ რომელიც სელჯუკებმა 1098 წ აწამეს ედრეში, თან. დორთკონაჰში. ქსიფილინოსების საგვარეულოდან იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე (1064-1075 წწ), რომელმაც წმ.ევგენიოსის ტრაპიზონტთან ბმა მოახდინა. უფრო

⁶ ქართული წყაროები, ბუნებრივია, ამ ეთნონიმს დიდი ხნის განმავლობაში არ ივიწყებს. მაგ., ვახუშტი ბატონიშვილი (1973: 142-143).

⁷ ამ თემაზე უახლოესი ნაშრომებიდან იხ. ანდრიაძე, 2012.

⁸ ჯ.პალგრევი, რომელიც ამ ხეობას კხარშუტის სახელით მოიხსენიებს, ასევე უსვამს ხაზს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას (Пальгрев, 1882: 3).

⁹ გაბრა ძველი ჰანური სიტყვა უნდა იყოს და ნიშნავს მამაცს, გმირს (შდრ. გაბრავა). თეოდორეს შვილი გრიგოლ გაბრასი ებრძოდა ალექსი კომნენოსს და დაახლ. 1107 წ ტყვედაც იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, თუმცა ერთი წლის შემდეგ შეიწყალეს და დააბრუნეს ტრაპიზონში ხალდიის თემის გამგებლად. გრიგოლის შვილი კონსტანტინე გაბრასიც 1126-1140 წწ ეურჩებოდა კომნენოსებს, ამჯერად იოანე II. XIII ს დასაწყისიდან გაბრასები ტრაპიზონში გადმოადგილებულ კომნენოსებს ამისოში გაერიდნენ (http://umurgulia82.blogspot.com/2017/02/blog-post_12.html).

მოგვიანებით, კომნენოსებთან დაპირისპირებული ხალდური დინასტიების საამებლად კონსტანტინე ლუკიტესმა (XIV ს) ევგენიოსის თანამოაზრეები ხალდიას დაუკავშირა (Papadopoulos-Kerameus, 1965: 33-51). ხალდია XIV ს ბოლომდე საეპისკოპოს დასახელაბაში შემორჩა (Dictionnaire d'histoire et de géographie ecclésiastiques, s.v. Chaldia).

ჭანური საგვარეულოები (სქოლარიები, მიზიმატები, კავასიტები,¹⁰ ჭანიხიტები,¹¹ კომახიტები) ტრაპიზონის იმპერიის აღმოცენების შემდეგაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ. ისინი ერთის მრივ, ებრძვიან ტრაპიზონის იმპერატორებს, ხოლო მეორეს მრივ, ერთმანეთს უმაღლესი სახელმწიფო-სამოხელეო თანამდებობებისათვის ექიშპებოდნენ (იხ. Успенский, 1929).

ხალდიის თემი, რომლის ცენტრიც ერთ დროს ტრაპიზუნტი იყო, პოსტბიზანტიურ ხანაში ვიწროვდება, ეყოფა მაჭუკის და პალეომაჭუკის თემები და ე.წ. შიდა ხალდიის ტერიტორიით იფარგლება. ის 1479 წ-მდე კაბაციტებისა და ჭანიხიტების მიერ კონტროლირდებოდა. თუმცა, ოსმალური ძალაუფლება, რომელიც აქ 1461 წ-დან დამყარდა თანდათანობით ძალებს იკრებდა, რამაც საბოლოოდ რეგიონის ისლამიზაცია გამოიწვია. ძალზედ ნიშანდობლივია, რომ ახალ რელიგიას მეტწილად სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა მიეძალა.¹² ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით ჭანები „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, მხოლოდ მცირედნი ვინმე მოიპოვებიათ ქრისტიანენი, თუმცა იციან კვლავ ქართული ენა ვიეთთამე“ (1973: 143).¹³

¹⁰ სწორედ ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა მაგ. ჯანჯა, გუმუშხანე. მათ სხვადასხვა დროს ჰქონდათ ხალდიის თემის დუკას თანამდებობა, დიდი დომესტიკისა და დიდი ლოგოთეტის წაოდებანი.

¹¹ მათაც დიდი თანამდებობები ეკავათ, როგორც ხალდიის თემში, ისე ტრაპიზონის იმპერიაში. უკანასკნელში ეჭირათ მაგ. დიდი მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა, რომლის მფლობელი ასევე იყო მაჭუკას ოლქს ჯარის უფროსი. ამ უკანასკნელთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენელი იყო იოანე I, რომელმაც ჯერ კიდევ 1355 წ ხალდიის მომიჯნავე მხარის ხერიანას ცენტრალური სიმაგრე სოროგაიანა გაათავისუფლა თურქებისაგან, თუმცა ეს არ მოეწონა მის სუვერენს, ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი III, რომელმაც 1360 წ იოანე გადააყენა და რეგიონის საკონტროლებლად ახალი ციხე, კოდ-კალე დააფუძნა.

¹² ამის მიზეზად ჩვენს დისერტაციაში (იხ. კახიძე, 2002a) სწორედ უცხოური ძალების ხანგრძლივ დომინაციას ვასახელებთ: „მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავიანთი მიზნების მიღწევა ბიზანტიელებმა ბოლომდე ვერ მოახერხეს, შუა და აღმოსავლეთ ჭანეთში მაინც, მაგრამ უკვე |+ ს თავისუფლებისმოყვარე მთიელები ასე თუ ისე საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩააყენეს, მოწყვიტეს მშობლიურ ეკლესიას, სახელმწიფოს და ნაბიჯნაბიჯ უცხო ქვეყნისადმი სამსახურს შეაჩვიეს. სწორედ ეს უკანასკნელი თვისება საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ ჩაჯდა ამ რეგიონის მკვიდრთა ფსიქოლოგიაში და წარმატებით გამოიყენებოდა მათივე მონათესავე ტომების წინააღმდეგ მიმართულ აშკარა თუ ფარულ გეგმებში და მოგვიანებით თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ ისტორიულ მესხეთში, მათ შორის აჭარაშიც, მორიგი დამპყრობლის ინტერესების ყველაზე უფრო აქტიური გამავრცელებლები (მხედველობაში გვაქვს ისლამის პროპაგანდა) საკმაოდ სარწმუნო მონაცემების მიხედვით სწორედ ლაზები იყვნენ“.

¹³ ინგლისის კონსული ვ. ჯიფფორდ პალჰერი 1868 წ ტრაპიზონში დაწერილ მოხსენებაში ამბობს: „ტრაპიზონის ვილაიეთში, რომელიც შეკვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაქამდის გასტანს, ოფიციალური ცნობებით 850000-მდე მცხოვრებია, მათ შორის 56000 ქრისტიანია (ორი მესამედი თავის თავს ბერძნებს ეძახის, ხოლო დანარჩენი სომხები არიან); მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან; ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არავინ ცხოვრობს, თერევას კაიმაკანში ქ. კერასუნდისკენ ერთს მაზრაში განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობენ“. მისივე ცნობით ტრაპიზონის ვილაიეთი ოთხ სანჯაყად (ოლქად) იყოფოდა. ესენია: ლაზისტანი, ტრაპიზონის ოლქი, ჭანიკი და გუმუშხანე. სულ ოთხივეში ცხოვრობდა 2151750 სული, რომელთა

I თავი. ცენტრალური ჭანეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი

ცენტრალური ჭანეთი ისევე როგორც მთელი ჭანეთი, ორი ტიპის, ზღვისპირა და შიდა საფორტიფიკაციო სისტემებით იყო გამაგრებული. შიდა რაიონებისგან განსხვავებით, სადაც აგებული ციხეები, ძირითადად, ადგილობრივთა ნახელავია, სანაპიროზე განლაგებულნი, უცხოელთა სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა.

§ 1. ზღვისპირა ზოლის ციხეები

იენისელ კალე (Eynesil Kalesi)

(ტაბ. 1-3)

იენისელ კალე (Eynesil Kalesi, Görele, Koralla), ძველი გორელე, კორალა მდებარეობს ქ. ბათუმიდან 257 მილის დაშორებით (GPS კოორდინატები: N 41° 4.730' E 39° 9.792). დასახლება კორალა პირველად არიანესთანაა დადასტურებული (PPE, 24) და ჩვეულებისამებრ, ანონიმთანაც დასტურდება (PPE, 36). ვ.რუგე, ე.წ. “პაული-ვისოვას ენციკლოპედიაში” (Ruge, 1922: s. 1373, s.v. Koralle) ამ პუნქტს ათავსებს გორელეს კონცხზე, რომელიც თანამედროვე ქალაქ გორელედან (ძვ. ფილოკალეა) აღმოსავლეთით, დაახლ. 30 კმ-თაა დაშორებული. აქ დასტურდება ციხე, რომელიც დღესდღეობით უფრო ეინესელის ციხის სახელითაა ცნობილი (<https://www.Ancientportsantiques.com/the-catalogue/bosphorus-black-sea/NB2733>). ნ. კეჭყაყაძე (კეჭყაყაძე, 1961 თანდართული რუკა) კორალას ფოლთან¹⁴ ათავსებს, თუმცა კორალა-გორელეს

³⁴ ჭანები უნდა ყოფილიყო. პროფ. ნ.მარმა ადგილობრივებზე დაკვირვებით გამოარკვია, რომ ისლამის წყალობით ლაზების გათურქება სწრაფი ნაბიჯით წინ წასულა: „ამჟამად ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სინჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სინჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწაწყალიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს უკვე დედაენა დავიწყებული აქვს. და თურქული შეუთვისებია, მეორეში კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია“. პროფ. დ.ზავრიევის გამოანგარიშებით, 1872 წ. ტრაპიზონის საფაშოს დაახ. 940000 მოსახლიდან ლაზების რაოდენობა 600000 ივარაუდება, ხოლო 1940 წ-თვის 298300 და ისიც საორიენტაციოდ. ტრაპიზონის მხარეში თურქებისა და ქურთებს გამოკლებით სხვა დანარჩენი მაჰმადიანური მოსახლეობა ქართველი მაჰმადიანია. პ. შუბინსკი 1911 წ. წერდა, რომ ტრაპიზონის მოსახლეობის 2/3-ს მუსლიმი ლაზები შეადგენენ. პროფეს. ი.ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობების მიხედვით ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა, 80000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. რუსეთის გენერალური შტაბის საიდუმლო გამოცემაში (1912 წ.) გენერალ ავერიანოვს ლაზების რაოდენობა 200000-მდე აქვს აღრიცხული, როდესაც რუსეთის ჯარმა I მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილზე მხოლოდ 35000 ლაზილა იყო დარჩენილი (უფრ.დაწვ.იხ. http://umurgulia82.blogspot.com/2017/02/blog-post_12.html).

¹⁴ მდ. ფოლ-დერეზე განლაგებული ფოლ-პაზარი, თან. ვაკვიკებირი, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ეტიმოლოგიური კავშირი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება (იხ. Bryer, Winfield, 1985: 153-159; Sinclair, 1989: 105).

ციხე დამენებულია ზღვისკენ წინ წაზიდულ კონცხზე, რომლის ძველი სახელწოდებაა კორალა, ხოლო შემდეგში კი გორელე. დღეისათვის ადგილობრივი მოსახლეობა ციხის აქ არსებობის გამო ამ ტერიტორიას იენისელ კალეს უწოდებს. ციხის ფართობი ვიწრო ყელით უკავშირდება ხმელეთს. იგი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა ყოფილა. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ციხე 1811 წელს ტრაპიზონის ფაშას დაუნგრევია (Sinclair, 1989:105). მის გეგმას მთლიანად კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. ციხეზე დაკვირვებით ჩანს, რომ ძველი ნაშთები მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი და იგი მოგვიანო პერიოდში აღუდგენიათ. ამის გამო მას თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს და არ შეესაბამება ძველ ნაგებობათა წყობებსა და კონსტრუქციებს. დაკარგულია გალავნის კედლებისა და კოშკების დიდი ნაწილი, ისე რომ გეგმის წაკითხვა ჭირს. ძველი ნაგებობის ნაშთების წყობაში უხეშად დამუშავებული გარე ზედაპირჩამოსწორებული კვადრებია გამოყენებული. პერანგებსშორისი სივრცე შევსილია დულაბითა და ქვის ნარევით. წყობა ძირითადად თარაზულია. იგი ერთგვარად წააგავს პეტრა-ციხისძირის კედლების წყობას.

ციხე როგორც ჩანს საკმაოდ ადრეული ნაგებობა უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ იგი ადრებიზანტიული ეპოქისაა.

იენისელ კალეს ციხე



იენისელ კალეს გეგმა. შეასრულა. თ. ასაბაშვილმა

მიუხედავად იმისა, რომ სამმხრივ კონცხს ზღვა იცავდა, იგი მაინც ირგვლივ მაღლივი გალავნის კედლებითაა შემოსაზღვრული. „რესტავრაციის“ დროს მშენებლებს გაუთვალისწინებიათ გალავნის კედლების აქა-იქ შემორჩენილი ნაშთები და ამის მიხედვით აღუდგენიათ ციხის მთლიანი გეგმა. თავდაპირველი კედლების სიმცირისა და რესტავრაციის დროს შემორჩენილი დიდი ნაწილის დაფარვის გამო მისი სრუყოფილი აღწერა-დახასიათება

ჭირს. შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მათი კედლები საძირკვლის დონეებამდეა მორღვეული. ციხის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში ამოკვეთილია საკმაოდ დიდი მოცულობის ქვევრისებრი მოყვანილობის წყლის რეზერვუარი. მისგან აღმოსავლეთით საგულდაგულოდ გაუმართავთ ზღვაზე ჩასასვლელი. აქ გალავნის კედლებს შორის დატოვებული სივრცის ბოლო მონაკვეთში დღემდე კარგადაა დაცული კლდეზე ნაკვეთი ზღვაზე ჩასასვლელი საფეხურები.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დასტურდება ასევე კლდეში ნაკვეთი წყალსადინარი. არაა გამორიცხული აქვე გამართული ყოფილიყო მარანიც. მითუმეტეს საწნახელის სამი კედელი (აღმოსავლეთის გარდა) საკმაოდ კარგადაა დაცული. დანარჩენი დაფარულია ეკალ-ბარდით.

ციხის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს რომ ჰქონდა სხვადასხვა მხარეს გალავნის კედლებისაგან წინ გაზიდული ოთხკუთხა გეგმის კოშკები.

საინტერესოაა დღემდე შემორჩენილი ციხის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთის ზღვის კლდოვანი სანაპირო ზოლი. კლდოვანი მასივის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში დაფიქსირდა კლდეში ნაკვეთი წაგრძელებული ოთხკუთხა გეგმის საკმაოდ ღრმა ჭრილები (ოთხი ცალი). არაა გამორიცხული მათი თევზის საშრობად ან სხვა დანიშნულებით ყოფილიყო გამოყენებული. მათგან მოშორებით სამხრეთისაკენ თავის დროზევე ამოუკვეთიათ დიდი ზომის წყლის რეზერვუარი, რომლის ერთი ჩრდილო-დასავლეთი მხარე დამატებითაა ამოშენებული. შესაძლოა ამ კედლით ხდებოდა რეზერვუარის შენიღბვა.

ციხის შესასვლელში მარჯვენა მხარეს შემორჩენილია როგორც ნახევარწრიული, ისე ოთხკუთხა გეგმის კოშკები. ისინი საგულდაგულოდ იცავდნენ ხმელეთიდან ციხეზე მისასვლელ ერთადერთ გზას, რომლის სიფართოე 7-8 მ-ია.

ჯესმეონუ კალე (Cesmeönü Kalesi)

შუა ან გვიანბიზანტიური ხანით დათარიღებული ჩემეონუ კალე (იხ. Sinclair, 1989: 105) მდებარეობს გორელეს კონცხიდან აღმოსავლეთით, დაახლ. 8 კმ. ეს ციხე უნდა შეესაბამებოდეს იუვაბოლუს, ძველ ლიბიოპოლისს, რომელიც პირველად პლინიუსთანაა მოხსენიებული (NH, VI, 11). ბოლო დრომდე მისი იდენტიფიცირება ძალზედ არაზუსტი იყო, ძირითადად ვაკვიკებირსა თუ უფრო დასავლეთით ათავსებდნენ (იხ. Качарава, Квирквелия, 1991: 153-154). The AWOL Index-ის თანახმად ეს ადგილი ბეშიკდუზუს ლიმანთან განლაგებული ჯესმეონუს ციხეა (Cesmeönü Kalesi, <https://www.ancientportsantiques.com/the-catalogue/bosphorus-black-sea/NB2732.1>). ლუნდის უნივერსიტეტის “რომის იმპერიის ციფრული რუკა” ჯესმეონუს მაგივრად იუვაბოლუს ასახელებს. ეს ტოპონიმი იქვე, ბეშიკდუზუს დასავლეთით, დაახლ. 5 კმ-ში დასტურდება.

ციხე პატარა კონცხზე, მდ. ავხისარ დერედან დასავლეთით, 1 კმ-შია. საფორტიფიკაციო ნაგებობა თითქმის მიწასთანაა გასწორებული, მაგრამ ნაშთები ფიქსირდება. 1 მ სისქის ყორის


ქვით ნაგები კედლები რეგულარული წყობითაა გამართული. დულაბი კირხსნარით, კენჭებითა და კერამიკითაა ნაზავი. იკვეთება ორი ოთკუთხა კოშკის ნარჩენები, რომლებიც, სავარაუდოდ, კარიბჭეს იცავდა. კონცხის ჩრდილოეთით, კლდეში ქვევრისებრი ნაკვეთებია. ისინი ნახევრად ყორის ქვითაა ამოვსებული, (სიღრმე 2 მ, დიამეტრი 1,5x2,0). სავარაუდოდ, ცისტერნა ან მარცვლეულის შესანახი სათავსოა. ძეგლის შემსწავლელები ვარაუდობენ, რომ ტრაპეზუნტის წმ. ბასილის სვეტები იუვაბოლუდან (ლიბიოპოლისი?) უნდა გადმოეტანათ, რაც ამ პუნქტს კლასიკურ ხანასთან აკავშირებს. საკუთრივ ციხე შუა ბიზანტიური ან ტრაპიზონის იმპერიის ხანით უნდა დათარიღდეს (Bryer, Winfield, 1985: 157-158; Sinclair, 1989: 105).

გელიდა კალე (კალე ქოი) (Gelida kale)

(ტაბ. 4-6)

გელიდა (კილიტა) კალე მდებარეობს იალიქოის აღმოსავლეთით, იოროსის კონცხის დასავლეთით დაახლ. 10 კმ-ში (GPS კოორდინატები: N 41° 4.170 E 39° 20.716). ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) მიერ 2015 წელს შედგენილი “რომის იმპერიის ციფრული რუკა” (<http://dare.ht.lu.se/places/29563.html>) მას კერასუნტთან აიგივებს (ამ პუნქტზე ვრცლად იხ. Качарава, Квирквелия, 1991: 127). სინოპეს კოლონია კერასუნტის ძველ დასახლებას რიგი ავტორი (Hamilton, 1842: 158; Лепер, 1908: 314; Ruge, 1922: 264, s.v. Kerasus; Максимова, 1956: 72-73; Hind, 1969: 68) ფოლ-ბაზართან, თანამედროვე ვაკვიკებირთან აკავშირებს. ისტორიკოსთა მეორე ნაწილი კერასუნტს თანამედროვე გირესუნთან აიგივებს (იხ. Качарава, Квирквелия, 1991: 127). თუმცა, ახ.წ. V-VI სს ბიზანტიურ წყაროებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ ამ პერიოდში პარალერულად ორი კერასუნტი არსებობდა (Drakoulis, 2012: 86). რიგი ავტორის მიხედვით, საფორტიფიკაციო ნაგებობის ახლოს დასახლებული პუნქტი არ ფიქსირდება და მას წმინდა სამხედრო დანიშნულება ჰქონდა (Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105). ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი უნდა იყოს “ანტიკური სამყარო ონლაინის”, The AWOL Index ელექტრორესურსის (ISSN 2156-2253) მიერ 2016 წ დასრულებული “ანტიკური პორტებისა და ნავსაყუდლების კატალოგის” (<https://www.ancientportsantiques.com/the-catalogue/bosphorus-black-sea/NB2731>) განსაზღვრა, რომელიც კერასუნტს დღევანდელ კირაზლიკთან (იალიქოიდან დასავლეთით 3,5 კმ.), მდ. კერასუნ-დერე სუს ნაპირზე ათავსებს. რაც შეეხება გელიდას ციხეს, ის ამ დასახლებასთან მისადგომებს უნდა აკონტროლებდეს (იხ. Sinclair, 1989: 105).

ეს ადგილი მეტად ხელსაყრელ გეოგრაფიულ სივრცეშია განთავსებული. იგი ირგვლივ შემოსაზღვრულია ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის გორაკთა სისტემით. აქ ზღვის სანაპირო ზოლიდან იქმნება საკმაოდ გაშლილი სივრცე. ზღვა რელიეფის შესაბამისად ქმნის ნახევარწრისებრი მოყვანილობის საკმაოდ ფართე ყურეს, რომელიც ბუნებრივია ხელსაყრელი იყო ნავსადგურისათვის.



ფორმატი A1

კალექოის ციხის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

საინტერესოა ისიც, რომ ძველი გირესუნის ნახევარმთვარისებრი სივრცის ორივე დაბოლოებები გამაგრებულ-დაცულია საკმაოდ კარგად შერჩეულ ტერიტორიაზე, ზღვისაკენ წინ წაზიდულ კლდოვან ბოცვებზე დაშენებული ციხეებით. სამხრეთიდან იენისელ კალეთი (ძველი გორელე, კორილა), ხოლო ჩრდილოეთით კალე ქოით (იენი კალე, გელიდა კალე). კალე ქოი (Gelida kale) ტიპიური ციხე-კოშკია. იგი დაშენებულია ძველი გირესუნის ყურის ჩრდილოეთით ზღვისკენ წინ წაზიდულ კლდოვან ბორცვზე და პატარა ზომის ნაგებობაა.

ციხეზე დაკვირვებით ჩანს, რომ აქაც აქა-იქ იყო შემორჩენილი თავდაპირველი სამირკვლის ნაშთები მოგვიანებით იგი აღუდგენიათ. მას სამხრეთ (სამხრეთის გარდა) ზღვა იცავს. ერთადეტი ცენტრალური მისადგომი ციხეს სამხრეთიდან აქვს. მთელს სიგრძეზე კლდოვან ქანზე დაუშენებიათ გალავნის კედელი, რომლის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში დატანილი იყო ციხის შიდა სივრცეში შესასვლელი საფეხურები, რომლითაც შესვლა პირველ ტერასაზე შეიძლებოდა. ამ კარიბჭეს შესასვლელში იცავდა ოთკუთხა გეგმის მცირე ზომის კოშკი (ზომები: 2,5x3,2 მ). ნაწილობრივ შემორჩენილია დასავლეთის გალავნის კედელი, მისი საერთო სიგრძე 24,10 მ-ია, ციხის თავდაპირველი ნაშთები შედარებით კარგადაა დაცული ციხის ჩრდილოეთ მხარესაც. მისი სიგრძეა 22, 60 მ. რაც შეეხება აღმოსავლეთით გალავნის კედლის სიგრძეს, 12,5 მ-ია, ხოლო სამხრეთის, რომელიც სამირკვლის დონემდეა მორღვეული 14 მ ყოფილა. შიდა სივრცის სიგრძე 22, 60 მ-ია, სიგანე 19 მ, კედლების სისქე 1,10 მ. ციხის შიდა სივრცე ორ ტერასადაა წარმოდგენილი. არცერთ მათგანზე არ დასტურდება ძველ ნაგებობათა ნაშთები. არაა გამორიცხული თუ რაიმე არსებობდა ისინი კონსერვაციის დროს დაგებული ფილებით დაფარულიყო. პირველი და მეორე ტერასა თავის დროზე ერთმანეთისაგან გამიჯნული ყოფილა განივი კედლით, მისი ამჟამად დაცული სიგრძე 18,70 მ-ია.

ციხის პირველი ტერასიდან მეორეზე ასევე საფიხურებითაა ჩასასვლელი. მეორე ტერასის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გალავნის კედელში დატანილი იყო და დღემდეა შემორჩენილი ზღვაზე ჩასასვლელი თუ იქიდან ციხეში შემოსავლელი საფიხურები. მას იცავდა ოთხკუთხა გეგმის კოშკი, რომლის სამი მხარეა დღემდე შემორჩენილი.

ციხეს დასავლეთ მხარეს ჩამოუდის პატარა დელეც. ეს ციხე ვაკფიქებირიდან ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზის გასასვლელზეა. ციხის მშენებლობის დროს გამოყენებულია საშუალო ზომის გვერდებჩამოსწორებული ქვები. წყობა თარაზულია. არაა გამორიცხული იგი ადრებიზანტიურ პერიოდში იყოს აგებული.

იოროსის კონცხი (Yoroz Burnu)

გელიდა კალედან აღმოსავლეთით დაახლ. 10 კმ-ში მდებარეობს იოროსის კონცხი (Yoroz Burnu)¹⁵, სადაც ა. ბრაიერის, დ. ვინფილდისა და თ. სინკლერის მიხედვით საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთია. დღეისათვის ფიქსირდება მხოლოდ დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. სამხრეთი კედელი (1,08 მ სიფართე). სამწუხაროდ, გზის გაყვანის დროს განადგურდა. კედლები კარგად დამუშავებული მუქი ბაზალტის ქვისგანაა აგებული და რეგულარული წყობითაა გამართული. კედლის დუღაბი შედგება კირის, წვრილი ქვიშისა და კერამიკის ნამტრევეებისაგან. ციხე, უფრო ალბათ ოთხკუთხა საგუმაგო კოშკი, ბიზანტიური ეპოქით უნდა დათარიღდეს. იგი იდენტიფიცირდება ჰიერონ ოროსთან, რაც წმინდა კონცხის ციხედ ითარგმნება (Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105).

აქჩა კალე (Akça kale)

(ტაბ. 7-8)

იოროსის კონცხიდან დაახლ. 11 კმ-ში, აქჩაბათთან (მკ. ჰერმონასა, პლატანა) მისვლამდე, მდებარეობს აქჩა-კალეს ციხე (Akça kale). ვ.რუგესა და სხვა ავტორების (Ruge, 1922: 1373, s. v. Kordyle, 1; Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105) მიხედვით ის კორდილე I-თან¹⁶ იდენტიფიცირდება. პირველად მას არიანე ახსენებს (PPE, 24). ეს პუნქტი მომდევნო ხანის წყაროებშიც გვხვდება (Ptol., V, 6, 6; Anon., PPE, 36; Peut. Tab., X, 3).

ციხე ტრაპიზონიდან გირასუნისაკენ მიმავალი ტრასის მარჯვენა მხარეს ზღვისკენ წაზიდულ ნახევარკუნძულისებრ ფორმის ბორცვზეა დაშენებული (GPS კორდინატები: N


¹⁵ ზოგჯერ ეს ადგილი მოიხსენიება როგორც ინჯირ ლიმანი (იხ. <http://dare.ht.lu.se/places/29563.html>) ან მისგან 500 მ-ზეა მითითებული (Bryer, Winfield, 1985: 158).

¹⁶ აღმოსავლეთით, თანამედროვე ფაზართან ახლოს, თორდოვათში მოიაზრება მეორე კორდილეც (იხ. მამულაძე, კახიძე, 2014: 35-36).

41° 4.871 E 39° 30.203). იგი საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობაა. მის გეგმას ძირითადად ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. ციხის დიდი ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემონახული, ისე რომ გეგმა სრულყოფილად იკითხება. განსაკუთრებით კარგადაა დაცული ციხის ჩრდილოეთი და ნაწილობრივ დასავლეთი გალავნის კედელი. გალავნის კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე ზოგან 12-15 მეტრსაც აღწევს. ნაკლებადაა დაცული გალავნის სამხრეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთები. ციხეს შესასვლელი დასავლეთი გალავნის კედლის ბოლო მონაკვეთში ჰქონია.

ჩვენამდე მოღწეულია გალავნის კედლებში დატანილი ორი ოთხკუთხა გეგმის კოშკი. პირველი მათგანი ჩართულია დასავლეთი კედლის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში. იგი საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. მისი მაქსიმალური სიმაღლე 12-14 მ აღწევს. კოშკში შესასვლელი შიდა მხრიდან ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული. ამჟამად დაცული ზომების მიხედვით ჩანს, რომ იგი სამსართულიანი ყოფილა. თითოეულ სართულს თავისი შესასვლელი კარი ჰქონია, რომლებიც ერთ ხაზზეა განთავსებული. მეორე სართულზე შვიდამდე სათვალთვალო ნიშა და სარკმელი ყოფილა. კოშკის კედლებში დატანილია სართულშორისი ბოძებისათვის განკუთვნილი ფოსოები.

ახრა-ქალის ციხე



გეგმა 6 1:200
ფორმატი A1

აქჩაკალეს ციხის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

ასეთივე ოთხკუთხა კოშკია დატანილი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშიც. იგი შედარებით მცირე ზომისაა. დღემდე შედარებით კარგადაა შემონახული გარეთა სამი კედელი. შიდა მხრიდან საძირკვლის დონემდეა მორღვეული. აქ კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4-7 მ შორის მერყეობს. კედლების წყობაში გამოყენებულია კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვები. წყობა თარაზულია. განსაკუთრებით კარგადაა გადაწყვეტილი კოშკის გალავნის კედლებთან მიერთების ადგილები, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული გრძივი კვადრები. გალავნის კედლების სისქე 1 მ აღწევს.

ციხე თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობით აკონტროლებს, როგორც ზღვის, ისე ხმელეთის უზარმაზარ სივრცეს. ციხის გალავნის წყობებში აქა-იქ იკვეთება ადრეზიზანტიური პერიოდის კედლები. რაც შეეხება ძირითად ნაწილს ცოტა მოგვიანო პერიოდში უნდა იყოს აგებული.

ციხის ტერიტორიაზე ზედაპირული დათვალიერებისას ნაგებობათა ნაშთები არ ფიქსირდება. ჩანს რომ, ბოლო პერიოდში მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში თურქ არქეოლოგებს მცირე მასშტაბის გათხრები უწარმოებიათ. ჩვენს მიერ ზედაპირულად შეგროვებულ მასალაში ჩანს ბრტყელი, გვერდებაკეცილი სოლენის ტიპის კრამიტის, ამფორის და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ მასალაზე დაკვირვებით ვფიქრობთ, რომ ციხის ადრეული ფენები VI-VII საუკუნეებისაა.


ტრაპიზონის ციხე (Trabzon Kalesi)

(ტაბ. 9-10)

ქ. ტრაპიზონს თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შავიზღვის რეგიონში. რომაელთა ბატონობის ხანაში იგი გახდა მნიშვნელოვანი ქალაქი სომხეთისა და ევფრატის დაბლობისაკენ დასაკავშირებლად. იმპერატორ ვესპასიანეს დროს აქ გაიყვანეს სპარსეთისა და შუამდინარეთისაკენ მიმავალი ახალი გზები, ხოლო ადრიანემ ტრაპიზონი პროვინციის დედაქალაქად აქცია. ადრიანეს დროსვე მოეწყო პორტიც. აქ იყო განლაგებული რომაელთა შავიზღვისპირეთის ფლოტი და ქალაქი წარმოადგენდა მთავარ მომარაგებელ ცენტრს შავიზღვის რეგიონში განლაგებული რომაელი ჯარისკაცებისათვის. იგი იყო ასევე ბოლო პუნქტი სირიისა და ევფრატისაკენ მიმავალ სამხედრო გზაზე. დღემდე შემორჩენილი ქალაქის ციხესიმაგრის ძველი გალავანი. მისი დანახვა ქალაქის ქუჩებიდანაც შეიძლება.

ზოგადად ტრაპიზონის ციხე სამ ნაწილად: ქვემო ციხედ, შუა ციხედ და ზედა ციხედ იყოფოდა. ზედა ციხე ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაინგრა. ამჟამად მის ტერიტორიაზე შენდება თანამედროვე სამშენებლო რაიონი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. დღემდეა აქა-იქ შემორჩენილი ტრაპიზონის იმპერიის დროინდელი, ალექსი II (1297-1330 წწ) მიერ აშენებული კედლის დასავლეთი ნაწილი. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა I-II საუკუნეების რომაული პერიოდის გალავნის წყობის ნაშთებიც.

ბიზანტიური პერიოდისაა შუა ციხის კედლები. ამჟამად შუა ციხის ტერიტორიაზე ორი საავტომობილო ხიდი დგას: მე-19 საუკუნეში აშენებული Tabakhane Köprüsü და Zağnos Köprüsü. ამ უკანასკნელს სახელი ტრაპიზონის ვილაიეთის პირველი მმართველის პატივსაცემად დაერქვა.



გეგმა მ 1:50
ფორმატი A1

ქვედა ციხის რომაული პერიოდის გალავნის კედლის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

რომაული პერიოდის გალავნის კედლის ნაშთები ყველაზე კარგად შემორჩენილია ქვედა ციხის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: N 41° 0.321 E 39° 43.867). დღეისათვის აქ არის გაშენებული ტრაპიზონის ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი - ისქენდერ ფაშას უბანი. აქვეა თავმოყრილი ტრაპიზონში არსებული სასტუმროების უმრავლესობაც. ციხის გეგმა თავის დროზე მორგებული ყოფილა რელიეფზე და დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ქვედა ციხის ამ მონაკვეთში გალავნის ცენტრალურ ნაწილში ჩართულია ოთკუთხა გეგმის კოშკი. როგორც კოშკის, ისე გალავნის კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევს. მის მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა. ქვედა - რომაული პერიოდი და ზედა მოგვიანო პერიოდი. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება დღემდე მოღწეული გალავნის კედლების უმეტესი ნაწილი, თუმცა ძველი რომაული სამშენებლო პერიოდიც კარგად იკითხება. რომაული ხანის გალავნის კედლის წყობა ძირითადად თარაზულია და ნაგებია კარგად დამუშავებული გვერდებჩამოსწორებული ქვებით, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გალავნის კუთხეებში. მოგვიანო პერიოდის წყობაში კი ეს წესი დარღვეულია და აშკარად ეტყობა ციხეს გადაკეთების კვალი. თავის დროზე გალავნის კედელი ჩრდილოეთით აღწევდა ადრიანეს მიერ დაარსებულ ნავსადგურამდე. პორტი იმ დროსაც, როგორც ჩანს დღევანდელ ადგილზე მდებარეობდა.

დღეისათვის გადარჩენილი გალავნის კედლის ნაწილები საცხოვრებელი სახლების კედლებადაა გამოყენებული, ხოლო ნაწილი სამხედრო ზონაშია მოქცეული. ამიტომ მისი სრულყოფილი აღწერა-დახასიათება სამწუხაროდ შეუძლებელია.

§ 2. დელირიმენდერეს ხეობის ციხეები

ხორტოკოპის ციხე (Hortokop kale)

ხორტოკოპის ციხე მდებარეობს ტრაპიზონის სამხრეთით, თანამედროვე მაჩვიდან (მაჭაკა, ისტორიული Ad Vincesimum/მაგანა) დაახლ. 5 კმ-ში, თანამედროვე სოფ. აშალიქოში (ყოფილი აშალი ხორტოკოპი). ციხე აგებულია ამაღლებულ ადგილას. იგი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა. მისი დიამეტრი 60 მ-ია და თითქმის წრიული ფორმისაა. თავის დროზე ჰქონია 9 გარეთ გატანილი მომრგვალებული კოშკი. გალავნის კედლები დღეისათვის 1-2 მ სიმაღლემდეა შემორჩენილი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით (Bryer, Winfield, 1985: 285, pl. 212; Sinclair, 1989: 96; Gregory, 1997: 35-37; <http://dare.ht.lu.se/places/29563.html>) კასტორიუსის რუკის Gizenenica-ს და “ნოტიციის” Ghaszanenica-ს, სადაც Ala Prima Iovia Felix-ი იდგა (or., 38), უნდა შეესატყვისებოდეს. სამწუხაროდ, სპეციალური ლიტერატურა არაფერს ამბობს ციხე-სიმაგრის დაარსების თარიღზე. ა. ბრაიერი და დ. ვინფილდი ზოგადად აღნიშნავენ, რომ საძირკველი რომაული ხანის უნდა იყოს, კედლები კი უფრო გვიანდელი პერიოდისა (Bryer, Winfield: 285, pl. 212). მისი უახლესი ანალოგია ვალენტინიანესა და ვალენსის ეპოქაში აგებული ე.წ. “ზარისებრი” ფორმის ფორტები (Lander, 1984: 273, fig. 285). ამ ძეგლიდან გვაქვს ერთადერთი, III ს მონეტა (Gregory, 1997: 35). ტოპონიმი ხორტოკოპ-კალე, ისევე როგორც მის სიახლოვეს, მაჩვას ჩრდილოეთით არსებული ხორტოკოპუზირი, ხორტოკოპუ-ვასეტი და ხორტოკოპუბალა მოგვაგონებენ პროკოპისთან დამოწმებულ ოკენითის ჭანების საზღვარზე განლაგებულ ხარტონის ციხეს. ეს ძველადვე ადგილობრივთა მიერ აგებული და შემდეგ მოუვლელობის გამო ნანგრევებად ქცეული საფორტიფიკაციო ნაგებობა იუსტინიანემ გაანახლა და იქ გარნიზონი ჩააყენა (Aed, III, 6). თუმცა, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ ხარტონი ჭოროხის სათავეებიდან ჭანეთში და ოფიდან ბაიბურთისკენ მიმავალ გზათა შესაყარზე მდებარე ხარტ/ღართის ციხეს უნდა შეესაბამებოდეს (Адоиц, 1971: 63; ინგოროყვა, 1954: 301; ჯავახიშვილი, 1960: 414; ყაუხჩიშვილი, 1965: 216, შენ. 1; სიხარულიძე, 1977: 23; Акопян, 1985: 14). არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ ის არის “ნოტიციის” ღაზანეიკა, მითუმეტეს რომ მის გვერდით მოხსენებული ყველა პუნქტი ჰინტერლანდშია, ხოლო ერთ-ერთი სისილა, სადაც Cohors Miliaria Germanorum-ი იყო დაბანაკებული (or., 38), დამოწმებულია პროკოპისთან სისილისონის ფორმით. ამ ავტორის მიხედვით ის ძველადვე იყო აშენებული და გაუკაცრიელებული, შემდეგ კი აღდგენილი და საკმაოდ რაოდენობის მქონე გარნიზონით უზრუნველყოფილი (Aed, III, 6). რაც მთავარია, სისილა პონტოს მთიანეთში, უფრო ზუსტად ოკენითის ჭანეთში, პარხალის აღმოსავლეთით მოიაზრება (იხ. სიხარულიძე, 1977: 23-25).

განტოპედინის (სუქენარეს) ციხე (Gantopedini (Sukenare) Kale

(ტაბ. 11-12)

განტოპედინის (ლაბრას, ზანხა-კალე, სუქენარეს ციხე) ციხე-კოშკი მდებარეობს დელირმენდერეს (ძვ. პრიტანისი) ხეობის მარცხენა მხარეს, ჩემმელერსა (დიანეიკა, ზანხა) და კოპრუანას (სახნოე, სახანოი) შორის შემალლებულ კლდოვან ბორცვზე, თანამედროვე გზიდან დაახლოებით 300 მეტრში (ტრაპიზონიდან დელირმენდერეს ხეობაში მიმავალი გზის დასაწყისიდან 21 მილში) (GPS კოორდინატები: N 40° 46.085 E 39° 33.785'). მას ზოგჯერ იქვე ციხის ძირში არსებული სოფლის სახელწოდებიდან გამომდინარე, სუქენარეს (წყლის ნაპირს ნიშნავს) ციხესაც უწოდებენ. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რამდენიმე კილომეტრიდან ჩანს როგორც ხეობის ზევიდან, ისე ქვევიდან. უდავოა, რომ ციხე-კოშკი აქვე მდებარე ვაზელონის მონასტრის სასიგნალო კოშკის ფუნქციებსაც ატარებდა (Byrer, Winfield, 1985: 285).

ციხე-კოშკი მთლიანად კლდის ბორცვზეა მორგებული. ამიტომაცაა, რომ მის გეგმასაც იგი განსაზღვრავს. მისი შიდა სივრცე საკმაოდ დიდია და მაქსიმალურადაა ათვისებული. დასავლეთის კედლის სიმაღლემ თითქმის ორიგინალურობა შეინარჩუნა და შემორჩენილი სიმაღლე-8 მ. აღწევს. რაც შეეხება დანარჩენს საკმაოდ დაზიანებულია. ციხეში შეღწევა ჩრდილო-დასავლეთის მომცრო კარიბჭიდანაა შესაძლებელი. აქედან კედლის სისქე მატულობს და იგი 1,5 მ-ს აღწევს. კედლების გარე წყობებში გამოყენებულია გვერდებჩამოსწორებული საშუალო და მოზრდილი ზომის ქვები.

ნაგებობა ჩანს დანგრეული და შემდეგ აღდგენილი. მის მშენებლობაში შეიძლება ორი პერიოდი გამოიყოს. პირველი, შედარებით ადრეული და მეორე მოგვიანო პერიოდის. ეს საამშენებლო დონეები ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდებიან. ძველი კედლების გარე წყობებში გამოყენებულია გვერდებჩამოსწორებული საშუალო და მოზრდილი ზომის ქვები. ციხე საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს. მისი პირველადი მშენებლობა ადგილობრივ ჭანურ მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და შეიძლება იგი ადრე შუა საუკუნეების ბოლოთი დათარიღდეს.

ციხის შიგნით მცირე მოცულობის ორაფსიდიანი ეკლესიაცაა, რომელიც კორალას კონცხზე (გორელე. იენისელ კალე) მდებარე ეკლესიის მსგავსია, ოღონდ ამას კარები ჩრდილოეთიდან აქვს. კედლის მხატვრობის ნიმუშები არ დასტურდება. ეკლესია მშენებლობის მე-2 პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის ნაშთებიც საკუთრივ საფორტიფიკაციო ნაგებობაზეც შეიმჩნევა.

ჰამსიქოს ციხე (Hamsiköy kale)


(ტაბ. 13-15)

ჰამსიქო, პალეოკასტრონი, რომელსაც ძველ მაჭუკასაც (Palaiomatzouka) ეძახდნენ, თანამედროვე ჰამსიქოში, მდ. დელირემენდერეს (ძვ. პრიტანისი) მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს და ამ ხეობის სათავისაკენ მარჯვენა მხარის ბოლო სოფელია (**GPS კოორდინატები: N 400 41.799; E 390 29.417**). იგი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. მასში რამოდენიმე სოფელი შედის. ესენია: გურგენ ალაჯი - ანაიურთი (ძვ. კრანსა) - დიქქაია (ძვ. ზავერა) - გუზელ იაილა (ძვ. ფერღანლი) - ხამსიქო (ძვ. ჩირალი) - ზიგანას ქედი.

საკუთრივ მდინარის მარცხენა მხარეს გამავალი ცენტრალური ტრასიდან მარცხნივ გადახვევის შემდეგ, ციხისაკენ მიმავალი გზა გაივლიდა შემდეგ ადგილებს: გურგენ ალაჯი - ანაიურთი (ძვ. კრანსა) - და შედიხარ სოფ. დიქქაიაში. დიქქაიდან გზა შეუხვევს მარჯვნივ და დაკიდულ, მაგრამ კარგად გამართული გზით მიდიხარ ამავე სოფლის ერთერთ უბანში, რომელსაც ზეფთილი ეწოდება. აქვე ცხოვრობს რამოდენიმე ოჯახიც. აქედან ციხემდე ფეხით სავალი გზა დაახლოებით 1200 მ-ია.

აქ ძველად გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ზამთარში დიდთოვლიანობის გამო სუმელას მიმართულებით მიემართებოდა, ხოლო ზაფხულში კი სწორედ აქ გაივლიდა და ტრაპიზონისაკენ ეშვებოდა.

ციხე ამაღლებულ და რთულად მისადგომ კლდეზე, სტრატეგიულ ადგილზეა აშენებული აქედან შესანიშნავად ჩანს მთელი ხეობა ყველა მიმართულებით. იგი კავშირშია ხეობაში არსებულ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებთან და კარგად აკონტროლებს აქ გამავალ გზებს. შეიძლება ითქვას იგი ხეობის სათავის ჩამკეტი ციხეცაა. მშენებლებს ციხისთვის საკმაოდ კარგი ადგილი შეურჩევიათ. მისთვის ხეობის შუაწელზე არსებული ორი უზარმაზარი კლდოვანი ბორცვი გამოუყენებიათ. ორივე მათგანი სამხრივ (დასავლეთით, ჩრდილოეთით და ნაწილობრივ სამხრეთით) მიუვალაია. კლდოვან ბორცვთა სისტემას აქვს ერთადერთი მისადგომი აღმოსავლეთის მხრიდან. დღეისათვის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ციხის ძირითადი ნაწილის აშენებისათვის ამ ორიდან მაქსიმალურად მარჯვენა, ჩრდილოეთის მხარის კლდოვანი სივრცე გამოუყენებიათ. აქ დღემდეა შემორჩენილი ციხის ნაშთები. მათგან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში დაცული ნანგრევები. შემორჩენილია კუთხის ნახევარწრიული ფორმის კედლების ნაშთები.



ჰამსიქოის ციხის გეგმა. შესრულა გ. დუმბაძემ

ჩანს, რომ მისი ერთი ნაწილი დასავლეთით მიემართება და კლდის ჩრდილოეთ კიდეს მიუყვება მთელს სიგრძეზე. დაცული ნაწილის სიგრძე 3 მეტრია. დანარჩენი მონგრეულია. ამ ნაწილში კედლის სიმაღლე 12–13 მეტრს აღწევს, სისქე—1,2 მ-ს. კედლის მეორე ნაწილი სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ მიემართება და კლდოვანი ქანის დასასრულს, ამავე ფორმის კუთხის კედელს უერთდება. მათ შორის დაცილება 25 მეტრია. გაცილებით ფართეა მათი დამაკავშირებელი კედელი, მისი სისქე 1,3–1,4 მეტრს შორის მერყეობს. ეს გასაგებიცაა, რადგან ციხის ერთადერთი მისადგომი, რომელიც ამ მხარესაა, საგულდაგულოდ უნდა ყოფილიყო გამაგრებულ–დაცული.

სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 10–12 მეტრია. აქაც ჩანს, რომ სამხრეთი კედელი კლდის გარე პირს მიუყვება და დასავლეთისაკენ მიემართება. გაგრძელებაზე აქა–იქ დღემდე შემონახულია დულაბის ნაშთებიც. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს კლდოვანი ბორცვის სამხრეთ და სამხრეთ–დასავლეთ მონაკვეთში კლდოვანი ქანის კიდეებზე შემორჩენილი დაზიანებული წყობები. ადრე ეს ციხე მოინახულეს ბრაიერმა და ვინფილდმა. მათ მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით ჩანს, რომ ასევე გამაგრებულ–გამოყენებული უნდა ყოფილიყო მეორე კლდოვანი ბორცვიც. დღეისათვის აქ საამისო ნიშანწყალი არ ჩანს. მათი აზრით სწორედ ერთერთი რეკონსტრუქციის დროს ციხე გაუზრდიათ ერთი ან ორი სართულით. ამის გათვალისწინებით, გარე კედელს ციხის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა მოექცია 25 X 40 მ ფართობი (Bryer, Winfield, 1985: 296).

ჩანს, რომ ციხე რამოდენიმეჯერაა დანგრეულ–აღდგენილი. ადრეული წყობები განსხვავებულია ქვების ზომებითაც და გამოყენებული დულაბის ფერთაც. მოგვიანო

ჩანართებში რიგები მთლად სწორად არაა ჩალაგებული და შეინიშნება ხსნართ მისი გასწორების მცდელობა. საერთო ჯამში შესაძლებელია კედლების წყობაში მინიმუმ ორი სამშენებლო პერიოდის გამოყოფა. როგორც ჩანს, ციხის მშენებლობის მეორე პერიოდი მე-14 ს უნდა დაუკავშიროთ. ცოტა მოგვიანებით, 1404 წ აქ გაიარა კლავიხომ, რომელმაც მოიხსენია პალეომაჭუკას ციხე (Estrada, 1943: 116), სადაც სასაზღვრო (bandon) დუქის რეზიდენცია იყო. ცოტა უფრო ადრე, მე-13 ს-ში ციხეს პირგენი უნდა რქმეოდა (იხ. ვაზელონის აქტები, 104). არაა გამორიცხული აქ გამავალი გზების მნიშვნელობიდან და ციხის სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საფორტიფიკაციო ნაგებობა აქ უფრო ადრეული პერიოდიდან არსებულიყო.

ციხის ეკლესია. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დღემდე შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები. იგი არცთუ ისე დიდი ზომისაა. შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. ასევე კარგადაა გადარჩენილი სამხრეთი კედლის უკიდურესი დასავლეთი მონაკვეთი. აფსიდა ოთხკუთხა ფორმისაა. აფსიდის ნაწილში შემორჩენილი კედლის მიხედვით ჩანს, რომ მას თავის დროზე თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. შესასვლელი კარები განთავსებულია დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში. ნაშენებია საშუალო და მოზრდილი გვერდებჩამოსწორებული ქვებით. დამუშავებული დიდი ზომის ქვები გამოყენებულია კუთხეების კვეთაში და დასავლეთი კარის ნაწილში. შიგნით რაიმე შელესილობის ნაშთები არაა შემორჩენილი. იგი საკმაოდ მოგვიანო პერიოდის ნაგებობა ჩანს. არაა გამორიცხული ეს ეკლესია მეციხოვნეთათვის ყოფილიყო გამოყენებული.

ზიგანას ციხე (Zigana kalesi)

შიდა რაიონებში გამაგრების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავა ზიგანას უღელტეხილზე განლაგებულ საგზაო სადგომს,¹⁷ უფრო ციხეს. გამორიცხული არაა ის სტრაბონთან (XII, 3, 17) და სტეფანე ბიზანტიელთან (s.v.Zugoi) მოხსენებული ZugopoliV-ი იყოს. ჩვენი აზრით, უკვე აღარ ღირს ნ.ადონცის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული და ნ. ლომოურის ნაშრომებში კიდევ უფრო არგუმენტირებული «ნოტაციის» ზიგანეს და ზოგიერთი სხვა პუნქტის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზების უტყუარობაზე მსჯელობა (იხ. ლომოური, 1989: 67-72 და იქ მით. ლიტ.).

საფორტიფიკაციო ნაგებობა აკონტროლებდა მისივე სახელობის უღელტეხილს და ყველა იმ გზას რომელიც აქ გადიოდა. ამ უღელტეხილით დელირმენდერედან ხარშიტის ხეობაშიც არის გადასასვლელი, მაგრამ, ბუნებრივია, უშუალოდ ციხემდე აქ სასიგნალო ციხე-კოშკების მთელი წყებაა.

ზიგანას ციხე სოფ. ზიგანა ქოიდან დასავლეთით 700 მ-ში, მაღლივ კლდეზეა დაშენებული. აქედან კარგად ჩანს სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. იგი პირდაპირ გასცქერის სამხრეთით

¹⁷ ყოველ შემთხვევაში, ასეა აღნიშნულია ის ლუნდის უნივერსიტეტის “რომის იმპერიის ციფრული რუკაზე”.

თორულის ციხეს.

1404 წ აქ შესულა კლავიხო, რომელიც საუბრობს ხის ასაზიდ კიბეზე, რომლის გარეშეც ციხეში შეღწევა შეუძლებელი იყო (Estrada, 1943: 116-117). ციხის ნანგრევებზე საუბრობს კიუმონიც (Cumont, Cumont, 1906: 361).

დღევანდელ დღეს შემორჩენილია ცუდად ნაგები ბასტიონი კლდის სამხრეთით. აქ დაცული კედლების სიმაღლე 3,5 მ აღწევს. კედლებში უხვადაა გამოყენებული კირხსნარი და დაუმუშავებელი ქვები. მისი არქიტექტურა შუა საუკუნეებისაა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობა ამ რეგიონის მკვლევარებს აქ საფორტიფიკაციო ნაგებობის არსებობას ანტიკური ხანიდან აფიქრებინებს (Bryer, Winfield, 1985: 297).

ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება. მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი, რომელიც, სხვათა შორის, მეჰმედ II მიერ ამ რეგიონის დაპყრობიდანვე (1479-1480 წწ) ადრე ხანში, მე-15-16 სს მიჯნაზე ააგეს. აქვეა მოსასვენებელი სახლი, ხანი (Bryer, Winfield, 1985: 297). ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა.

§ 3. გუმუშხანეს რეგიონის ციხეები

კრომნის ციხე (Kurum Kale)

(ტაბ. 16-18)

კრომნის ციხე მდებარეობს გუმუშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით იაღლი დერეს ხეობაში, თანამედროვე სოფ. კრომნში (GPS კოორდინატები: N 40° 34.025 E 39° 34.689). იგი გუმუშხანეს ცენტრიდან 18 კმ-ითაა დაშორებული. ამ სოფელში დღემდე შემონახულია შუა საუკუნების ეპოქის 15-მდე საეკლესიო ნაგებობა. მრავლადაა წარმოდგენილი ქრისტიანული მოსახლეობის ქვით გამართული საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებიც, რომლებიც ოსმალთა შემოსვლის შემდეგ დაცარიელებულა. უშუალოდ ციხე აგებულია იაღლი დერეს მდინარის სათავეებში კოლატის მთების კლდოვან ფერდობზე ზღვის დონიდან 2080 მ სიმაღლეზე. ეს ქედი წარმოადგენს წყალგამყოფს. სწორედ აქ გაივლიდა უმოკლესი საზაფხულო გზა ტრაპიზონტიდან აღმოსავლეთისაკენ. ადგილობრივთა თხრობით აქედან ტრაპიზონამდე 140 კმ-ია და ამ გზით დღემდე სარგებლობენ, კოლატის მთების გადავლის შემდეგ ისინი ეშვებიან მერიემ ანას (მაჩკას) ხეობაში სუმელას მონასტერთან ახლოს და დელირმენდერეს ხეობის გავლით მიდიან ტრაპიზონისაკენ. იაღლი დერეს ხეობის გზა, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტი, 1930-იან წლებამდე გამოიყენებოდა. იგი კონკრეტულად გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: ტრაპეზუნტი (ტრაპიზონი) (Trapezunta, Trabzon) - მაშჩიჩიჰანი (კარაკაბანი) (Maşciçihani, Karakaban) - მაგანა (Magnana) - კოლასანლარი (Kolathanlari) - ბილაე (Bylae (Bile)) - ანზარიაჰანლარი (Anzaryahanlari) - ერგიდარიუმი (Ergidarium) - მადენჰალარი (Madenhalari) - პატარა (პეტრა) (Patara (Petra)) - ალიარლარის იგივე იაილას (Yayla) საძოვრები (იბერას ზემოთ) (Ağyarlar Pastures) - მედოკია (Medocia) - ლერი (Leri) - სოლომენიკა (Solomenica) - ძველი კოსე (Eski Köse) - დომენა (Domena) - სადაკი/სატალა (Sadak/Satala) (Mitford, 2018: 348-349). სწორედ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს აკონტროლებდა კრომნის ციხე, რომელიც კოლატის მთების ყველაზე შემადლებულ ადგილზეა აშენებული. მკლევარების მიერ კოლატი იდენტიფიცირებულია, როგორც პონტოს კარი, ანტიკური Pylae, ტაბულა პეუტინგერიანას Bylae. აქაა სწორედ აღმოჩენილი რომაული კასტელუმის ნაშთები, რომელიც ერთადერთია სატალასა და ტრაპიზონს შორის არსებულ გზაზე. ეს კარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ცნობილია აგრეთვე, როგორც ბაღდადის, აბრემუმის და საქარავნო გზის სახელწოდებით (Mitford, 2018: 370).

იმ უბანს სადაც ციხე მდებარეობს ადგილობრივი მოსახლეობა „კრომნ შამანლას“ უბანს უწოდებს. ციხე საშუალო ზომისაა (ზომები: 38x30 მ). მის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს და ოვალისებრი მოყვანლობა აქვს. იგი აგებულია მდინარის სანაპიროდან დაახლოებით 300 მ მანძილზე აზიდულ კოლატის მთის ყველაზე შემადლებულ ადგილზე. დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ჩრდილო-დასავლეთიდან შემორტყმულია ფრიალო კლდითა და ეროზიული ქანებით.

კლდოვან რელიეფზე მორგებული გალავნის კედლები სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ოვალურად მიუყვება და 10 მ მაძილზეა შემორჩენილი. 8 მ სიგრძეზეა შემონახული სამხრეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული გალავნის კედელიც. დანარჩენი მხარეები საკუთრივ კლდეა. ციხეში შესასვლელი დღეისთვის არ ფიქსირდება. ციხის ჩრდილოეთი გალავნის კედელი ცენტრალურ ნაწილში საძირკვლის დონემდეა მორღვეული. აღმოსავლეთის მხარეს დაცული კედლის სიმაღლე 8 მ-ია, ხოლო დასავლეთით - 3-4 მ შორის მერყეობს. ჩრდილო-აღმოსავლეთის გალავნის კედელიც 8 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ისიც ცენტრალური ნაწილში ჩამონგრეულია. შედარებით კარგადაა დაცული გალავნის აღმოსავლეთი კედელი. მისი სიმაღლე კლდოვანი კონფიგურაციის გამო სხვადასხვაა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 9 მ-დე აღწევს, ხოლო სამხრეთის მხარეს 4 მ-ს. გალავნის კედლები ნაშენია უხეშად დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. ქვების წყობა არაწესიერია. ციხეს ეტყობა სხვადასხვა დროს გადაკეთების კვალი.

გალავნის კედლებში შემორჩენილი წყობის მიხედვით ჩანს, რომ იგი სულ ცოტა სამჯერაა განადგურებული და აღდგენილი. ციხის ადრეული წყობები, რომლის მცირე ნაწილი დღემდეა შემონახული, ქვისა და დუღაბის ფერით, ასევე სამშენებლო მასალით, სრულიად განსხვავდება დანარჩენისაგან. მათი ნაშთები აქა-იქ 1 მ, ზოგან 2 მ სიმაღლემდეა დაცული. შემდეგი სამშენებლო ფენა აშკარად განსხვავდება ზედა და ქვედა სამშენებლო შრეებისაგან. აქ წყობაში გამოყენებულია სტანდარტული საშუალო ზომის ქვები, რომლის გარე ზედაპირი ჩამოსწორებულია. წყობაში ჭარბადაა გამოყენებული ღია-თეთრი ფერის კირი. მასაც ემჩნევა ნგრევის კვალი. მოგვიანებით ამ წყობაზე დაუშენებიათ კლდის ფლეთილი ქვებისაგან გამართული კედლები, სადაც კირის მასა მხოლოდ შიგა სივრცეში ფიქსირდება.

მშენებლობის სამივე პერიოდი ერთიმეორისაგან კარგად განირჩევა. ვფიქრობთ ადრეული წყობები უნდა წარმოადგენდეს ყველაზე ძველს და არაა გამორიცხული იგი ადგილობრივების მიერ იყოს გამართული. ციხის სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე იგი გამოყენებული ჩანს მოგვიანო, როგორც ბიზანტიურ, ისე ოსმალურ ეპოქებშიც. გამოყენების ეს კვალი კარგადაა ასახული გალავნის კედლებშიც.

ჯანჯას ციხე (Canca kalesi)

(ტაბ. 19-21)

ჯანჯას (ქანიკას) ციხე მდებარეობს გუმუშხანეს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ დაშორებით (GPS კოორდინატები: N 40° 28.167 E 39° 27.011). იგი აგებულია მდ. ხარშიტის სამხრეთ ნაპირზე, სანაპიროდან დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე, აზიდულ წაგრძელებულ კლდოვან ბორცვზე. ციხე აკონტროლებს ტრაპიზონ-გუმუშხანე - ბაიბურთის დამაკავშირებელ სახმელეთო გზას. იგი გუმუშხანეს ძველ ცენტრს, რომელსაც სულიემანიე ერქვა, კარგად იცავდა აღმოსავლეთის მხრიდან. ციხე ქალაქში შემავალ გზაზეა და მისგან ორიოდე კილომეტრითაა დაცილებული.


ნაგებობის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი დამხრობილია

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ტერასისებურადაა განლაგებული. ციხეში ასვლა მდინარის მხრიდან ანუ ხეობიდან შეიძლება. მისი ძირითადი კედელი სამხრეთით უფსკრულია, ჩრდილოეთი კი ხეობის მხარეა.

ციხე აღმოსავლეთ-დასავლეთით ერთმანეთის მიყოლებით 2 ნაწილისაგან შედგება. მთლიანი ფართობი 230x30 მ-ია. კედლის სიგანე 1,50 მ. ციხეში მოხვედრა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის მხრიდან იყო შესაძლებელი. ამ მხარეს არსებული გალავნის კედლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პირველ ტერასაზე შესასვლელი კარია გაჭრილი. კარგადაა შემონახული ციხის გალავნის დასავლეთი კედელი. მისი მაქსიმალური სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს.

იგი სამხრეთით 8 მეტრ მანძილზე გრძელდება და შემდეგ ბუნებრივი კლდეს ერწყმის. ჩრდილოეთის კედლის ცენტრალური ნაწილი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შედარებით კარგადაა გადარჩენილი მისი უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი, სადაც დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8 მეტრს აღწევს. პირველ ტერასაზე, ცენტრალური შესასვლელის წინ, ჩრდილოეთ კედელთან ახლოს, მდებარეობს კლდეში ამოკვეთილი ნაგებობა (ზომები:4.10X4.10 მ). იგი კასრისებრი მოყვანილობისაა და კირხსნარით შელესილი თალითაა გადახურული. მისი ქვედა ნაწილი ამჟამად შევსილია ჩანაყარი მასით. არაა გამორიცხული იგი გამოყენებული ყოფილიყო წყლის ან სურსათის შენახვისათვის.


პირველი ტერასის აღმოსავლეთით არსებული კედელი ციხეს ორ ნაწილად ყოფს. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა დამხრობილი. მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაჭრილია მეორე ტერასაზე ასასვლელი კარი. მეორე ტერასა სამხრეთითა და აღმოსავლეთით დაცულია მკვეთრად დახრილი კლდოვანი ქანებით. ციხის ამ მონაკვეთის შედარებით დაუცველი მხარე ჩრდილოეთით ყოფილა. ამიტომაც ციხის მშენებლებს ყველაზე მეტად ტერასის ეს მხარე გაუმაგრებიათ. დღეისათვის გალავნის კედლის ეს მონაკვეთი საძირკვლის დონემდეა მორღვეული და მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი ნაშთები. ზედა ტერასა ქვედასაგან 10 მეტრით მაღლა მდებარეობს და უფრო დიდ ფართობს მოიცავს. იგი ციხის ყველაზე დაცული ნაწილია. მის შიდა ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მათ შორის აღსანიშნავია ორი სამლოცველო.



ჯანჯას ციხის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

პირველი მათგანი მდებარეობს ციტადელის სამხრეთ ნაწილში, ფრიალო კლდესთან ახლოს. ეკლესია დაზიანებულია. შემორჩენილია აფსიდა და ჩრდილოეთი კედლის დიდი ნაწილი. ნაწილობრივ დაცულია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილიც. რაც შეეხება დასავლეთი კედლის დანაჩენ მონაკვეთს და სამხრეთ კედელს, საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ჩანს, რომ ეკლესიას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთის მხრიდან. შემორჩენილია კარის წირთხლი. დღემდე მოღწეული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4,80 მ აღწევს. ეკლესიის სიგრძე 6,27 მ-ია, სიგანე - 3,63 მ. დაცულია ასევე აფსიდის კედელში დატანილი სარკმელიც. სარკმლის ნაშთები ჩანს ჩრდილოეთ კედელშიც. კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ქვებით, რომელთა გარე ზედაპირი ჩამოსწორებულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ იგი შელესილი იყო და ფრესკებით ყოფილა მოხატული. მათი კვალი დღემდეა შემორჩენილი აფსიდაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კედელზე.

როდესაც ციხე და ეკლესია ინგლისელმა მკვლევარებმა ბრაიერმა და ვინფილდმა მოინახულეს ფრესკები ჯერ კიდევ კარგად იკითხებოდა. მკვლევარების აღწერით საკურთხეველში მოხატული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი 6 წმინდანი. აფსიდის ცენტრში სარკმლის ზემოთ ქრისტეს ფიგურა იყო გამოსახული, ხოლო ქრისტეს გვერდით, მარჯვნივ ღვთისმშობლისა. ოთხი ფიგურა იყო დატანილი ჩრდილოეთ კედელზეც. მათგან აღმოსავლეთით მდგომნი წმინდანი ჯარისკაცების ხოლო, დასავლეთით წმ. კონსტანტინე და ელენე. კიდევ ორი წმინდა ასკეტის ფიგურა ყოფილა დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ მხარეს. დასავლეთის წირთხლზე შემორჩენილი ყოფილა აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი ანგელოზების გამოსახულებებიც (Bryer, Winfield 1970: 310-311).



ჯანჯას ციხის ნაგებობების გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

მეორე ეკლესია ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს . იგი საინტერესო არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგეს. პირველ სართულზე გამართულია მოზრდილი სათავსო. მისი სიმაღლე 2 მ-ია. ჰქონია თაღოვანი გადახურვა. მისი შიდა სივრცე შელესილია. როგორც ჩანს თავის დროზე ამ თაღოვან გადახურვაზე მთელს სივრცეში გამართული იყო ეკლესიისათვის იატაკი. ხოლო შემდეგ იგივე სათავსოს გარე კედლებზე დაუშენებიათ ეკლესია. ეკლესიის გეგმა კარგად იკითხება. მისი ზომებია: 5,5x4,81 მ. შედარებით კარგადაა შემონახული აფსიდის მხარე, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. დასავლეთი მხარე ჩამონგრეულია. ეკლესიის სიმაღლე სათავსოსთან ერთად 4,99 მ-ია. ეკლესიაცა და სათავსოც თანადრული ნაგებობა ჩანს. კედლების წყობა არათარაზულია. აქაც გამოყენებულია დიდი და საშუალო ზომის გვერდებჩამოსწორებული ქვები. აქა-იქ გხვდება კარგად დამუშავებული ნიმუშებიც. პირველი ეკლესიის მსგავსად, ესეც მოხატული ყოფილა ფრესკებით. მათი კვალი შემორჩენლია სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე. ბრაიერისა დ ვინფილდის მიხედვით ეკლესია მოხატული ყოფილა წმინდანთა, მოციქულთა და ანგელოზთა ფიგურებით. აფსიდაში ყოფილა ღვთისმშობლის ფიგურაც (Bryer, Winfield 1970: 310-311).

ყურადღებას იქცევს ციხის ცენტრალური შესასვლელის მარჯვენა მხარეს წინ გამოზიდული კლდოვანი ქანის ბორცვზე შემორჩენილი წყობის ნაშთებიც. არაა გამორიცხული აქ თავის დროზე გამართული კოშკის ნარჩენები იყოს. ამ მონაკვეთიდან შესაძლებელი ხდებოდა ციხის ცენტრალური შესასვლელის ჩაკეტვა-გაკონტროლება. ციხის გალავნის კედლებს და მის შიდა სივრცეში არსებულ ნაგებობებს ემჩნევათ სხვადასხვა დროში ნგრევისა და აღდგენის კვალი.

ციხე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო ნაგებობაა ამ რეგიონის ერთიანი თავდაცვით სისტემაში. იგი უშუალოდ აკონტროლებდა ძველ გუმუშხანეზე (სულეიმანიესაკენ) და აქედან სხვადასხვა მიმართულებით გამავალ გზებს. მისი მშენებლობა ადგილობრივი ჭანური მოსახლეობის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვიანებით იგი მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გამოიყენეს და შესაბამისად აღადგინეს ბიზანტიელებმა და ოსმალებმა.

ესენიურთის (კოვის) ციხე (Kov kalesi)

(ტაბ. 22-23).

ციხე მდებარეობს გუმუშხანე ერზიჯანისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (GPS კორდინატები: N 40° 22.154 E 40° 22.154). გუმუშხანეს ცენტრიდან ერზიჯანის გადასახვევამდე 7 კმ-ია. გადასახვევიდან ციხის შესახვევამდე 6,5 კმ. აქედან სოფ. ესენიურთამდე კი- 5,5 კმ. შეივლი ორ სოფელს და სოფ. ესენიურთში შესვლამდე მარჯვნივ შეუხვევ ციხისკენ. ამ გადასახვევიდან ციხემდე კი 1,5 კმ-ია. ე.ი. სულ მთლიანი მანძილი გუმუშხანეს ცენტრიდან ციხემდე 20,5 კმ-ია.



ესენიურთის ციხის გეგმა. შეასრულა გ. დუმბაძემ

უშუალოდ ციხე ამენებულია ერზიჯანისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა წყალგამყოფი ქედის ყველაზე შემალლებულ კლდოვან ბორცვზე. აქედან ოთხივე მხრივ კარგად მოჩანს უზარმაზარი სივრცეები. კლდოვანი ბორცვი ოთხივე მხრივ ფრიალო, ციცაბო კლდოვანი რელიეფით დაბლა ეშვება. საკუთრივ კლდოვანი ბორცვი სამხრეთ-დასავლეთისკენაა წაგრძელებული. ერთად ერთი შედარებით იოლი და ვიწრო მისადგომიც მას სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. დანარჩენი მხარეები მიუვალია. ამიტომაცაა, რომ ციხის მშენებლებს ცენტრალური კარიბჭეც ამ მხრიდან გაუმართავთ. კარიბჭის ეს მონაკვეთიც საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ. მას კარგად იცავს და ამაგრებს შესასვლელის მარცხენა მხარეს გალავნის კედლებისაგან წინ გამოწეული ნახევარწრიული გეგმის კოშკი. იგი საკმაოდ დიდი ზომისაა. შემორჩენილია მისი ორი სართული. შუა წელზე კოჭებისათვის დატანილი აქვს ფოსოები (25 x 22 სმ). ჩანს, მისი I სართული ყრუ კედლებით იყო შემოსაზღვრული, ხოლო II სართულზე დატანილია სათვალთვალო სარკმლები. კოშკის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 10-11 მ-ია. ციხეს აქვს სხვა რამოდენიმე, როგორც ნახევარწრიული, ისე ოთხკუთხა ფორმის კოშკებიც. საკუთრივ კარიბჭე გამართულია გალავნის კედლის ცენტრალურ ნაწილში. იგი საკმაოდ ფართე და მაღალია, თაღი ნახევარწრიულია. სიმაღლე 4 მ-ს აღწევს, სიგანე კი-2, 60 მ-ია. კარიბჭეს მარჯვენა მხრიდან იცავს შედარებით მცირე მოცულობის ასევე ნახევარწრიული გეგმის კოშკი. მისი დაცული სიმაღლე 10 მ-ია.

საკუთრივ ციხის მთლიან გეგმას, კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს და იგი მართკუთხა გეგმისაა. მისი მთლიანი შიდა სიგრძე 59,10 მ-ია. სიგანე შესასვლელთან 13,30 მ. ცენტრალურ ნაწილში - 39 მ. ხოლო ბოლო მონაკვეთში -12 მ-ია. გალავნის კედლებში ჩართულია მრგვალი და სამკუთხა ბურჯები. ციხის შიდა სივრცეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში, თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც დღეისათვის მთლიანადაა აღდგენილი. აღდგენისას დაუფარავთ ადრეული წყობები, ამიტომ შეუძლებელი ხდება ძველ ნაგებობათა გეგმისა და ხასიათის განსაზღვრა.

აქა-იქ დაცული ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანი სამხარეულო ოთახი, ბუხრიანი ნაგებობა თუ წყლის რეზერვუარი უნდა ყოფილიყო.

ციხის სამხრეთ ნაწილში გამართული იყო შიდა ციხე. იგი საკმაოდ დიდი მონუმენტური ნაგებობა ჩანს. ძველი წყობები აქაც დაფარულია. როგორც ჩანს, აღდგენისას მისი ზომები განსაზღვრეს ადრეული კედლის ნაშთების მიხედვით. იგი თითქმის კვადრატული ფორმისაა. მისი ზომებია: სიგრძე-14,40 მ, სიგანე-14,10 მ. ამ შენობის აღმოსავლეთ ნაწილში გამართულია კლდეში ჩაჭრილი მოზრდილი წყლის რეზერვუარი. აქვეა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. გალავნის კედლებიდან ყველაზე უფრო დაზიანებული ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი. აქვე შიდა სივრცეში ფიქსირდება ოთხი პატარა ზომის შენობის ნაშთები. ისინი ორსართულიანია და ზედა ნაწილის კედლებში დატანილია სათოფურები. ბრაიერმა და ვინფილდმა აქ დამალული გასასვლელი აღმოაჩინეს. ციხის გალავნის კედლების სიგანე 1,40-1,50 მ-ს შორის მერყეობს. შიდა ნაგებობათა კედლების სიფართოე კი 80-90 სმ-ია. თუ დავუკვირდებით ადრეულ ნაშთებს, კარგად ჩანს, რომ ციხის გალავნის კედლებში გამოყენებული ქვები აშკარად განსხვავდება შიდა სივრცის ნაგებობათა კედლის ქვებისაგან. განსხვავებულია დულაბის ფერიც.

რაც შეეხება საკუთრივ ციხის გალავნის კედლებს, მათი დიდი ნაწილი დანგრეულია. ამჟამად იგი თურქ რესტავრატორებს აღუდგენიათ, მაგრამ ძალიან ცუდად. თითქმის გამქრალია ძველი წყობები. მიუხედავად ამისა აქა-იქ შემორჩენილი ნაშთების მიხედვით მაინც შეიძლება ციხის მშენებლობაში სამი პერიოდის გამოყოფა. ეს სხვაობები შედარებით კარგად ფიქსირდება აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს. მათ კარგად ემჩნევათ სხვადასხვა დროსი ნგრევისა და აღდგენის კვალი.

I. ციხის სამირკვლების დონეზე აქა-იქ, განსაკუთრებით კი სამხრეთი გალავნის კედლის ძირში, დღემდეა შემორჩენილი უსისტემო, მოშავო ფერის მოზრდილი ქვების წყობის ნაშთები, რომელიც ციხის მშენებლობაში ყველაზე ადრეული ჩანს. დულაბის ფერიც განსხვავებულია.

II. საშენებლო დონე შედარებით მოგვიანოა და იგი შეიძლება ბიზანტიური ეპოქით დათარიღდეს. ამ ეპოქის ნაშთები შედარებით ბევრგანაა კარგად დაცული. წყობებში გამოყენებულია კარგად დამუშავებული, თითქმის სტანდარტული საშუალო ზომის ქვები. რიგების ჰორიზონტალურობა ძირითადად დაცულია. ციტადელის ნაწილში კარგად ჩანს ბიზანტიური ეპოქის ციხეებისათვის დამახასიათებელი სარტყლისათვის განკუთვნილი წყობები, სადაც აგურის ნაცვლად აგურის ფორმის ქვის ფილებია გამოყენებული. დულაბის ფერიც განსხვავებულია როგორც ქვედა, ისე ზედა ნაწილისაგან.

III. პერიოდი-ესაა ციხის გალავნის კედლების ზედა ნაწილი, რომელიც ოსმალთა სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. წყობების ამ ნაწილში გვხვდება სათოფურებიც.

ასე, რომ ციხის მშენებლობაში გამოკვეთილი სამი საამშენებლო დონე ვფიქრობთ სამ პერიოდს უნდა შეესატყვისებოდეს. I საამშენებლო დონე, როდესაც აქ ციხე პირველად აიგო, ადგილობრივი ჭანური მოსახლეობის სახელს უნდა დაუკავშიროთ. II საამშენებლო პერიოდი ბიზანტიელთა ამ რეგიონში დამკვიდრებას და III კი-უშუალოდ ოსმალთა სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვფიქრობთ, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ციხის სტრატეგიული

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იგი ყველა დროში იყო გამოყენებული.

ქეჩი კალე (Keci Kale)


(ტაბ. 24-26)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა ქეჩი კალე მდებარეობს ქალაქ გუმუშხანესაგან დასავლეთით, ცენტრიდან 17 კმ-ის დაშორებით (**GPS კოორდინატები: N 40°23.160 E 39°42.005**). ციხე უშუალოდ აშენებულია გუმუშხანე ბაიბურთის გზის პირას, მდ. ხარშიტის მარჯვენა მხარის ჩრდილოეთ კუთხეში არსებული უზარმაზარი კლდის თავზე. კლდის წვერი მოსწორებულია და ქმნის საკმაოდ დიდ ფართობს. იგი ზღვის დონიდან 1560 მეტრზეა. არაა გამორიცხული ის მიქაელ პანარეტოსის მეზობალდიას (Chron., 24) და მე-17 ს. კოუაზის (თან. კოვანს ქოიუ) საეპისკოპოსოს (ChP, 15-16) შეესაბამებოდეს. უნდა აღინიშნოს რომ კოუაზის საეპისკოპო იგივე ლერის საეპისკოპოა, სადაც რეგიონისთვის ასე დამახასიათებელი აია სოფია მდებარეობს ციხიდან ჩრდილოეთით, 5 კმ-ში, თან. კაბაქოიში.

კლდოვანი ბორცვი, რომელზედაც ციხეა აღმართული, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა დამხრობილი. ციხის გეგმასაც მთლიანად კლდის კონფიგურაცია განსაზღვრავს. ციხეს მისადგომი ორი მხრიდან აქვს. აღმოსავლეთის მხარეს არსებული გზა შედარებით იოლია. ციხის გალავნის კედლებში დატოვებულია შესასვლელისათვის განკუთვნილი ჭრილი დასავლეთის მხარესაც. ციხის გალავნის კედლები სამხრეთ-სამხრეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, თითქმის მიუვალია. შიდა სივრცის სიგრძე 80 მ-მდეა. სიგანე კი-28 მ. ყველაზე ვიწრო ადგილი 17 მ-ია. ციხე სამხრეთიდან 200 მ და ჩრდილოეთიდან 140 მეტრ მანძილზე შემოსაზღვრულია ფართო კლდით. ციხის მშენებლობისას მაქსიმალურად გამოუყენებიათ კლდის ბუნებრივი შვერილები. კედლის სიგრძე ალაგ-ალაგ 7-15 მ-ია, სისქე 1,50 მ. ძველი გალავნის კედლების წყობების მცირე ნაწილია შემორჩენილი. ეს ციხეც თანამედროვე თურქ რესტავრატორებს მთლიანად აღუდგენიათ. ამის გამო ძველი გეგმის დაჭერა მთლიანობაში ჭირს. ძველი წყობები შედარებით კარგადაა გადარჩენილი სამხრეთი გალავნის კედელში. აქა-იქაა შემორჩენილი დანარჩენშიც. ციხის შიდა სივრცეში ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის ნაგებობათა ნაშთებიც. სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში წყლის რეზერვუარებია. პირველი სათავსოს სიგრძე 10 მ, სიგანე 3,70 მ. იგი მთლიანად დიდი ზომის ქვებითაა აშენებული. მეორე სათავსოსათვის კედლებად კლდის ჩამოთლილი კედლებია გამოყენებული. მისი სიგრძე 6,20 მ-ია, სიგანე-4,5 მ. გალავნის ჩრდილოეთ კედელთან მდებარეობს მართკუთხა გეგმის თალიანი შენობის ნაშთებიც. მისი ზომებია: 6,30X2,50 მ. მსგავსი გეგმის ნაგებობა ფიქსირდება ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშიც (7,90 X 3,50მ). არაა გამორიცხული ისინი საღვინე სახლებად ან სურსათის შესანახ საწყობებად ყოფილიყო გამოყენებული. ამ ტიპის ნაგებობები შავშეთში, წეფთის ციხის ტერიტორიაზეცაა კარგად შემონახული. ციხის დასავლეთ კუთხეში დატანილია კოშკი, რომელიც თავის დროზე ოთხკუთხა გეგმის უნდა

ყოფილიყო, თუმცა აღდგენის გამო ძველი იერსახე დაკარგული აქვს. იგი დღეისათვის ოვალური მოყვანილობისაა. კოშკის გვერდით ასევე დასავლეთი კედლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 15 მ სიგრძის ბუნებრივი კლდის ნაწილში, სამალავია განთავსებული. მის შესასვლელში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კედელია აშენებული.

ქეჩი კალეს ციხე



გეგმა № 1:200
ფორმატი A1

ქეჩი კალეს ციხის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

ციხეს დასავლეთის მხარეს კლდოვან ნაპრალებში დამატებით ჰქონია საიდუმლო გვირაბი, რომლის შესასვლელი საგანგებოდ ყოფილა გამაგრებული კედლით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ციხის გარეთა ჩრდილოეთი ტერიტორია. ამ მხარის ფარიალო კლდის ძირში თითქოსდა ცალკე ნაგებობად გამოიყურება დიდი მოცულობის ციხის ნაშთები. მშენებლებს კარგად გამოუყენებიათ ბუნებრივი შესაძლებლობები და დიდი ზომის დამცავი ნაგებობა აღუმართავთ. კლდის ძირის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ მხარეს, ქვის შვერილები ხეობისაკენ ეშვება. შვერილებს შორის მოქცეული საკმაოდ დიდი სივრცეები მშენებლებს ამოუშენებიათ და საკმაოდ მყარ კედლებად უქცევიათ. აღმოსავლეთის მხარის ყველაზე შემადლებულ კლდოვან ბორცვზე მოზრდილი კოშკიც დაუშენებიათ. დღემდე მოღწეულია მისი კედლების ნაშთები. კოშკიდან სამხრეთით სალ კლდემდე მოზრდილი კედელი ჩაუშენებიათ. ასეთივე კედლის ნაშთებია დაცული დასაწყისშიც. იგი საკმაოდ კარგადაა შემონახული. მისი სიგრძე 12 მ-მდე აღწევს, დაცული მაქსიმალური სიმაღლე კი-5,30 მ-ს. ასევე კარგად გაუმართავთ და გაუმაგრებიათ დასავლეთი ნაწილიც. აქაც შემონახულია დიდი ნაწილი ჩაშენებული კედლებისა. გვერდითი კედლების ბოლო მონაკვეთები საკმაოდ გრძელი გალავნის კედლით შეუკრავთ. ეს კედელი დღეისათვის საკმაოდ დაზიანებულია. შედარებით კარგად შემორჩენილია მისი დასავლეთი მონაკვეთი. ცენტრალურ ნაწილში აქა-იქაა დაცული წყობები. აღმოსავლეთით კი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ამ კედლის

საერთო სიგრძე დაახლოებით 60-65 მ-ს აღწევს. ამ გრძივ კედელს ემჩნევა სხვადასხვა დროში ნგრევისა და აღდგენის კვალი. ეს არცაა გამორიცხული, რადგან საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი დარტყმა ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. იგი ერთადერთი წერტილია ქეჩი კალეს ამ მთელ სისტემაში, სადაც ხეობიდან იყო შედარებით იოლი მისადგომი. რაც შეეხება კლდის შვერილებს შორის ჩაშენებულ გვერდით კედლებს, აქ ქვედა წყობები კარგადაა დაცული და მათი თავდაპირველი სახე კარგად იკითხება.

ციხის კომპლექსში ასევე ყურადღებას იქცევს ჩრდილოეთი ფრიალო კლდის ცენტრალური მონაკვეთი. აქ დედა ქანისაგან ხეობისაკენ წინ წაზიდულია ნახევარწრიული გეგმის კლდოვანი ბორცვი. ციხის მშენებლებს მის თავზე, ასევე ნახევარწრიული გეგმის კოშკი დაუშენებიათ. მისი ზედა ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და ნაწილობრივ დასავლეთი კედლების ნაშთები. ეს კოშკი ზემოდან დაჰყურებს ქვედა ციხეს და ამავე დროს დამატებით ამაგრებს კლდის თავზე არსებულ ქეჩი კალეს. მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იგი შეიძლება სასიგნალო ფუნქციასაც ასრულებდა. ასე, რომ ციხის ჩრდილოეთი მხარის ძირში საკმაოდ დიდი ზომის დამატებითი ნაგებობაა, რომელიც როგორც ჩანს ისედაც ძნელად მისადგომ ქეჩი-კალეს უმაგრებდა ჩრდილოეთ მხარეს. არაა გამორიცხული, იგი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულიყო, როგორც ცალკე მომიჯნავე საფორტიფიკაციო ნაგებობა.

რაც შეეხება როგორც ზედა, ისე ქვედა ციხის საამშენებლო ხელოვნებას, აღვნიშნავთ, რომ როგორც ერთ, ისე მეორე ნაგებობის კედლებს მიუხედავად საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად შეცვლილი სახისა, კარგად ემჩნევა სხვადასხვა დროში ნგრევისა და აღდგენის კვალი. ზედა, ქეჩი კალის გალავნის კედლების ქვედა დონეზე აქა-იქ შემონახულია საშუალო ზომის გვერდებ ჩამოსწორებული ქვების წყობები, სადაც დულაბის ფერი ვიზუალურად გარედან არ ჩანს. ამ ტიპის ნაგებობებს შორის რიგები მეტნაკლებად დაცულია. გალავნის კედლების მომდევნო ნგრევების შედეგად აღდგენილი კედლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. განსხვავებულია ქვის ზომეებიც, ფერიც, რიგებიც და კირის ხსნარის სხვადასხვა დოზით გამოყენების შემთხვევებიც. მეტნაკლებად ასეთივე სიტუაციაა ქვედა ციხის გალავნის წყობებშიც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში და დასავლეთის მხარის შემორჩენილ კედლებში. რაც შეეხება აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ ნაშთებს, აქ კედლის წყობებში კარგად ჩანს დამუშავებული ქვებით გამართული ჰორიზონტალური რიგები.

ასე, რომ ციხის მშენებლობაში გამოიყოფა მშენებლობის რამოდენიმე პერიოდი. ყველაზე ადრეული - ქვედა ციხის კედლები ადრე ბიზანტიური ხანის უნდა იყოს, დანარჩენი კი ტრაპიზონის და ოტომანთა იმპერიების დროინდელი. დასავლეთი კოშკი კიდევ უფრო გვიანდელია. შესაძლებელია 1829 წ რუსული ოკუპაციის დროინდელიც კი (Bryer, Wien-fied, 1985: 312). ტ. სინკლერი, რომელიც ციხის გადარჩენილ კედლებს მე-14 ს ათარიღებს, არ გამორიცხავს, რომ მისი აგება ბიზანტიელების მოსვლამდე მომხდარიყო (Sinclair, 1989:13). შესაძლებელია ადრეული საამშენებლო დონე, ადგილობრივ, ჭანურ მოსახლეობას დაუკავშიროთ. ფაქტობრივად, ამის ალბათობას ბრაიერი და ვინფილდი ქალდიისადმი

მიძღვნილ ზოგად მიმოხილვაში, 22-ე თავის შესავალში რეგიონის ყველა მნიშვნელოვანი ციხის მიმართაც არ გამოორიცხავენ (Bryer, Wienfiled, 1985: 301).

ციხესთან ახლოს მდებარე სოფ. ქვედა ჰურუსუფლას (Hurusüfla) სამხრეთით, 3,2 კმ დაშორებით არის კარგად ნაშენი მოპირკეთებული ქვებისაგან შედგენილი კედლების ნაშთები. როგორც ამბობენ, აქ ყოფლა ციხე. ირგვლივ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოსა და ოქროს მონეტები, ტერაკოტა, წყლის მილები რაც აქ რომალების არსებობაზე მიუთითებს. უხუცესებს ახსოვთ ტრაპიზონიდან მომავალი და ასევე გუმუშხანედან ერზიჯანამდე აქ გამავალი ძველი გზა. იგი შემდეგნაირი მარშრუტის ყოფილა: ჰურუსუფლა (Hurusüfla) - კოსე (Köse) - ჰავჯიში (Havciş) - კილიჩი (Kiliçci) - სადაკი (Sadak) (Mitford, 2018: 354-355).


აქჩა კალე (Akçakale)

(ტაბ. 27-29)

ციხე ხარტიშის ხეობის მარჯვენა სანაპიროს წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთ ყველაზე შემადლებულ კლდოვან ქანზეა დაშენებული (GPS კოორდინატები: N 40° 26.754 E 39° 31.149). იგი ზღვის დონიდან 1619 მ-ზე მდებარეობს და ზემოდან გადაყურებს მთელ ხეობას სიგრძე-სიგანეზე და თანამედროვე გუმუშხანეს. ასევე იგი პირდაპირ გასცქერის ამ ოლქის ძველ ცენტრს- გუმუშხანეს, რომელსაც ამჟამად სულეიმანიე ეწოდება. აქჩა კალე თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ძველი გუმუშხანეს ერთიანი თავდაცვითი სისტემისა. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილში არსებულ სასიმაგრო ხასიათის ნაგებობებს, რომლებიც როგორც გარე, ისე შიდა სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს შესანიშნავად აკონტროლებდნენ.

საკუთრივ ციხე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი კლდეთა სისტემის ცენტრალურ მონაკვეთში არსებული შემადლებულ კონცხზეა დაშენებული. ციხის გეგმასა და გალავნის კედლების კონფიგურაციას საკუთრივ კლდის რელიეფი განსაზღვრავს. ციხის შიგნით არსებული მთლიანი ფართობი დაახლოებით 160 კვ-მ-ია. მისი შიდა მაქსიმალური ზომებია: 10 X14,5-ზე.

ციხის მშენებლობისას მაქსიმალურად გამოუყენებიათ კლდის ბუნებრივი შვერილები. გალავნის კედლები კლდოვანი ბორცვის გარე კიდეებს მიუყვება ისე, რომ იგი მათ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს სივრცეში. ციხეს ქონია ერთადერთი საკმაოდ რთული მისადგომი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. ამ მონაკვეთში გალავნის კედლებიც დღემდე შედარებით კარგადაა შემორჩენილი. ციხის მთავარი შესასვლელიც გალავნის ამ კედლის ცენტრალურ ნაწილში ყოფილა დატანილი.



ახაკალეს ციხის გეგმა. შეასრულა გ. დუმბაძემ

იგი აღმოსავლეთით ბუნებრივ შვერილი კლდის ქანზეა მიშენებული. მისი სიგრძე 4,30 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე-4,45 მ. საკუთრივ აქ გამართული კარიბჭის დიდი ნაწილი დაზიანებულ-გამონგრეულია, თუმცა სიმაღლე მაინც იზომება და იგი 2,20 მ-ია. სიგანე კი გამონგრეული ნაწილის ჩათვლით 2,40 მ-ია. ეს კედელი დანარჩენთან შედარებით ფართეცაა (1,50 მ) და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მისი გადალახვის შემდეგ პირდაპირ ციხის ტერიტორიაზე შედიხარ. ციხის კარიბჭის მონაკვეთი სხვა მხრივაც იყო დაცულ-გამაგრებული. საქმე იმაშია, რომ ბორცვის ამ მონაკვეთში საერთო მასისაგან წინ გაზიდული 8 მ სიმაღლის და 4,5 მ სიფართის ოთხკუთხა ფორმის ბუნებრივი კლდის შვერილია. ციხის მშენებლებს იგი მაქსიმალურად გამოუყენებიათ. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მის ცენტრალურ ნაწილში გალავნის კედელი მიუშენებიათ, ხოლო წვერზე კოშკი დაუშენებიათ. ამ კოშკის ფორმასა და ზომებსაც საკუთრივ კლდის შვერილის ფორმა განსაზღვრავს. იგი ოთხკუთხა ფორმისაა. შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი 1-1,5 მ სიმაღლეზე, დანარჩენი დანგრეულია. მისი ზომებია: 4,10X3,20 მ. ამ კოშკის ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო დასავლეთით მის ძირში ციხის ცენტრალური შესასვლელისაკენ მიმავალი ბილიკის და კარიბჭის დაცვა. იგი ამავე დროს შესანიშნავად აკონტროლებდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი გალავნის კედლის მისადგომებსაც. კოშკის ეს ნაწილი ციხის და საერთოდ ამ სივრცის ყველაზე შემალღებული ნაწილია. არაა გამორიცხული მას სხვა ციხეებთან საჭიროების შემთხვევაში სასიგნალო ფუნქციაც ქონოდა.

კარგადაა შემონახული გალავნის ჩრდილოეთი კედელიც. ჩვენამდე მოღწეული შემორჩენილი ნაშთების მაქსიმალური სიმაღლე აქ 7-9 მ-ს შორის მერყეობს. მის ცენტრალურ ნაწილში, სამირკვლის დონეზე ფიქსირდება 1,80 მ სიმაღლისა და 1,20 მ სიფართის საპირე ქვების ჩამონაშალი.

კარგადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთი გალავნის კედლის ნაშთებიც. შემორჩენილი

მაქსიმალური სიმაღლე 9-10 მ-ს აღწევს. აქ საძირკვლების დონეზე ყურადღებას იქცევს და კარგად ფიქსირდება უფრო ადრეული ციხის ნაშთები. კედლის ცენტრალურ ნაწილში საძირკვლების დონეზე დაცულია 1,60 მ სიმაღლის ციხის ზედა ნაწილის წყობებისაგან განსხვავებული ნაშთები. ძველში გამოყენებულია მოზრდილი და გვერდებჩამოსწორებული ქვები. წყობა უსისტემოა. ქვის და აქა-იქ გამოყენებული დუღაბის ფერიც მკვეთრად განსხვავებულია ზედასაგან.

რაც შეეხება გალავნის კედლის სამხეთ-აღმოსავლეთ ნაწილს იგი საძირკვლების დონემდეა მორღვეული. ციხის გალავნის ზედა ნაწილებში აქა-იქ ჩანს მოგვიანო პერიოდის ქვის უსისტემო წყობები. იგიც სრულიად განსხვავდება ქვის მოცულობებით, ფერით და დუღაბის გამოყენების ტექნიკით დანარჩენისაგან. ამ ციხეზეც აშკარად იკვეთება ნგრევისა და მისი აღდგენის სამი პერიოდი. პირველი, რომლის ნაშთებიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა აქა-იქაა შემორჩენილი, აშკარად ადრეულია და მისი მშენებლობა აქაური უძველესი მკვიდრი მოსახლეობის ჭანების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. რაც შეეხება მეორე საამშენებლო დონეს, სადაც წყობაში უმეტესად სტანდარტული ცუდად დამუშავებული ქვები გამოყენებული, თანაც რიგები მეტნაკლებად დაცულია, ბიზანტიური პერიოდისა უნდა იყოს. რას შეეხება, ზედა ნაწილს ციხისას, იგი ოსმალთა სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დორთკონაკის (ედირეს) ციხე (Dörtkonak (Edire) Kale

(ტაბ. 30-31)

ციხე ტრაპიზონ ძველი გუმუშხანე ბაიბურთისაკენ მიმავალი გზის დორთკონაკის (ედირეს) მონაკვეთში მდებარეობს (**GPS კოორდინატები: N 40° 24.699 E 39° 22.220**). აქედან ძველ გუმუშხანეს ადმინისტრაციულ (თანამედროვე სულეიმანიე) ცენტრამდე 18 კმ-ია. გზები, რომელიც გერასუნიდან ხარშიტის, ხოლო მეორე გზა, რომელიც ტრაპიზონიდან დელირმენდერეს ხეობით მოდიოდა, თორულის ვიწრო გასასვლელ ყელთან ერთიანდება. აქედან იგი ხარშიტის ხეობის მარცხენა მხარეს მიუყვება და შემდეგ იქისუსა და ხარშიტის წყლების ხერთვისიდან მარჯვნივ შეუხვევს. ხერთვისს კარგად აკონტროლებს მდინარის მარჯვენა მხარეს არსებული ფუმბულას და მარცხნივ კი-იქისუს (იგივე დიპოტამოსის) ციხეები. ხერთვისიდან დაახლოებით 5 კმ-ში გზა ორად იყოფა. ერთი პირდაპირ იქისუს ხეობით ერზიჯანისაკენ, თუ შირანისაკენ მიდის, ხოლო მეორე მარცხნივ უხვევს და იქისუს მარჯვენა შენაკად ყარამუსტაფას ხეობით ბაღჩექოის-ჰასქოის, დორთკონაკის, იაიდემირის გავლით სულეიმანიეში ანუ იგივე ძველი გუმუშხანეს ცენტრში ჩადის. აქედან კი ბაიბურთის თუ სხვა რეგიონებისაკენ მიემართება. ეს ის ძველი გზის მონაკვეთებია, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან. დორთკონაკის ციხე სწორედ იქისუს ხეობიდან ყარამუსტაფას ხეობით ძველი გუმუშხანესაკენ მიმავალი გზის დასაწყისს

აკონტროლებდა. სწორედ აქედან იქისუსა და ყარამუსტაფას ხერთვისიდან იყრება ძველი გზები ორი მიმართულებით-ერზიჯანისაკენ და მეორე გუმუშხანე-ბაიბურთისაკენ. საკუთრივ ციხისათვის ხეობის დასაწყისში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევიათ. აქ ორივე მხარის მაღალი კლდოვანი ქედები ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ერთმანეთს და ვიწრო ყელს ქმნიდა. ციხის მშენებლებს სწორედ ყარამუსტაფას ხეობის მარჯვენა კლდოვანი ქედის ბოლო მონაკვეთი შეურჩევიათ. ციხე უშუალოდ ამ ქედის ბოლოს, ხეობისაკენ წინ წაზიდული კლდოვანი შვერილების ყელზე შემადლებული კლდის წვერზე დაუშენებიათ. ციხის გეგმასაც მთლიანად კლდოვანი შვერილის მოყვანილობა განსაზღვრავს. ციხის გალავნის კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. დღემდე შედარებით კარგადაა შემონახული სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი. იგი ჩაშენებულია კლდის შვერილებს შორის სივრცეში. მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 7-8 მეტრია. კარგად ჩანს სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების შეერთების ნაწილიც. აქ სამხრეთი კედელი რელიეფის შესაბამისად ერთგვარ შიგნით შეწყულ ტეხილს ქმნის. აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთში შემორჩენილია კოჭებისათვის განკუთვნილი სამი ფოსო. იქვე, მათ ქვემოთ გალავნის კედელში, დატანილია სამკუთხედისებური ფორმის სათვალთვალო, ხოლო ძირში 2,30 მ-ის სიმაღლეზე, კლდეებს შორის ჩაშენებულ სივრცეში, კი - ორი თაღოვანი სარკმელი. ამავე მხარის ქვედა ნაწილში გამართულია კლდეში ნაკვეთი და მარჯვენა მხრეს ამოშენებულ კედლიანი სამალავი. აქ მხოლოდ და მხოლოდ ბაწრით თუ შეიძლება ციხის ტერიტორიიდან დაშვება. გალავნის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები საძირკვლის დონემდეა მოშლილი. კლდის ზედაპირზე მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი მათი ნაშთები. აღმოსავლეთი და სამხრეთ კედლების მიხედვით ციხის მშენებლობაში შეიძლება ორი პერიოდი გამოიყოს. ერთი, რომელიც ადრეულია და განსხვავდება ზედა ნაწილისაგან. გალავნის კედელს შუა წელზე 0,70 მ სიმაღლის სარტყელი აქვს, რომელზედაც შემდეგ დაუშენებიათ ახალი კედლები. წყობები ქვედასა და ზედა ნაწილისა აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგები არცერთში არაა დაცული. უმთავრესად გამოყენებულია გვერდებჩამოსწორებული საშუალო ზომის კლდის ფლეთილი ქვები. ციხის მშენებლობის ადრეული ეტაპი ვფიქრობთ აქაურ უძველეს ხალდურ (ჭანურ) მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ჩანს, შემდეგ დაინგრა და იგი ხელახლა აღადგინეს ბიზანტიურ პერიოდში.

თორულის ციხე (Torul kalesi)

(ტაბ. 32-33)

თორულის ციხე (ძვ.არდასა) მდებარეობს თანამედროვე თორულთან, ზღვის დონიდან 1112 მ-ზე. (GPS კოორდინატები: N 40° 33.373 E 39° 17.800'). აქ უძველეს დროიდან (სხვათაშორის ახლაც) თავს იყრის ზღვისპირეთიდან პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან დამაკავშირებელი ორი გზა. პირველი გზა ძველი გერასუნიდან ხარშიტის ხეობით ადიოდა აქ. მეორე კი

ტრაპიზონიდან დელრიმენდერეს ხეობით და ზიგანას უღელტეხილის გადალახვის შემდეგ ჩადიოდა ასევე თორულში. ორივე გზა თორულისაგან ჩრდილო-დასავლეთით ხარშიტის ხეობის ყველაზე შევიწროებული კლდოვანი ქედების ძირში იყრიდა თავს. აქედან კი ძველი საქარავნო გზა ბაიბურთის, ერზინჯანის თუ სხვა მიმართულებით მიდიოდა. ფაქტიურად თორულის ციხე ამ გზების შესაყარს აკონტროლებდა. იგი ზიგანას ციხის შემდეგ მოდის. მას ადრე არდასა ერქვა. ესპანელი ელჩი კლავიპო, რომელიც არდასას შეცდომით კაბაკად მოიხსენიებს, გვაძლევს ამ ციხის ადგილმდებარეობის აღწერას. დღესაც ციხესთან გამავალი გზა ვიწროვდება, ვინაიდან აქ ერთის მხრივ მდინარე ხარშიტია, ხოლო მეორეს მხრივ კლდე, სადაც წამოჭიმულია ციხე.

თანამედროვე ბერძენი კომენტატორები თორულის ციხეს მიქაელ პანარეტოსთან მოხსენიებულ მეზოხალდიასთან (Chron., 74) აიგივებენ, სადაც ალექსი III და მისი ოჯახობა ეპიდემიას გამოექცა (1362 წ). თუმცა ამ ჰიპოთეზას ბრაიერი და ვინფილდი არ ეთანხმებიან (Bryer, Winfield, 1985: 302). ციხე დაშენებულია მდ. ხარშიტის ჩრდილოეთით, მარჯვენა სანაპიროზე არსებული თორულისა და გუმუშხანეს გამყოფი ერთ-ერთი ყველაზე შემალღებული ქედის ხეობისაკენ წაგრძელებული კლდოვანი ქანის შვერილებზე. იგი ზემოდან დასცქერის აქ გამავალი გზების შესაყარს. ფაქტიურად იგი ჩამკეტი ციხეა.

ქედის ამ ნაწილში რამოდენიმე კლდოვანი შვერილია. ისინი საერთო ზედაპირიდან მაღლა არიან აზიდული. მათგან ცენტრალურ ბორცვზეა დაშენებული ციხის ძირითადი ნაწილი. ჩანს, რომ მას ცენტრალური შესასვლელი აღმოსავლეთით ჰქონია. ვიწრო მისადგომს უზარმაზარი კლდეთა შვერილები იცავს. მათ შორის ვიწრო ბილიკი უშუალოდ კარიბჭეს ადგებოდა. იგი დღეისათვის გამონგრეულია და მისი ზომების აღება ვერ ხერხდება. საკუთრივ ციხის ძირითადი ნაწილი ხეობის მხარეს ამოზრდილ კლდეზეა დაშენებული. მის გვემას მთლიანად კლდის თავის მოყვანილობა განსაზღვრავს. ციხის მშენებლებს მაქსიმალურად გამოუყენებიათ ბუნებრივი შვერილები ისე, რომ ციხე სივრცეში კლდის გაგრძელებას წარმოადგენს. შედარებით კარგადაა შემონახული დასავლეთით სალ კლდეზე დაშენებული კედლების ნახევარი. ნაწილობრივ დაცულია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებიც. დანარჩენი საძირკვლის დონემდეა მონგრეული. შემონახულ კედლებში სხვადასხვა სიმაღლეზე გვხვდება სათვალთვალო სარკმლებიც.

ციხის ცენტრალური ნაწილის გარდა ნაგებობათა მცირე ფრაგმენტები დაცულია მისგან ჩრდილო აღმოსავლეთითაც. დღემდე მოღწეული ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ციხეს სულ ცოტა ორჯერ მაინც განუცდია ნგრევა და აღდგენა. ციხის ადრეული ქვედა წყობები თლილი საშუალო ზომის ქვებითაა აშენებული. რიგების ჰორიზონტალურობა აქა იქ დაცულია. ძირითადი კოშკის ქვემოთ კლდეში ნაკვეთი სათავსოა. დღეისათვის ციხეზე შესრულებული საკონსერვაციო სამუშაოების გამო, მათი დიდი ნაწილის პირვანდელი სახე შეცვლილია. ხელისუფლებამ ციხემდე მიიყვანა კარგად მოასფალტებული გზაც. აქვე ციხის გარშემო არსებული ტერიტორიის მოსწორების შემდეგ, გაუმართავთ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებიც. იგი დასვენებისა და კულტურის ცენტრად უქცევიათ.

ვფიქრობთ საკუთრივ ციხის მშენებლობის ადრეული წყობები, ადგილობრივ

მოსახლეობასთან უნადა იყოს დაკავშირებული, ხოლო ზედა ნათალი ქვებით გამართული კედლებით აღდგენა-გამაგრება კი ბიზანტიურ ეპოქაში უნდა მომხდარიყო. მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მოგვიანებით როგორც ჩანს, ციხეს ოსმალებიც იყენებდნენ.

იალინ კავაქის (სოროიანას) ციხე (Yalin kavak kale)

(ტაბ. 34-35)

ციხე მდებარეობს ხარშიტის მარცხენა შენაკად იქისუს წყლის აუზში (GPS კოორდინატები: **N 40° 26.638 E 39° 15.628'**). იქისუს და ხარშიტის ხერთვისიდან ტრაპიზონ შირანისაკენ მიმავალი გზის მე-12 კმ-ზე, მდ. იქისუს მარცხენა მხრიდან უერთდება სოროიანას წყალი. აქედან ხეობის აყობებით 5 კმ-ში მდებარეობს სოფელი სოროიანა. საკუთრივ სოფელი სამ მეჰელედ იყოფა: სოროიანა, ბაიანა და გორიანა. ციხე სწორედ სოროიანას უბანში (მეჰელეში) მდებარეობს. აქაურთა გადმოცემით ხეობასა და ციხისძირში გამავალ გზას იფექიოლი (აბრეშუმის გზა) ჰქვიადა. იგი ხევის დაყოფებით ტრაპიზონ-შირანის გზამდე ჩადიოდა და აქედან უკვე შეიძლებოდა ნებისმიერი მიმართულებით წასვლა. მარცხნივ გუმუშხანეს გავლით ბაიბურთისაკენ, ხოლო მეორე მხრივ თორულით ტრაპიზონის და ძველი გერასუნისაკენ.

ციხე საკუთრივ სოროიანას წყლის ხეობის მარცხენა მხარეს, სოფლის თავშია. იგი სამანქანე გზიდან 200 მეტრითაა დაცილებული. ნაგებობა მდინარისკენ მკვეთრად დახრილი ქედის ბოლო მონაკვეთში ერთიმეორის გვერდით მდგარი ორი უზარმაზარი შემადლებული კლდოვანი ქანიდან, მარცხენაზეა დაშენებული. ციხის სამი მხარე, სამხრეთის გარდა, ციცაბო კლდეებით ეშვება ქვემოთ ხეობისაკენ და მიუვალა. ციხის გეგმას აქაც კლდოვანი შვერილის მოყვნილობა განსაზღვრავს. ციხის მშენებლებს კლდოვანი ქანის შვერილები მაქსიმალურად გამოუყენებიათ და მათ შორის სივრცეები ამოუშენებიათ. გალავნის კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემონახული სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი, იგი 15 მ სიგრძისაა. შემორჩენილი სიმაღლე აქა-იქ 3-5 მეტრს აღწევს. ნაწილობრივ გადარჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კედელი, მისი სიგრძე 8,60 მ-ია, დასავლეთის-5,60 მ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის-10 მ-ია. ჩრდილოეთის მხარეს მთლიანად 47 მ სიგრძის სალი კლდეა. აღმოსავლეთ ნაწილში კლდოვანი კონცხია. ციხის მშენებლებს ეს ტერიტორია კარგად გამოუყენებიათ და ზედ ნახევარწრიული გეგმის კოშკი დაუშენებიათ. კოშკი დღეისათვის საკმაოდ დაზიანებულია. თითქმის საძირკვლის დონემდეა გამონგრეული აღმოსავლეთის მხარეს. მისი ჩრდილოეთი კედლის ნაწილიც დაზიანებულია. ჩრდილო-დასავლეთი მხარე კი შედარებით კარგადაა შემონახული 6,5 მ სიმაღლეზე. ასევე კარგადაა შემორჩენილი კოშკის სამხრეთი კედელიც. მის აღმოსავლეთ ნაწილში დატანილია სათვალთვალო სარკმელი. კოშკსა და კლდოვან ქანს შორის სივრცეში ჩაშენებულია საკმაოდ მაღალი და ფართე კედელი. ფაქტიურად კლდოვან ქანსა და კოშკს შორის 4,5 მ სიგრძის სივრცე ამ

კედლითაა გამაგრებული. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი 4,5 მ სიმაღლეზე საძირკვლის დონემდეა გამონგრეული. ზედა ნაწილი კი 1,5 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. შემონახულია კედლის წყობები ჩრდილოეთის მხარის სალი კლდოვანი ქანის გრძივ ტერასაზე. ამ კედლით შექმნილია დამატებითი ბარიერი ციხის შედარებით სუსტი წერტილების დაცვის მიზნით. ამ კედლის საერთო სიგრძე დაახლოებით 25 მეტრამდეა. ამჟამად შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე კი 1,50-3 მ-მდე აღწევს.

ციხის მშენებლობაში ზოგან (უმეტესად ქვედა ნაწილში) დაცულია რიგები. ზედა ნაწილში კი არა. წყობაში გამოყენებულია მოგრძო ფორმის გვერდებჩამოსწორებული ქვები. ამ ციხესაც ემჩნევა ნგრევისა და ხელახლა აღდგენის კვალი. ვფიქრობთ, ეს საფორტიფიკაციო ნაგებობაც ამ რეგიონის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილია და შესანიშნავად აკონტროლებდა ამ ხეობაზე გამავალ გზას. ციხე საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს და მისი მშენებლობა ვფიქრობთ ადგილობრივ ქანურ მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

იქისუს (დიპოტამოსის) ციხე (Ikisu kalesi)

(ტაბ. 36)

თორულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ში, იქ სადაც მდ. იქისუს, იგივე ყარამუსტაფას, იგივე დიპოტამოსის მდინარე ხარშიტს უერთდება, თანამედროვე სოფელი ოვუნდუსა. სოფელის ცენტრში გამავალი მდინარის მარჯვენა მხარეს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ოვუნდუს ციხეა. მის საპირისპიროდ, მდინარის მარცხენა მხარეს კი - იქისუს ციხე (GPS კოორდინატები: N 40° 31.144' E 39° 20.774). მისთვის ციხის მშენებლებს მეტად ხელსაყრელი ადგილი შეურჩევიათ. ნაგებობა მაღალ წოწოლა კლდის თავზე დაუშენებიათ. იგი ოთხივე მხრივ ფაქტიურად მიუვალია. ერთადერთი შედარებით საკმაოდ რთული მისადგომი სამხრეთ აღმოსავლეთიდან აქვს. ნაგებობა ისეა შერწყმული კლდოვან რელიეფთან, რომ თითქმის შეუმჩნეველია და მთის კლდოვანი შერეული შთაბეჭდილებას ტოვებს სივრცეში. დღეისათვის შემორჩენილია მისი ჩრდილოეთი კედელი, რომლის მაქსიმალური სიმაღლე 6-7 მ-ს აღწევს. დანარჩენი გალავნის კედლები საძირკვლების დონემდეა მორღვეული. ემჩნევა ნგრევისა და აღდგენის კვალი. ციხის ძირითადი ნაწილი ნაგები ყოფილა კვადრატული ფორმის დამუშავებული ქვებით, წესიერი წყობით კირხსნარზე. ეს ნაგებობაც ოვუნდუს ციხე კომპლექსის მსგავსად, ადგილობრივთა აშენებული უნდა იყოს. ჩანს მისი მოგვიანო ეპოქებშიც გამოყენების კვალიც. იგი ოვუნდუს ციხესთან ერთად აკონტროლებდა გუმუშხანე ბაიბურთისაკენ თუ შირან ერზიჯანისაკენ მიმავალ გზებს. მათ შორის ის განსხვავებაა მხოლოდ, რომ ოვუნდუს ციხე ზედ გზაზეა, ხოლო იქისუს კი ოდნავ ზემოთ და იქედან დაჰყურებს გზასაც და ციხესაც.

ციხე კომპლექსიდან 500 მ -ში სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო ოვუნდუს ციხიდან

სამხრეთით 150 მეტრში მდებარეობს საკმაოდ საინტერესო საეკლესიო ნაგებობა, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ოვუნდუს ციხე (Övüdü kalesi)

(ტაბ.37-38)

ციხე გუმუშხანედან 15 კილომეტრითაა დაცილებული. იგი ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ოვუნდუს აღმოსავლეთით 30-40 მ სიმაღლის კლდის პლატოზეა დაშენებული (GPS კოორდინატები: **N 40° 31.205' E 39° 20.758**). მისგან ჩრდილოეთით მდ. ხარშიტი, ხოლო დასავლეთით მეორე მდინარე იქისუ (დიპოტამოსი) მიედინება. იგი იქისუს მარჯვენა სანაპიროზეა. ციხიდან ხარშიტისა და იქისუს ხერთვისამდე 200 მეტრია. აქედან იქსაქსება შავიზღვისპირეთიდან მომავალი გზები სხვადასხვა მიმართულებით. ერთერთი გზა გუმუშხანესაკენ, ხოლო შემდეგ ბაიბურთისაკენ მიდიოდა. მეორე კი- შირან ერზიჯანისაკენ. ამ გზების გასაყარს აკონტროლებდა სწორედ ოვუნდუს და მისგან მდინარის მარცხენა სანაპიროს მაღალ კლდოვან კონცხზე დაშენებული იქისუს, იგივე გიპოტამოსის ციხე. ორივე საფორტიფიკაციო ნაგებობა ერთმანეთს გაჰყურებს. მათ შორის დაახლოებით ხუთას მეტრამდე იქნება დაცილება. ოვუნდუს ციხის ძირში გაივლიდა სწორედ ცენტრალური ტრასა და 5 კილომეტრის შემდეგ ნაწილდებოდა გუმუშხანე ბაიბურთისა თუ ერზიჯან შირანისაკენ. აქედან ერზიჯანამდე 160 კმ-ია. საკუთრივ ციხის კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. ციხის სამხრეთით დღეისათვის შემორჩენილია 7 მ. სიგრძისა და 6 მ სიმაღლის კედელი. სისქე-90 სმ-ია. ციხეზე ასვლა საკმაოდ ძნელია. შიდა სივრცის სამხრეთ მონაკვეთში დაცულია 1,60 მ. დიამეტრის და 0,70 მ სიღრმის კლდეში ნაკვეთი წყლის ცისტერნა. ციხის მშენებლობაში გამოყენებულია საშუალო ზომის ნათალი ქვები. რიგებს შორის ჰორიზონტალურობა დაცულია. მისი მშენებლობაც ადგილობრივ ხალდეურ მოდახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მას, როგორც ჩანს თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო იყენებდნენ ბიზანტიურ თუ ოსმალურ ხანაშიც.

ბეიჩამის (ჰურის) ციხე (Beycam kalesi)

(ტაბ. 39)

მდებარეობს ჰურდერეში, იურთლარის ხეობაში (Yurtlar dere) თანამედროვე სოფელ ბეიჩამში (GPS კოორდინატები: N 40° 19.771 E 39° 42.327'). ციხე აგებულია სოფლის ბოლოში. მისთვისაც მაღლა აზიდული კლდოვანი ქანი შეურჩევიათ. დაცული ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ დასავლეთის მხრიდან ციხე დაშენებული ყოფილა ბუნებრივ კლდეზე, ხოლო

აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით თავის დროზე შემოსაზღვრული ყოფილა მაღალი გალავნის კედლებით. დღეისათვის ისინი საძირკვლების დონემდეა დანგრეული. აქა იქაა შემორჩენილი მცირე ნაშთები. მთავარი შესასვლელი როგორც ჩანს აღმოსავლეთის მხარეს ჰქონია. შიდა ტერიტორიაზე ანაკრეფი მასალების მიხევით, ციხე ადრე შუასაუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ეს ნაგებობაც ადგილობრივი მოსახლეობის- ჭანების მიერ უნდა იყოს აგებული. მისი ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო გუმუშხანე ბაიბურთის ცენტრალური გზისაკენ ხეობიდან მიმავალი, ისე აქეთ მომავალი გზის გაკონტროლება.

კოდლის ციხე - გუმუშკაია (Gúmuşkaya kalesi)

ციხე გუმუშხანეს დასავლეთით 23 კმ-ზე სოფ. დიბერდის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დიდ კლდეზეა აგებული. ციხე საშენი მასალისა და მშენებლობის ხელოვნების მიხედვით შუა საუკუნეებისაა. იგი საკმაოდ სტრატეგიულ ადგილასაა აშენებული და ალთინფინარ-შირან-თორულ-გუმუშხანეს გზების დამცველია. შესაბამისად ერთდროულად აქ გამავალი გზების გასაკონტროლებლად და ამასთანავე თავდაცვითი მიზნებისთვისაა აგებული. ციხე ზღვის დონიდან დაახლოებით 1450 მ სიმაღლეზეა. აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების სისქე 1,80-2.00 მ-ია. შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთით აქვს. იგი არკიანია. მისი სიმაღლე 3,40 მ, სიგანე - 2,10 მ. მშენებლობაში თავსართად თითო მეტრიანი ხის მასალაცაა გამოყენებული. ციხის საერთო სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთით 40 მეტრია. შიდა ტერიტორიაზე დღემდე დაცულია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. შედარებით კარგად იკითხება ერთი სათავსოს და აღმოსავლეთით ორი კედლის ნანგრევები.

სამხრეთ-დასავლეთით 100 მეტრში, კლდეში ნაკვეთი 2,10 X1,90 და 1, 10 მ სიღრმის წყლის ცისტერნაა. ცისტერნის დასავლეთით კი - 7,40 მ სიღრმის კედლის 13 საფეხურია.

ქოფუზ-კალე (Kofuz kalesi)

ამ სახელით არსებული ციხე თორულის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. იგი ცენტრიდან დაახლოებით 37 კილომეტრითაა დაცილებული. ციხე სოფ. ქოფუზის ჩრდილოეთით 1780 მ სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. გამოყენებული მასალის და საამშენებლო ხელოვნების მიხედვით იგი შუა საუკუნეების ნაგებობა ჩანს. ციხე 60 მ სიმაღლის კლდოვან ფერდობზეა დაშენებული. იგი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მისი სამი კედლის საძირკვლის ფრაგმენტებიდაა აქა იქ შემორჩენილი .

ზინდალარის ციხე (Zindanlar Arazı)

ქეჩი კალესთან ახლოს სოირან დერეს ხეობაში (Soyran Dere), რომელიც ხარშიტს უერთდება, საზაფხულო და საზამთრო გზების კვეთაში არის დაფიქსირებული ზინდალარის ციხის ნაშთები (Zindanlar Arazı). ციხე მდებარეობს ვიწრო შემადლებულ ადგილზე. იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. მისგან ჩრდილოეთით 30 მ-ში, სოირანის ხეობისაკენ შემორჩენილია მრგვალი კოშკის ნაშთები. მისი დიამეტრი 3 მ-ია, ხოლო სიმაღლე 8 მ. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო ხუთკუთხა (პენტაგონალური) გეგმის ციხე. მისი ზომები უნდა ყოფილიყო: 80x60 მ, რომელიც კოშკთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ციხეს კიდევ ორი კოშკი უნდა ქონოდა კუთხეებში. ჩრდილოეთით ციხის კედელი 5 მ სიმაღლის ბუნებრივ კლდეზეა დაშენებული. ციხის შიდა სივრცე საკმაოდ ფართოა. აქ უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც ქარავანი შეისვენებდა და აქვე უნდა ყოფილიყო თავშესაფარი. გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სოფელი არაუადრეს იუსტინიანეს პერიოდიდან და არაუგვიანეს მე-10 ს-დან. ზინდანლარის ნაშთები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საზაფხულო გზასთან, რომელიც ერზრუმიდან მოემართებოდა, განსაკუთრებით კი სატალადან მურასანოღულარისაკენ (Murathanoğulari) მომავალ გზასთან (Mitford, 2018:355-359).

აღა კალესის ციხე (Ağa Kalesi)

მნიშვნელოვანი გზა გადიოდა იურთლარის ხეობაშიც (Yurtlar dere). აქ გამავალ გზას აკონტროლებდა სწორედ აღა კალესის ციხე (Ağa Kalesi). მისი შიდა ტერიტორია დაფარულია ხეებით და თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ციხე თავის დროზე მართკუთხა გეგმის ყოფილა. შემორჩენილი ზომები დაახლოებით 65x25 მ-ია. კედლები ამოყვანილი ყოფილა კირხსნარის გარეშე მდინარის ქვებით. გადარჩენილია მხოლოდ რამოდენიმე კვადრი. ფიქრობენ რომ ეს ციხე შეიძლება იყოს კორბულონის მიერ განახლებული პრაესიდია (Praesidia), რომელიც ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზების დასაცავად აიგო (Mitford, 2018:354-355).

კალეჯიკის სათვალთვალო ციხე (Kalecik kalesi)

კალეჯიკ-იშილის სათვალთვალო გზაზე არსებული ციხის კლდის ზემოთა კედელი ჯერ კიდევ დგას. შუა საუკუნეებით დათარიღებული ციხე შემდგომში ორჯერ შეკეთებულა.

ციხე უფრო საგუმავოს წააგავს. სათვალთვალოს დასავლეთიდან და სამხრეთიდან მდ. ფაშალი ჩამოედის. ჩრდილოეთიდან შესასვლელი 7.00 მეტრიან კლდეზეა განლაგებული.

სამხრეთით 25.00 მ-ია. სიმაღლე 20.00 მ X 9,50 მ ზომების სათვალთვალ ქვებით არის აშენებული. იქვე აღმოსავლეთით ხეობიდან 1.00 მ სიგანის დაახლოებით 10.00 მ სიგრძის კედელია. ეს კედელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი უფრო ძველი ციხის ნარჩენია.

სოფ. ოლუჯაქის სათვალთვალ კოშკი (Olucak kale)

მდებარეობს სოფ. ოლუჯაქის, გუმუშხანეს რეგიონის ცენტრალური გზის 33 კმ-ზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი სოფლის შემადგენელ ადგილზეა აშენებული. შენობა თარიღდება XIX ს-ის ბოლოთი.

სიგრძე სიგანე შენობისა არის 11,85მX9,30 მ. იგი დაახლოებით კვადრატული ფორმისაა, რადგანაც მიწა სადაც კოშკი დგას არ იყო სწორი ამისათვის საძირკველია აშენებული. ქვედა სართულში სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან კიბეებითაა შესასვლელი. ამ შენობის ზედაპირი თაღით არის გადახურული, მაგრამ სხვა კედლები, რადგანაც დანგრეულია არ ჩანს. ციხის საძირკველთან, სამხრეთით კლდეზე ორი პატარა ამბრაზურისთვის სიცარიელეა დატოვებული. შენობის შესასვლელი და კუთხეები ნათალი ქვებით არის ნაშენი, დანარჩენი სხვა ფორმის ქვით.

§ 4. ხარშიტის ხეობის ციხეები

ბოდრამას (პეტრას) ციხე (Bodrama kalesi)

(ტაბ. 40-44)


ციხე მდებარეობს ხარშიტის ხეობის ქვემო წელზე (GPS. კორდინატები: N 400 57.242; E 380 52.271') ქ. ტირებულოს (ძველი ტრიპოლისი) გასასვლელში ცენტრალური ტრასიდან გზა მარჯვნივ უხვევს და ზიგანას უღელტეხილის გავლით გუმუშხანესაკენ მიემართება. იგი უძველესი დროიდან ზღვისპირეთს აკავშირებდა პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან. ციხე ცენტრალური გზიდან 13 კმ-შია. იგი მდ. ხარშიტის მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე სოფელ ორმანქაიას თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდული კონცხის წვერზეა დაშენებული. გუმუშხანესაკენ მიმავალი ტრასიდან ციხემდე 2,8 კმ-ია. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა კარგად აკონტროლებდა გუმუშხანე-ტირებოლუ-გერასუნის გზას ზღვისპირეთამდე და ხეობაზე გამავალ გზებს გუმუშხანესაკენ.

ციხე მთლიანად მაღალ აზიდულ წოწოლა კლდის თავზეა მორგებულ-დაშენებული. მის გეგმასაც კლდის რელიეფი განსაზღვრავს. ოთხივე მხრიდან თითქმის მიუვალაია. შედარებით იოლი მისადგომი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. რელიეფი აქაც საკმაოდ კლდოვანია, მაგრამ შედარებით არაა მკვეთრად დახრილი. მშენებლებს თავისი მდებარეობითა და ფორმით კლდოვანი ქედის ეს მონაკვეთი შესანიშნავად გამოუყენებიათ. სწორედ ამ მხრიდან გაუმართავთ კონცხის ძირიდან დახრილ კლდოვან ქანზე ციხის კარიბჭემდე მისასვლელი საფეხურებიანი გზა. ეს გზა ერთადერთი მისადგომია გალავნის კედლებთან. იგი საგულდაგულოდაა გამაგრებული და დაცული. გზის დასაწყისში მარჯვენა მხარეს წოწოლა კლდის თავზე დამცავი ოთხკუთხა გეგმის კოშკი დაუშენებიათ. მისი კედლები კლდის თავზე ბუნებრივი შვერილების გაგრძელებას წარმოადგენს. დღეისათვის მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა დაცული აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები. ნაწილობრივია შემორჩენილი ჩრდილოეთი კედლის ნაშთებიც. დასავლეთი მხარე მთლიანად მორღვეულია. კოშკის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,40-1,50 მ-ია.

კოშკის ძირიდან გზა მარცხნივ უხვევს და ძირითად კლდოვან ქანსა (რომელზეც ციხეა დაშენებული) და მის ბოლო მონაკვეთში მაღლა აზიდული შვერილს შორის წარმოდგენილ შუალედურ სივრცეში შეივლის. ციხის მშენებლებს კარგად გამოუყენებიათ ეს ბუნებრივი კლდოვანი წარმონაქმნი და მასზეც მეორე დამცავი ნახევარწრიული გეგმის კოშკი დაუშენებიათ. იგიც ასევე ზემოდან დასაცქერის ციხეზე ასასვლელ გზას. შედარებით კარგადაა შემორჩენილია ამ კოშკის აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები 2-3 მ სიმაღლეზე. დანარჩენი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. კოშკის ძირიდან კლდოვან ქანში ამოკვეთილი საფეხურებით, რომლებიც ჩრდილოეთით მიემართება უშუალოდ მიადგები ციხის კარიბჭეს. მანძილი კოშკსა და კარიბჭეს შორის 27 მ-ია. საყურადღებოა ისიც, რომ საკუთრივ ციხესთან მისასვლელი გზის დასავლეთი მხარე ბუნებრივი კლდოვანი რელიეფით დაცულია. რაც შეეხება აღმოსავლეთის

მხარეს, იქ კლდოვან შვერილებს შორის ჩაშენებული მალლივი კედლებით ისე გაუმაგრებიათ, რომ უსაფრთხოს და მიუდგომელს ხდის მთელს სიგრძეზე ციხესთან მისასვლელ ერთადერთ გზას. ციხეს კარიბჭე თავის დროზე სამხრეთის მხრიდან ქონია გამართული. იგი საკმაოდ საინტერესოდაა მოწყობილი. კარიბჭის ცენტრალური შესასვლელის მონაკვეთი დღეისათვის საძირკვლების დონემდეა მორღვეული. შედარებით კარგადაა შემორჩენილი მისგან ორივე მხარეს წინ წაზიდული გალავნის კედლები. ციხის მშენებლებს შესასვლელის ორივე მხარეს გალავნის ფართე კედლებში დაუტანებიათ გვირაბები. მარჯვენა მხარეს დატანილი გვირაბის შესასვლელი ადრევე ამოუქოლიათ. კარგადაა შემორჩენილი თაღოვანი არკა და გვერდითი სვეტები. მისი გამართვისას გამოუყენებიათ მოზრდილი წაგრძელებული ფორმის დამუშავებული ქვები. კარიბჭის მარცხენა მხარის წინ წაგრძელებულ კედელში დატანილი გვირაბის შესასვლელი შედარებით კარგადაა შემორჩენილი. ამჟამადაც ღიაა. კარიბჭის წინა მონაკვეთში გალავნის კედელში დატანილი გვირაბი ციხის შიდა ნაწილში კი არ შედის, არამედ იგი ციხის დასავლეთით გალავნის კედლის გარეთ, კლდოვან ქარაფებთან გადის. ე.ი. ამ გვირაბებს, როგორც ჩანს თავის დროზე დამატებითი თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. მასში ორივე მხარეს შესული მტერი ისევ, ციხის გარეთ გადაულახავ ქარაფებთან აღმოჩნდებოდა. ე.ი. კარიბჭესთან მომდგარი ძალების დაქსასქვისა და არეულობის მიზნითაა გამართული. საკუთრივ დღემდე კარგად შემონახული კარიბჭის მარცხენა მხარის გვირაბის საერთო სიგრძე 8 მ-ია, სიფართო - 1,10 მ, სიმაღლე 2 მეტრი. გვირაბი თაღოვანი ნაგებობების პრინციპითაა გამართული.

კარიბჭის მარჯვენა მხარეს შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ მის თავზე დაშენებული უნდა ყოფილიყო ნახევარწრიული გეგმის კოშკი. მისი ნაშთები აქა-იქ იკითხება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კარიბჭის მონაკვეთში გალავნის კედლები საკმაოდ ფართეა. ზოგან მისი სისქე 2,5-3 მ აღწევს. რაც შეეხება ციხის გეგმას, მას აქაც მთლიანად კლდოვანი შვერილი ქანის კონფიგურაცია განსაზღვრავს. გალავნის კედლები მთლიანად კლდის გარე კონტურებს მიუყვება და ისედაც მიუვალ კლდეს, მიუდგომელ თავდაცვით ნაგებობად აქცევს.



ბუდრამას ციხის გეგმა. შეასრულა გ. დუმბაძემ

დღეისათვის შედარებით კარგადაა შემორჩენილი ციხის აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული გალავნის კედლების ნაშთები. ზოგიერთ ადგილას მისი სიმაღლე 8-9 მ-საც კი აღწევს. მათი სიფართოე 1,10-1,20 მ შორის მერყეობს. ციხის შიდა სივრცე ამჟამად მცენარეული საფარითაა დაფარული. ამიტომ შიდა ნაგებობები არ ჩანს. ერთადერთი, ციხის შიგნით შესასვლელთან ახლოს, მარჯვენა მხარეს დაფიქსირდა კლდეში ნაკვეთი წყლის მოზრდილი წრიული ფორმის რეზერვუარი.

ციხის არქიტექტურაზე დაკვირვებით შეიძლება მის მშენებლობაში სამი პერიოდი გამოიყოს: პირველი, რომელიც ყველაზე ადრეული ჩანს. დამახასიათებელია მოზრდილი კარგად დამუშავებული ქვების წყობებით. რიგები დაცულია. მისი ნაშთები შედარებით უკეთაა დაცული ციხის ცენტრალური შესასვლელის მარჯვენა მხარეს, წინ წაზიდული გალავნის კედლების წყობაში. შემონახული წყობების მაქსიმალური სიმაღლე ამ ნაწილში 1,20-1,40 მ-ია. შემდეგ ჩანს, რომ მისი დანგრევის შემდეგ იგივე ტიპის ქვებით აღუდგენიათ. თუმცა ადრეული წყობებისა და აღდგენილის დუღაბის ფერები სრულიად განსხვავებულია.

არაა გამორიცხული ციხის ეს საამშენებლო დონე ადრეობიზანტიური ხანით დათარიღდეს. მითუმეტეს, როგორც ცნობილია, ამ ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ზღვისპირეთიდან პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან დამაკავშირებელი ძველი გზები. ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ადრე, ძვ.წ. 401 წ სპარსეთიდან მომავალი ქსენოფონტე სწორედ ამ ხეობით უნდა დაშვებულიყო ზღვისპირეთისაკენ.

გალავნის კედლებზე და განსაკუთრებით კარიბჭის მონაკვეთზე დაკვირვებით ჩანს, რომ ციხეს ნგრევა მოგვიანებითაც განუცდია. ძველ წყობებზე დაშენებული შედარებით მოგვიანო კედლები აშკარად განსხვავებულია. მათთვის დამახასიათებელია დიდი და საშუალო ზომის ქვების უსისტემო წყობა. დუღაბიც სხვა ფერისაა.

ციხე თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, როგორც ჩანს გამოიყენებოდა თითქმის ყველა პერიოდში. იგი ხეობის დასაწყისშივე ჩამკეტი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

შაბან კალესი (ძველი ზანდანის) ციხე (Şaban kalesi)

(ტაბ. 45)

ციხე მდებარეობს მდ. ხარშიტის წყლის მარცხენა სანაპიროზე (GPS. კოორდინატები: N 400 24.055; E 390 38. 412'). ცენტრალური გზიდან უნდა გადალახო მდინარე ხარშიტი და შეუყვე სოფ. დოხუზ-კონალის აღმართებს. ამ სოფლის ძველი სახელია ზანდანი. სოფლის ცენტრამდე ძალზე ცუდი გზაა. გადასახვევიდან 5 კილომეტრია.

ციხე, უფრო ზუსტად ციხე-კოშკი სოფლის თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდულ კლდოვან, პირამიდისებური ფორმის ბორცვზეა დაშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს ხეობა, ოთხივე მხრივ კარგად მოზრდილ მანძილზე. ადგილობრივთა გადმოცემით, ხარშიტის ხეობაზე გამავალი ძველი გზები ძირითადად ხეობის მარცხენა მხარის ზედა ნაწილში იყო

გამართული, რადგან აქ რელიეფი შედარებით არაა მკაცრი. ბევრია მოვაკებული ადგილები, რომლებზედაც სოფლებია გაშენებული. მათივე გადმოცემით ძველი გზა სწორედ იმ მაღლა აზიდული ბორცვის ძირში გაივლიდა, რომელზედაც ციხე იყო დაშენებული.

ძველი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მხოლოდ აქა-იქ შეინიშნება საძირკვლის ნაშთები. ადგილობრივთა გადმოცემით, იგი დანგრევამდეც მცირე მოცულობის ნაგებობა იყო. როგორც ჩანს, ეს ციხე-კოშკი აქ გამავალ გზას აკონტროლებდა და ამავე დროს მას საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულების ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, იგი ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ზონაში არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან იყო დაკავშირებული და თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შუალედურ რგოლს წარმოადგენდა. ჩანს, რომ ხეობას უკვე ადრეიზანტიური ეპოქიდან მაინც ჰქონდა ერთ ჯაჭვზე ასხმული თავდაცვის სისტემა ზღვის სანაპიროდან ხეობის სათავეებამდე.

დანდიქოის (სუტაშის) ციხე (Dandiköy kale)

(ტაბ. 46)

ციხე მდებარეობს ხარშიტის ხეობის შუა წელზე. ციხეზე პატარა ქალაქური ტიპის დასახლება დოღანკენტიდან უნდა შეუხვიო. ეს ციხეც მდინარის მარცხენა სანაპიროსაა. ქალაქიდან მდინარის გადალახვის შემდეგ გზა პატარა დერე გოზუს ხეობაში შედის. გადასახვევიდან სოფ. დერეგოზუმდე 8 კმ-ია. გზა საკმაოდ კარგია. სოფლის ცენტრიდან მარჯვნივ ამავე სოფლის გარეუბან სუტაშისაკენ შეუხვევ. აქედან ციხისძირამდე 2 კმ-ია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის გარშემო რამოდენიმე მკვეთრად მაღლა აზიდული ბორცვებია. ციხის მშენებლებს მათგან სწორედ ხეობისაკენ წინ წამოწყული სუტაშის ბორცვი შეურჩევიათ.

ეს მცირე მოცულობის ციხეც საგულდაგულოდ შერჩეულ ადგილასაა აგებული. აქედან მოსჩანს მთელი ხეობა ოთხივე მხრივ. აქაც იგივე სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როგორც შაბან-კალესთან. უხუცესთა გადმოცემით ძველი გზები სწორედ ამ უზარმაზარი ბორცვის აღმოსავლეთით არცთუისე მკვეთრად დახრილი ფერდობის შუა ნაწილში გაივლიდა. ეს ციხე როგორც ჩანს, ერთის მხრივ აკონტროლებდა ზღვისპირეთიდან გუმუშხანესაკენ მიმავალ ცენტრალურ გზას, ხოლო მეორეს მხრივ ასევე დერე გოზუს ხეობაში ალპური მდელოებით გამავალ უმოკლეს საზაფხულო გზას გუმუშხანესაკენ.

ბორცვი, რომელზედაც ციხეა დაშენებული, ძირითადი ხეობისაგან შიგნითაა შეწყული. თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე როგორც ჩანს, იგი უკავშირდებოდა სხვა ციხეებს და ამიტომ მას საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. ციხე საკმაოდ დანგრეულია. მისი დიდი ნაწილი საძირკვლების დონემდეა მოშლილი. მის მთლიან ზედაპირს ეკალბარდი ფარავს. შედარებით კარგადაა შემონახული სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი. ზოგან მისი სიმაღლე 6-8 მეტრსაც აღწევს. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ

იგი რამოდენიმეჯერ ჩანს დანგრეულ-აღდგენილი. ქვედა ნაწილის წყობები გამართულია შედარებით კარგად დამუშავებული ქვებით. ზედა, აღდგენის შემდგომი კი-უსისტემო და დაუმუშავებელი ქვებით.

სუმე კალესი (Sumekalesi)

(ტაბ. 47)

ეს ციხე მდებარეობს მდ. ხარშიტის წყლის მარჯვენა სანაპიროზე. ციხეზე ასასვლელი გზა მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფ. ოზკურტუნის ბოლოდან შეუხვევს. იქვე ახლოს ბენზინ გასამართი სადგურიცაა. შესახვევიდან ციხისძირამდე 2 კმ-ია. ციხის ძირს ვიწრო ხეობაში ჩამოედინება პატარა მდინარე, რომელსაც ადგილობრივები სუმე დერეს უწოდებენ. ეს პატარა მდინარე ხარშიტს ერთვის სოფ. ოზკურტუნის ბოლო მონაკვეთში. საკუთრივ ციხე კი მდებარეობს სუმე დერეს ხეობის მარჯვენა მხარეს.

აქ ხეობიდან ზემოთ, მარჯვენა ქედის შუა მონაკვეთში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 500-600 მ სიგრძეზე გაწოლილია ხეობისაკენ მკვეთრად დახრილი კლდოვანი მასა. მის დასასრულს, უკიდურეს ჩრდილოეთ მონაკვეთში ორი უზარმაზარი კლდოვანი შვერილი ბორცვია. ამ ბორცვებს შორის დაცილება დაახლოებით 20-25 მ-ია. მშენებლებს ორივე მათგანი გამოუყენებიათ ციხისათვის. კლდოვან ბორცვებსა და მათზე დაშენებულ ციხეს ერთადერთი საკმაოდ ცუდი მისადგომი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. ამ გზით კლდის შვერილების ძირამდე მიდიხარ, მაგრამ აქედანაც ციხეზე ასვლა საკმაოდ სახიფათო და რთულია. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ ორივე კლდოვან ბორცვზე დაშენებული ციხე მიუვალა. ციხე თითქმის დანგრეულია. აქა-იქა შემორჩენილი გალავნის კედლების საკმაოდ მაღლა აზიდული ნაშთები. ჩანს, რომ მისასვლელ გზაზე პირველ კლდოვან ქანზე დაშენებული იყო ოთხკუთხა გეგმის კოშკი, რომლის ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ციხის მეორე ნაწილთან მისასვლელი გზის გაკონტროლება და ასევე კლდის ძირში ხეობაზე გამავალი გზის მეთვალყურეობა.

კლდის წვერი კარგა მოზრდილ ტერიტორიაზე სწორია. იგი ოდნავ დახრილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. საკუთრივ კოშკი კლდოვანი ზედაპირის უკიდურეს ჩრდილოეთ მონაკვეთშია გამართული. შემორჩენილ ნაშთებზე დაკვირვებით ჩანს, რომ იგი ოთხკუთხა გეგმის უნდა ყოფილიყო. მისგან შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების დიდი ნაწილი. აღმოსავლეთის კედლის მაქსიმალური სიმაღლე 10-12 მ აღწევს. ჩრდილოეთისა კი-7-8 მ. კოშკის სრულყოფილი ანაზომების გაკეთება ვერ ხერხდება, რადგან დანარჩენი ნაწილის აღარაფერია შემორჩენილი. კოშკს კედლებიც საკმაოდ სქელი ჰქონია. ჩრდილოეთის კედლის სისქე 1,20-1,40 მ აღწევს. მის მშენებლობაშიც ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს. ადრეული ჩანს ქვედა წყობები, სადაც გამოყენებულია დიდი და საშუალო ზომის გვერდებჩამოსწორებული ქვები. რიგებიც შედარებით დაცულია. ზედა

ნაწილს აშკარად ემჩნევა შემდგომი აღდგენის კვალი. მეორე კლდოვანი ბორცვი შედარებით დიდი მოცულობისაა. მასზე დაშენებული ციხის ძირითადი ნაწილიც. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ აქაც ციხის გეგმას საკუთრივ ბორცვის ზედაპირის კონფიგურაცია განსაზღვრავდა. გალავნის კედლები კლდოვანი ქანის გარე კიდეებს მიუყვება. დღეისათვის მისი ნაშთები შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთით, ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით. ზოგან დაცული სიმაღლეები 7-8 მ აღწევს. გალავნის კედლების სისქე აქ 1,10-1,20 მ აღწევს. ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში შემორჩენილი გალავნის კედლის თავზე სოფელში სუმე კალეში მიმავალი ელექტროსადენისათვის სადგამიც კი დაუმონტაჟებიათ. კედლების წყობაში აქაც შეიძლება ორი პერიოდი გამოიყოს. ადრეული, რომლის წყობაშიც გამოყენებულია საშუალო და მოზრდილი ქვები. დუღაბიც ღია მოთეთრო ფერისაა. ზედა ნაწილი, რომელიც შედარებით მოგვიანო დანამატი ჩანს, აშკარად განსხვავებულია ადრეულისაგან. ადგილობრივთა გადმოცემით ამ ციხეს თავის დროზე უნდა ჰქონოდა ორი ფუნქცია. ერთი ის, რომ იგი აკონტროლებდა საკუთრივ ხარშიტის ხეობაში ზღვისპირეთისაკენ მიმავალ გზას და მეორე ის, რომ საკუთრივ სუმე დერეზე გაივლიდა უმოკლესი გზა ხარშიტის ხეობიდან ერიქლი იაილის გავლით დელირმენდერეს ხეობასა და ტრაპიზონისაკენ.

ციხის ადრეული სამშენებლო დონე შეიძლება ადრებიზანტიური ხანით დათარიღდეს, ხოლო მოგვიანო - არაა გამორიცხული ტრაპიზონის იმპერიის დროინდელი დანამატი იყოს.

§ 5. ძველი გზები და საგზაო ნაგებობანი


ცენტრალური ჭანეთის ზღვისპირა ზოლში, დელირმენდერეს, ხარშიტის ხეობებსა თუ გუმუშხანეს რეგიონში ქვის თაღოვანი ხიდები საკმაოდ ბევრია. მათი დიდი უმრავლესობა სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომელიც ზღვისპირა ზოლს აკავშირებდა პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან. რეგიონის მიმზიდველობიდან გამომდინარე, ამ სივრცეში გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ხიდები თითქმის ყველა ეპოქაში შენდებოდა ან ხდებოდა ძველის შეკეთება. ამ ტიპის ნიმუშებზე ჩვენ საკმაოდ ვრცლად გვქონდა საუბარი ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მენკვიდრეობის ძეგლებზე საუბრისას (ვრცლად იხ. მამულაძე, კახიძე 2014 : 63–90), ამიტომ ამჯერად მათზე ვრცლად აღარ შევჩერდებით. ისე კი აღვნიშნავთ, რომ ცენტრალური ჭანეთის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც რომაული, ისე მომდევნო ეპოქის, განსაკუთრებით კი მოგვიანებით კომუნოსთა მმართველობის ხანასთან დაკავშირებული საგზაო ნაგებობანი. არის რამოდენიმე ხიდი, რომელიც ოტომანთა იმპერიის პერიოდშია აშენებული ან კიდევ შეკეთებული. ძველი ხიდების შეკეთება შეფუთვის პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ამჯერად მოკლედ შევჩერდებით რამოდენიმე მათგანზე.

თერაზილერის ხიდი (Teraziler köprücü)

(ტაბ. 64)

ხიდი მდებარეობს დელირმენდერეს ხეობაში, ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 8 კმ-ში. იგი რომაელთა ბატონობის ხანას განეკუთვნება. ხიდის ბურჯები პირდაპირ კლდეს ეფუძნება. ისინი უზადოდ დამუშავებულ ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები (სამი რიგი), რომელსაც კარნიზი აბოლოებს. კარნიზი სამ ფასციათაა დაყოფილი და იონიურ ტრადიციას მოგვაგონებს. იგი იმდენადაა წინ გამოზიდული, რომ სამშენებლო ბაქანის კოჭებისათვის კრონშტეინის ფუნქცია შეუსრულებია. უკანასკნელ ხანს ხიდი აღუდგენიათ ბეტონის ხსნარით. საყურადღებო ნიუანსია ის, რომ ხიდის თაღის რკალს არ ახლავს თავსართი, სარტყელის სახით. მის არქაულობაზეც სწორედ ეს მეტყველებს. სარტყელი, როგორც სჩანს შედარებით გვიანდელი დანამატია. რომაულ ხიდებს ისინი არ გააჩნიათ¹⁸.

¹⁸ შდრ. რომაული ხიდების ისტორიის მახლობლად (Durm, 1905: 464-469).



თერაჯილერის ხიდის გეგმა. შეასრულა თ.ასაბაშვილმა

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმეტესობა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ძველი ხიდებისა არ შეიცავენ სარტყელს.¹⁹


ხიდი მიუდგომელია იმისათვის, რომ ზუსტი ანაზომი შექმნილიყო. მისი ძირითადი სტატისტიკური მონაცემებია: მალის სიგრძე - 11 მ-ი, სასიარულო არეს სიგრძე - 32 მ-ი, სავალი ნაწილის 2,5 მ-ი. ბურჯების სიმაღლე კარნიზის (კრონშტეინი) ჩათვლით - 1,30 მ-ი.

გუმუშკაიას ხიდი (Gümüşkaya köprücü)

(ტაბ. 65)

ხიდი მდებარეობს გუმუშხანეს რეგიონში, ზ/დ 1126 მ-ზე, მდ. იქისუზე, თანამედროვე სოფელ გუმუშკაიასაკენ მიმავალი გზის დასაწყისში. ბახელიკის შესახვევიდან 150 მეტრში. იგი საკმაოდ კარგადაა შემონახული. ხიდი საშუალო ზომისაა. ბურჯები ორივე მხარეს პირდაპირ კლდოვან ქანს ეფუძვნება. ეს ხიდიც ნახევარწრიული მოყვანილობის თაღს ეყრდნობა. რკალის მრუდი იდეალურ ნახევარწრეს ქმნის. იგი მოგრძო ფორმის კარგად დამუშავებული ქვების ერთმაგი მიწყობითაა გადაყვანილი. ორივე მხარეს სანაპირო ზოლსა და კეხს შორისი სივრცე შევსილია ქვყრილით, ხოლო მათი გვერდითი კედლები ამოყვანილია გარეზედაპირჩამოსწორებული მცირე ზომის ქვებით დულაბზე. ხიდს ორივე მხარეს ქონდა მოაჯირი, რომლის მცირე ნაწილია აქა-იქ შემორჩენილი.

¹⁹ მაგ., ბარალეთის, თემის, მახუნცეთის და სხვ. სარტყელს არ შეიცავდა, არც მცხეთის ძველი ხიდი, მაგრამ მკვეთრად გამოხატულ სარტყელს შეიცავს ვარჯანაულის ხიდი მდ. კინტრიშზე (იხ. კვეზერელი-კოპაძე, 1972).



გუმუშკაიას ხიდის გეგმა. შეასრულა გ.დუმბაძემ

ხიდის საერთო სიგრძე 23 მ-ია. სიგანე ბორდიურების ჩათვლით 4,30 მ. საკუთრივ სავალი ბილიკის სიფართე 3,30 მ. ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 7,80 მ. ფუძეებს შორისი მანძილი 12,60 მ.

ინკილაფის ხიდი (Inkilap köprücü)

(ტაბ. 66)


მდებარეობს გუმუშხანეს რეგიონში, სოფ. ინკილაფში, ადგილ მუსალაში, მდ. იქისუზე. იგი იქისუსა და მის მარცხენა შენაკადის სორეიანის ხერთვისიდან ზემოთ 3,5 კმ-ია. დღეისათვის შემორჩენილია ხიდის ბურჯები ორივე მხარეს. თაღოვანი ნაწილი დანგრეულია. შედარებით უკეთაა დაცული მარჯვენა მხარის ბურჯი 4,5 მ-ზე. მისი გარე კედლების წყობაში გამოყენებულია კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვები. ასეთივე ბურჯის შედარებით მცირე ნაწილია დაცული მარცხენა მხარესაც.

ხიდის სიგრძე დაახლოებით 17-20 მ უნდა ყოფილიყო. სიფართე დაცული ნაშთის მიხედვით 2,5 მ-ია. მარჯვენა ბურჯის სიმაღლე-3,5 მ-ია. ეს ხიდიც იქისუზე შირანისა და ერზინჯანისაკენ გამავალი ძველი სავაჭრო-საქარავნო გზის შემადგენელი ნაწილია.

იალიდერეს ხიდი (Iağlidere köprücü)

(ტაბ. 67)

ხიდი გუმუშხანეს რეგიონშია. იგი მდებარეობს სოფ. იალიდერეში ამავე სახელწოდების ხეობაში, იმერას მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე. იქ სადაც ხიდია აშენებული, იმ ადგილის ტოპონიმი ბოზბენ მაჰალესი.



იალიდერეს ხიდის გეგმა. შეასრულა გ. დუმბაძემ

ხიდი მოზრდილი ტიპიური ერთმალიანი ხიდების მსგავსია. ნახევარწრიული თალის ბოლოები ორივე მხარეს კლდოვან ქანს ებჯინება. მისი ორივე მხარის მზიდი კამარების წყობაში გამოყენებულია კარგად დამუშავებული მოგრძო და საშუალო ზომის ქვების ურთიერთმონაცვლეობით შექმნილი ერთი რიგი. ქვები ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მოწყობილი და ნაგებობის ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს. მათ შორის სივრცე შევსილია კირდუღაბის თხელი ფენით.

სანაპირო ზოლსა და კეხს შორის სივრცე შევსილია ქვაცირლით, რომელთა გვერდითი საკმაოდ მაღალი კედლები ამოყვანილია საშუალო ზომის კარგად დამუშავებული ქვების წყობით კირ-დუღაბზე. ბურჯები ორივე მხარეს შეიცავს საპლატფორმო ბუდეებს.

ხიდის სიგრძე 26,60 მ-ია. სიფართე გვერდითი მოაჯირების ჩათვლით 4, 10 მ-ია. სავალი ნაწილის სიფართე-3,10 მ.

თოხრუმოღლუს (ბაღდადის) ხიდი (Tohrumoglu köprücü)

(ტაბ.68)

მდებარეობს გუმუშხანეს პროვინციაში. იგი მდ. ხარშიტზეა აგებული და მდებარეობდა გუმუშხანედან (ძვ.სულეიმანე) ბაიბურთისაკენ მიმავალ გზაზე. ხიდი ორმალიანია. ორივე მალი ნახევარწრიული ფორმისაა. შუა მხიდი ბურჯი დაშენებულია ხელოვნურად შექმნილ უზარმაზარ სუბსტრუქციაზე, რომელსაც წყლის დინების საწინააღმდეგოდ ისრისებური ფორმა აქვს. ორივე თალის მხიდი კამარების წყობაში, აქაც გამოყენებულია მოგრძო ფორმის კარგად დამუშავებული ქვები. ისინი ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი. შემაკავშირებელ მასალად დუღაბის თხელი ფენაა გამოყენებული. მოაჯირების ნაწილი ახლად აღდგენილია. ხიდის საერთო სიგრძე დაახლოებით 40-45 მ-ია. სიფართოე მოაჯირებთან ერთად 4,5 მ.

გზები. ბუნებრივია, ხიდების მშენებლობა უშუალოდ უკავშირდებოდა რეგიონში არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ გზებს. ტრაპიზონს და მთლიანად ცენტრალური ქანეთის ზღვისპირა ზოლს ჩრდილოეთით სამი მთის ჯაჭვზე გამავალი გზები აკავშირებდა. ესენი იყო ზიგანას, დემირ-დალისა და კატის დაღლარის მთები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ზიგანას მთებზე გამავალი გზები. მათ მეორენაირად „პონტოს კარიბჭესაც“ უწოდებდნენ. გზები, რომელიც გადიოდა პილაზინიტის (ხარშიტის), დელირმენდერეს, ლიკიის (კელკიტის) და ირის (ირმაკის) ტერიტორიაზე, მოგვიანებით ზღვისპირეთს აკავშირებდა ანატოლიის შიდა რაიონებთან და აქედან სხვა ქვეყნებთან.

ამ გზების მნიშვნელობა ყველაზე მკაფიოდ ტრაპიზონის იმპერიის პერიოდში გამოჩნდა.²⁰ ეს ქვეყანა უზარმაზარ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებდა დასავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების სფეროში.

ტრაპიზონმა VIII-X სს განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მთელ შავიზღვისპირეთში, როცა იგი ბიზანტია-არაბეთის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა. აქ თავს იყრიდნენ ვაჭრები იბერიიდან, მესოპოტამიიდან, სირიიდან, ხერსონესიდან. უშუალოდ ქალაქში კი სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ ბერძნები კონსტანტინეპოლიდან, ასევე მეზობელი ხალხებიდან - სომხები, ჩერქეზები, ებრაელები, კოლხები და ყირიმის მცხოვრებლები (Карпов, 2001:55-59).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ტრაპიზონმა შეიძინა VIII-X სს, როცა იგი გახდა ბიზანტიურ-არაბული სავაჭრო ცენტრი. ამავე პერიოდში, ალ-იდრიისის მიხედვით, ტრაპიზონთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი მისი მეზობელი ქალაქი ინეიც (კერასუნტი) იყო. თვით ტრაპიზონი კი წარმოადგენდა მთავარ ბაზასა და ერთგვარ სასაწყობო პუნქტს ბერძნულ-მუსლიმურ სავაჭრო ურთიერთობებში (Карпов, 2001: 19).

ტრაპიზონიდან სავაჭრო გზები მიემართებოდა სპარსეთისა და შუა აზიისკენ, შემდეგ კი ჩინეთისკენ. იკონიის სულთანატის დაარსების შემდგომ კი ტრაპიზონი იქცა შავიზღვისპირეთის სავაჭრო ჭიმკრად. ტრაპიზონმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა,

²⁰ ტრაპიზონის იმპერიის შესახებ ვრცლად იხ: Карпов, 2001.

მას შემდეგ, რაც მონღოლებმა 1258 წელს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ბაღდადს. ამ დროიდან კვლავ მოიშალა ძველი გზები, რომლითაც ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპირო ზოლი და დასავლეთის სავაჭრო ქალაქები სირიით უკავშირდებოდა აღმოსავლეთს. მეორე დარტყმა ამ გზებს კი მიაყენა 1291 წლის ჯვაროსანთა მე-2 ლაშქრობამ სირიაში, ასევე რომის პაპის მიერ ქრისტიანებისთვის ყოველგვარი ვაჭრობის აკრძალვამ ეგვიპტის მამლუქებთან (Карпов, 2001: 20-21).

1256 წელს სპარსეთში შეიქმნა ილხანთა სახელმწიფო. მათ ცენტრალიზებული სახელმწიფო მექანიზმით უზრუნველყვეს იმ საქარავნო გზების უსაფრთხოება, რომლებიც შიდა აზიურ სამყაროს აკავშირებდა შავიზღვისპირეთთან. XII ს აქ ჰასან-ხანის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ჩრდილო-დასავლეთ ირანის ქალაქების დაწინაურებას. განსაკუთრებით აღზევდა თავრიზი, საიდანაც ვაჭრები მიდიოდნენ ინდოეთში, შუა აზიასა და ჩინეთში. ზღვისპირეთიდან მოკლე და ყველაზე ხალსაყრელი გზა ტრაპიზონზე გადიოდა. ამ პერიოდში იგი იქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ცენტრად. ვენეციელებიც და გენუელებიც ტრაპიზონის მეშვეობით აწარმოებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს აღმოსავლეთთან. სხვადასხვა მკვლევართა აზრით, ამ გზებს ძალიან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და უდიდეს როლს ასრულებდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საქმეში (Карпов, 2001: 92).

გზა თავრიზზე გადიოდა პონტოს მთებზე დელირმენდერესა და ხარშიტის ხეობებით. ყველა გზა ზიგანას უღელტეხილზე იყრიდა თავს, საიდანაც მიემართებოდა გუმიშხანე (ძვ. არგიროპოლისი) - ბაიბურთი (ძვ. პაიპერტი) - ერზრუმის მიმართულებით. პეგოლოტის ცნობით ფეხით მოსიარულეს ტრაპიზონიდან თავრიზამდე ჩასვლა 12-13 დღეში შეეძლო, ქარავანს კი 30-32 დღე სჭირდებოდა. ასევე სარგებლობდნენ კერასუნტისკენ მიმავალ გზითაც, რომელიც კერასუნტიდან თოკატის, ხარშიტის ხეობისა და ზიგანას უღელტეხილის გავლით მიემართებოდა სივასისა და ერზიჯანესკენ. გარდა ამისა, ეს გზა საქართველოსკენაც მიემართებოდა, ხოლო ზღვისპირა ქალაქების კერასუნტის, სამსუნისა და სინოპეს გავლით კი - კონსტანტინეპოლისკენ. ამდენად, სწორედ აქ მოიყარა თავი საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზებმა. დ.მანდევლის ცნობით, ამ პერიოდში სწორედ ტრაპიზონით ხორციელდებოდა ვაჭრობა თათრებთან, ირანთან, ხალდიასთან, იდნოეთთან და სომხეთთან (Mandeville, 1953: 103-104).

აღსანიშნავია ისიც, რომ VIII ს-დან ტრაპიზონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ხდება საქართველოსთვისაც, ვინაიდან სწორედ საქართველოს მიწების გავლით სავაჭრო გზები მიდიოდა კასპიის ზღვის სანაპიროსკენ. ამასთანავე, დერბენდის გავლით და, შემდგომ, ტრაპიზონიდან საზღვაო გზის გამოყენებით უკავშირდებოდა კონსტანტინეპოლს. ამ გზას ძირითადად მაშინ იყენებდნენ, როცა მოვაჭრეებს გადაჰქონდათ განსაკუთრებით ძვირფასი, ან მძიმე საქონელი. ტრაპიზონიდან ზღვით კონსტანტინეპოლამდე მისვლას სჭირდებოდა 8-დან – 19 დღემდე, რაც, ერთის მხრივ, დამოკიდებული იყო ამინდზეც. იმ შემთხვევაში, თუ ქარის მიმართულება ემთხვეოდა გადაადგილებას, მაშინ 5 დღეც საკმარისი იყო კონსტანტინეპოლამდე მისაღწევად.

რაც შეეხება უშუალოდ ცენტრალური ჭანეთის ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზებს, აღსანიშნავია, რომ აქ ძველი დროიდანვე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო არტერიები, რომლითაც რეგიონი შიდა თუ გარე სამყაროს უკავშირდებოდა. ისინი სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა და მიემართებოდა როგორც ზღვისპირა ზოლისკენ, ისე ჰინტერლანდშიც. სწორედ ამით აიხსნება რეგიონში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი სპექტრის სიმრავლე. მათი ძირითადი ნაწილის დანიშნულება, აქ გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების კონტროლი და მოქარავნეთა გადაადგილების უსაფრთხოება გახლდათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა გააჩნდა ტრაპიზონიდან პონტოს მთიანეთის სიღრმისკენ, სამხრეთით, მიმავალ სავაჭრო-საქარავნო გზებს. აქ, გზებზე გადაადგილებისას მარშრუტები სეზონების ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა, შესაბამისად არსებობდა საზაფხულო და ზამთრის გზები. პრინციპში, ძირითადი მარშრუტი მაინც უცვლელი იყო, უბრალოდ, უნდა ითქვას ის, რომ ზაფხულის პერიოდში, როცა მდინარეებზე გადასვლა უსაფრთხო და იოლი იყო, დანიშნულების პუნქტებამდე გასავლელი დრო ბევრად მცირდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით ზამთრის პერიოდზე, როცა გადაადგილება რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და მოქარავნეებს შემოვლითი გზებით უხდებოდათ დანიშნულების პუნქტამდე მისვლა.

ერთ-ერთი ცენტრალური, საკვანძო მნიშვნელობის არტერია გახლავთ ტრაპიზონი-ერზიჯანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ტრაპიზონიდან თეოსკეპასტოს მონასტრისა და ბოზთეფეს გავლით მიემართება სამხრეთით და მიუყვება დელირმენდერეს ხეობას. აქედან გზა ბაიბურთისკენ მდინარეების გავლით მიდის მაჩკასკენ. მაჩკადან მთავარი ზამთრის გზა მიდის პიქსიტისკენ, საიდანაც ხორტოკოპიონის, ჰორტოკოპისა და იანანდონის გავლით აღწევს ჰამსიქოიმდე. აქედან კი, ჩვეულებრივ, მდინარის ხეობის გასწვრივ მიემართება ზიგანას უღელტეხილისკენ, რომელიც ზღვის დონიდან 2025 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ ადრე მრავლად ყოფილა ქარვასლები, რომლებიც მექარავნეებს და არა მარტო მათ, საშუალებას აძლევდა შეესვენათ და შემდგომ გაეგრძელებინათ გზა. აქედან, სამხრეთით, გზა პილაბონიტის შენაკადის ხეობის გავლით მიემართებოდა ზიგანას დასახლებისკენ, სადაც მცირე ზომის ზიგანას ციხე-სიმაგრეა. შემდგომ გზა მიემართება სამხრეთით, პილაბონიტის (ხარშიტის ხეობის სამხრეთ მონაკვეთი) ხეობისკენ, სადაც მდებარეობს კიდევ ერთი ციხე-სიმაგრე თორული, რომელიც, შეიძლება ითქვას რომ თავისი მეტად სტრატეგიული და მოქნილი მდებარეობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აქ გამავალი გზის უსაფრთხოების საქმეში.

აღნიშნული გზა, მეტისმეტად რთულად გასავლელია მოგზაურისთვის, თუმცა, განსხვავებით აღნიშნული ზამთრის გზისგან, ზაფხულის გზები ბევრად მოკლე და მოსახერხებელი იყო. აქ, ზაფხულის გზების (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) შეხვედრის საერთო წერტილი იყო ე.წ. პონტოს კარიბჭედ წოდებული პილა, კოლათი და ბოგაზი. ეს ზაფხულის გზა მაჩკადან სამხრეთით მოდიოდა ზამთრის გზის პარალელურად ხორტოკოპიონამდე, შემდეგ კი გადადიოდა სამხრეთით კარაკაბანის მთიდან და მიემართებოდა პონტოს კარიბჭემდე, თუმცა, მანამდე გაივლიდა ჰამსიქოს და ფერგანლის. აქედან, უფრო სამხრეთით, სადაც მდინარეები ისტავრი და კურუმი (იაღლიდერე) უერთდება პილაბონიტს, ჰარავა ჰანლარში. ზაფხულში კი

შესაძლებელი იყო მდინარის გადაკვეთა და გზის გაგრძელება უფრო სამხრეთით, ქერიანასკენ. მეორე საზაფხულო გზა პონტოს კარიბჭედან მიუყვება მდინარე ისტავრს მის შესართავამდე მდინარე კურუმთან, ისტილაში, და აქედან მიემართება აღმოსავლეთით, შემდგომ კი კვლავ სამხრეთით ბაზბენთი დაღის მთების გასწვრივ, საიდანაც გადადის პილაბონიტის ხეობაში, ბემქილისეში, რომლის ერთ-ერთ მაღლობზე ჭანიკას, ჯანჯას ციხე-სიმაგრეა აღმართული.

მესამე გზა პონტოს კარიბჭედან საზაფხულო სამოვრების გასწვრივ მიემართებოდა ბაიბურთისკენ. აქ, ანზარია ჰანლარში დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი სავაჭრო გზების კიდევ ერთი გზაგასაყარი იყო, სავარაუდოდ აქვე უნდა ყოფილიყო ციხე-სიმაგრეც, რომელიც, სამწუხაროდ არც წყაროებში მოიხსენიება და ვერ ჩვენ მივაკვლიეთ.

თავის მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ ხეობები (პილაბონიტის, კანისის, ხარშიტის და ლიკოსის) და მთიანი რელიეფი ერთგვარ ბარიერს ჰქმნიდა აქ გამავალი გზებისთვის, რომელთაც, როგორც რომაულ, ისე ბიზანტიურ ეპოქაშიც იყენებდნენ. ამ მთებს დღეს ორი თანამედროვე გზა კვეთს დასავლეთით, რომელიც იწყება სამხრეთიდან, თორულის ციხიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. ეს ერთ-ერთი ყველაზე უმოკლესი გზაა ტრაპიზონიდან ლიკოსის ხეობამდე და მიუყვება მდინარე დიპოტამოსს. ამ გზის გაყოლებაზე, იქისუში, რომელიც კანისის შენაკადია, ბიზანტიური პერიოდის მცირე ზომის სათვალთვალო კოშკი და ასევე ბიზანტიური პერიოდის ტაძარია. დიპოტამოსი კანისის ერთ-ერთი უდიდესი შენაკადია, ხოლო ამ ხეობაში, აღმოსავლეთით, სადაც დიპოტამოსს უერთდება სორუიანასა და ერტაბელის მდინარეები, ასევე მდებარეობს კოდილ კალე, ხოლო მის აღმოსავლეთით კი ორი ციხე - ბაიანა და კოლოსანა, ისინი აქ გამავალი გზებზე უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფდა.

ცნობილი მკვლევარის სტრეკერის ცნობით (Strecker, 1855: 346-348), კიდევ ერთი საზაფხულო გზა ერზიჯანიდან ტრაპიზონამდე მიემართებოდა სქურუთის, მურად ჩან-ოღლუს მთიანეთისა და ხარშიტის ხეობის გავლით. გარდა ამისა, ამავე გზას ასახელებს ბრიოტიც (Briot, 1867: 464), რომელიც ფიქრობს, რომ სწორედ ამ გზით გააგრძელა ქსენოფონტემ ჩრდილოეთით სვლა. ამ არეალში, მდინარეების სოირანისა და ხარშიტის შესართავთან არის უკვე დანგრეული ციხე-სიმაგრის ზინდანლარ არაზის ნაშთები. უფრო აღმოსავლეთით, კოვანის დასახლებიდან 5 კილომეტრის მოშორებით კანის ხეობაში შემორჩენილია ბიზანტიური ხანის ეკლესია და ციხე-სიმაგრე ქეჩი-კალე. მოგზაური კიეპერტი აქ კიდევ ერთი ციხე-სიმაგრის არსებობაზე მიუთითებს, რომლის იდენტიფიცირებაც, სამწუხაროდ, დღეს ვერ ხერხდება (Kiepert, 1855: 348).

განსაკუთრებით საინტერესოა კლავიხოს ცნობები (Clavijo, 1404: 79-84), რომელიც კარგად აღწერს ტრაპიზონიდან ერზიჯანისკენ მიმავალ გზებს. ამ გზის გავლას მოგზაურმა ერთ კვირაზე მეტი მოანდომა. ჩვეულებრივ, ტრაპიზონიდან დედირმენდერეს ხეობის გავლით, ჩაუარა პალეომაჭუკას ციხეს და გაემართა ზიგანას უღელტეხილისკენ, სადაც აღწერს ზიგანას ციხე-სიმაგრეს, შემდგომ კი თორულის გავლით გაემართა იქისუს ხეობაში. აქედან, ის გზას აგრძელებს სამხრეთით, სადაც ჩერდება დორილეს ციხესთან, რომლის შემდგომაც გზა ალანსას გავლით ერზიჯანისკენ მიემართება.

რაც შეეხება კონკრეტულად აღნიშნულ გზებზე არსებულ თავდაცვით ნაგებობებს, ზღვისპირეთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებდა იენისელ კალეს ციხე (Eynesil Kalesi, Görele, Koralla), ძველი გორელი, კორალა. იგი თანამედროვე ქალაქ გორელედან (ძვ. ფილოკალეა) აღმოსავლეთით, დაახლ. 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ციხე თავის დროზე საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა ყოფილა. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ციხე 1811 წელს ტრაპიზონის ფაშას დაუნგრევია (Sinclair, 1989:105).

გორელეს კონცხიდან აღმოსავლეთით, დაახლ. 8 კმ-ში მდებარეობს ჩემშეონუ კალე, რომელიც ივაზოლუს, ძველ ლიბიოპოლისს, შეესაბამება (NH, VI, 11). ციხე პატარა კონცხზე, მდ. აკხისარ დერედან დასავლეთით, 1 კმ-შია. საფორტიფიკაციო ნაგებობა თითქმის მიწასთანაა გასწორებული, მაგრამ ნაშთები აქა-იქ ფიქსირდება.

იალიქოის აღმოსავლეთით და იოროსის კონცხის დასავლეთით დაახლ. 10 კმ-ში მდებარეობს კიდევ ერთი ციხე გელიდა (კილიტა) კალე, ხოლო მისგან აღმოსავლეთით ასევე დაახლ. 10 კმ-ში იოროსის კონცხი (Yoroz Burnu), სადაც ა.ბრაიერის, დ.ვინფილდისა და თ.სინკლერის მიხედვით საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები ყოფილა. დღეისათვის ფიქსირდება მხოლოდ დასავლეთი კედლის ფრაგმენტი (Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105).

იოროსის კონცხიდან დაახლ. 11 კმ-ში, აქჩაბათთან (ძვ. ჰერმონასა, პლატანა) მისვლამდე, მდებარეობს აქჩა-კალეს ციხე (Akça kale). ციხე ტრაპიზონიდან გირასუნისაკენ მიმავალი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს, ზღვისკენ წაზიდული ნახევარკუნძულისებრი ფორმის ბორცვზეა დაშენებული. იგი საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობაა. ციხის დიდი ნაწილი საკმაოდ კარგადაა შემონახული, ისე რომ გეგმა სრულყოფილად იკითხება. განსაკუთრებით კარგადაა დაცული ციხის ჩრდილოეთი და ნაწილობრივ დასავლეთი გალავნის კედელი.

ზღვისპირა ზოლში გამავალი გზები თავს ტრაპიზონში იყრიდა, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჯერ კიდევ რომაულ პერიოდში იგი გახდა მნიშვნელოვანი ქალაქი სომხეთისა და ევფრატის დაბლობების დასაკავშირებლად. იმპერატორ ვესპასიანეს დროს აქ გაიყვანეს სპარსეთისა და შუამდინარეთისკენ მიმავალი ახალი გზები, ხოლო ადრიანემ ტრაპიზონი პროვინციის დედაქალაქად აქცია. ადრიანეს დროსვე მოეწყო ტრაპიზონის პორტიც. აქ განლაგებული იყო შავიზღვისპირეთში რომაელთა ფლოტის ერთ-ერთი მთავარი დანაყოფი, ხოლო ქალაქი, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის კასტელუმებში მდგარი რომაული გარნიზონების მთავარ მომმარაგებელ ცენტრს. იგი იყო ასევე ბოლო პუნქტი სირიისა და ევფრატისკენ მიმავალ სამხედრო გზაზე. ქალაქი და აქ გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტრაპიზონის, ხოლო მოგვიანებით ოსმალეთის იმპერიის დროსაც.

აღსანიშნავია დელირიმენდერეს ხეობის მარცხენა სანაპიროზე, ჩემშელერსა (დიანეიაკა, ზანხა) და კოპრუანას (სახნოე, სახანოი) შორის მდებარე განტოპედიანის/ლაბრას/ზანხა-კალეს ციხე. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რამდენიმე კილომეტრიდან ჩანს როგორც ხეობის ზევიდან, ისე ქვევიდან. უდავოა, რომ როგორც დუბერას ციხე სუმელას,

ისე განტოპედინი აქვე მდებარე ვაზელონის მონასტრის სასიგნალო კოშკის ფუნქციებსაც ატარებდა (Bryer, Winfield, 1985: 285).

თანამედროვე მაჩკადან (მაჭკაა, ისტორიული Ad Vincessimum/მაგანა) დაახლ. 5 კმ-ში, სოფ. აშალიქოიში (ყოფილი აშალი ხორტოკოპი) მდებარეობს ხორტოკოპის ციხე. იგი აგებულია ამაღლებულ ადგილას და საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა. მისი დიამეტრი 60 მ-ია და თითქმის წრიული ფორმისაა. თავის დროზე ჰქონია 9 გარეთ გატანილი მომრგვალებული კოშკი. მისგან სამხრეთით დაახლ. 20 კმ-ში თანამედროვე სოფელ ჰამსიკოიში მდებარეობს ციხე პალეოკასტრონი, ძველი მაჭუკა (Palaiomatzouka). ციხე აგებულია დელირდერეს (ძვ. პრიტანისი) ხეობის მარჯვენა სანაპიროზე ამაღლებულ და რთულად მისადგომ კლდეზე, მეტად სტრატეგიულ ადგილზე. სწორედ აქ გაივლიდა ძველად სავაჭრო-საქარავნო გზის ერთ-ერთი განშტოება „საზაფხულო“ გზა. როგორც ცნობილია, დიდთოვლიანობის გამო ჰამსიქოისა და მის მიდამოებში გავლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ სავაჭრო-საქარავნო გზა მარშრუტს იცვლიდა და ე.წ. „ზამთრის“ გზა დელირმენდერეს ხეობის აყობებით ზიგანას ქედისაკენ სუმელას მიმართულებით მიემართებოდა. ეს გზა შედარებით უსაფრთხო, მაგრამ გრძელი იყო, ამიტომაც ზაფხულის პერიოდში სწორედ ხამსიქოს ციხის ძირში გამავალ გზას ამჯობინებდნენ. ეს გზა შემდეგ სოფლებს გაივლიდა და ტრაპიზონიდან ზიგანას ქედისაკენ ან პირიქით ზიგანას ქედიდან ტრაპიზონისაკენ მიემართებოდა: გურგენ ალაჯი - ანაიურთი (ძვ. კრანსა) - დიქქაია (ძვ. ზავერა) - გუზელ იაილა (ძვ. ფერღანლი) - ხამსიქოი (ძვ. ჩირალი) - ზიგანას ქედი.

შიდა რაიონებში გამაგრების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ზიგანას უღელტეხილზე არსებულ ციხეს. საფორტიფიკაციო ნაგებობა აკონტროლებდა უღელტეხილს და ყველა იმ გზას რომელიც აქ გადიოდა. ციხე სოფ. ზიგანა ქოიდან დასავლეთით 700 მ-ში, მაღლივ კლდეზეა დაშენებული. აქედან კარგად ჩანს სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. იგი პირდაპირ გასცქერის სამხრეთით თორულის ციხეს.

ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება, მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი, რომელიც, სხვათა შორის, მეჰმედ II მიერ ამ რეგიონის დაპყრობიდანვე (1479-1480 წწ) ადრე ხანში, XV-XVI სს მიჯნაზე ააგეს. აქვეა მოსასვენებელი სახლი, ხანი (Bryer, Winfield, 1985: 297). ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა.

ზიგანას შემდეგ ამ გზაზე მომდევნო საფორტიფიკაციო ნაგებობა თორულის ციხეა (ძვ. არდასა). ციხე აგებულია ზღვის დონიდან 112 მ სიმაღლეზე. აქ უძველეს დროიდან (სხვათაშორის ახლაც) თავს იყრის ზღვისპირეთიდან პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან დამაკავშირებელი ორი გზა. პირველი გზა ძველი გერასუნიდან ხარშიტის ხეობით ადიოდა, მეორე კი ტრაპიზონიდან დელირმენდერეს ხეობით და ზიგანას უღელტეხილის გადალახვის შემდეგ ჩადიოდა ასევე თორულში. ორივე გზა თორულისაგან ჩრდილო-დასავლეთით ხარშიტის ხეობის ყველაზე შევიწროებული კლდოვანი ქედების ძირში იყრიდა თავს. აქედან კი ძველი საქარავნო გზა ბაიბურთის, ერზინჯანის თუ სხვა მიმართულებით მიდიოდა. ფაქტიურად თორულის ციხე ამ გზების შესაყარს აკონტროლებდა. მას ადრე არდასა ერქვა.

სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტონიკით ციხე აგებული უნდა იყოს შუასაუკუნეებში. მისი აშენების მიზეზი სტრატეგიული დანიშნულებაა, კერძოდ ტრაპიზონ-გუმუშხანესა და კანის-პრიტანისის ხეობათა გზების გაკონტროლება.

თორულის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 37 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქოფუზ-კალე. გამოყენებული მასალის და საამშენებლო ხელოვნების მიხედვით იგი შუა საუკუნეების ნაგებობა ჩანს. ციხე 60 მ სიმაღლის კლდოვან ფერდობზეა დაშენებული. იგი თითქმის მთლიანადაა დანგრეული.

თორულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ში, იქ სადაც მდ. იქისუ, იგივე ყარამუსტაფა (დიპოტამოსი) მდ. ხარშიტს უერთდება, თანამედროვე სოფელი ოვუნდუა. სოფელის ცენტრში გამავალი მდინარის მარჯვენა მხარეს ოვუნდუს ციხეა. მის საპირისპიროდ, მდინარის მარცხენა მხარეს კი - იქისუს ციხე.

ოვუნდუს ციხე გუმუშხანედან 15 კილომეტრითაა დაცილებული. იგი ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ოვუნდუს აღმოსავლეთით 30-40 მ სიმაღლის კლდის პლატოზეა დაშენებული. მისგან ჩრდილოეთით მდ. ხარშიტი, ხოლო დასავლეთით მეორე მდინარე იქისუ (დიპოტამოსი) მიედინება. ციხიდან ხარშიტისა და იქისუს ხერთვისამდე 200 მეტრია. აქედან იქსაქსება შავიზღვისპირეთიდან მომავალი გზები სხვადასხვა მიმართულებით. ერთერთი გზა გუმუშხანესაკენ, ხოლო შემდეგ ბაიბურთისაკენ მიდიოდა. მეორე კი შირან-ერზიჯანისაკენ. ამ გზების გასაყარს აკონტროლებდა სწორედ ოვუნდუს და მისგან მდინარის მარცხენა სანაპიროს მაღალ კლდოვან კონცხზე დაშენებული იქისუს, იგივე დიპოტამოსის ციხე. ორივე საფორტიფიკაციო ნაგებობა ერთმანეთს გაჰყურებს. მათ შორის დაახლოებით ხუთას მეტრამდე იქნება დაცილება. ოვუნდუს ციხის ძირში გაივლიდა სწორედ ცენტრალური ტრასა და 5 კილომეტრის შემდეგ ნაწილდებოდა გუმუშხანე ბაიბურთისა თუ ერზიჯან შირანისაკენ.

იქი-სუდან, 7 კმ-ში, მდ. იქი-სუს აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს გოდინის (გოდანა, კოდლილი) ანუ გუმუშკაიას ციხე. ციხის საშენი მასალის მიხედვით შუა საუკუნეებისაა. ისიც საკმაოდ სტრატეგიულ ადგილასაა და ალთინფინარ-შირან-თორულ-გუმუშხანეს გზების დამცველია. ციხე ერთდროულად აქ გამავალი გზების გასაკონტროლებლად და ამასთანავე თავდაცვითი მიზნებისთვისაა აგებული (Özkan, Yurttaş, 2012: 118-119).

ხარშიტის მარცხენა შენაკად იქისუს წყლის აუზში, იქისუს და ხარშიტის ხერთვისიდან ტრაპიზონ-შირანისაკენ მიმავალი გზის მე-12 კმ-ზე, მდ. იქისუს მარცხენა მხრიდან უერთდება სორიანეს წყალი. აქედან ხეობის აყოლებით 5 კმ-ში მდებარეობს სოფელი სორიანა, სადაც აგებული ყოფილა სორიანას ციხე. აქაურთა გადმოცემით ხეობასა და ციხისძირში გამავალ გზას იფექიოლი (აბრემუმის გზა) ერქვა. იგი ხევის დაყოლებით ტრაპიზონ-შირანის გზამდე ჩადიოდა და აქედან უკვე შეიძლებოდა ნებისმიერი მიმართულებით წასვლა. მარცხნივ გუმუშხანეს გავლით ბაიბურთისაკენ, ხოლო მეორე მხრივ თორულით ტრაპიზონის და ძველი გერასუნისაკენ.

სორიანას ხეობაში არის დაფიქსირებული ზინდალარის ციხის ნაშთებიც (Zindanlar Arazı). ციხე მდებარეობს ვიწრო შემადლებულ ადგილზე და თავის დროზე ხუთკუთხა

(პენტაგონალური) გეგმის ყოფილა. სწორედ აქ იყო ადგილი, სადაც ქარავანი ისვენებდა და მოწყობილი თავშესაფარი. ზინდანლარის ციხის ნაშთები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ერზრუმიდან და სატალადან მურასანოლულარისაკენ მიმავალ საზაფხულო გზასთან (Mittford, 2018:355-359).

ტრაპიზონ-ძველი გუმუშხანე-ბაიბურთისაკენ მიმავალი გზის დორთკონალის (ედირეს) მონაკვეთში მდებარეობს დორთკონაკის (ედირეს) ციხე. აქედან ძველ გუმუშხანეს ადმინისტრაციულ (თანამედროვე სულეიმანიე) ცენტრამდე 18 კმ-ია. გზები, რომელიც გერასუნიდან ხარშიტის, ხოლო მეორე გზა, რომელიც ტრაპიზონიდან დელირმენდერეს ხეობით მოდიოდა, თორულის ვიწრო გასასვლელ ყელთან ერთიანდება. აქედან იგი ხარშიტის ხეობის მარცხენა მხარეს მიუყვება და შემდეგ იქისუსა და ხარშიტის წყლების ხერთვისიდან მარჯვნივ შეუხვევს. ხერთვისს როგორც აღინიშნა, კარგად აკონტროლებს მდინარის მარჯვენა მხარეს არსებული ფუმბულას და მარცხნივ კი-იქისუს (იგივე დიპოტამოსის) ციხეები. ხერთვისიდან დაახლოებით 5 კმ-ში გზა ორად იყოფა. ერთი პირდაპირ იქისუს ხეობით ერზიჯანისაკენ, თუ შირანისაკენ მიდის, ხოლო მეორე მარცხნივ უხვევს და იქისუს მარჯვენა შენაკად ყარამუსტაფას ხეობით ბაღჩექოის-ჰასქოის, დორთკონაკის, იაიდემირის გავლით სულეიმანიეში ანუ იგივე ძველი გუმუშხანეს ცენტრში ჩადის. აქედან კი ბაიბურთის თუ სხვა რეგიონებისაკენ მიემართება. ეს ის ძველი გზის მონაკვეთებია, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა პონტოს მთებს გადაღმა სამყაროსთან. დორთკონალის ციხე სწორედ იქისუს ხეობიდან ყარამუსტაფას ხეობით ძველი გუმუშხანესაკენ მიმავალი გზის დასაწყისს აკონტროლებდა. სწორედ აქედან იქისუსა და ყარამუსტაფას ხერთვისიდან იყრება ძველი გზები ორი მიმართულებით-ერზიჯანისაკენ და მეორე გუმუშხანე-ბაიბურთისაკენ. საკუთრივ ციხისათვის ხეობის დასაწყისში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევიათ. აქ ორივე მხარის მაღალი კლდოვანი ქედები ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ერთმანეთს და ვიწრო ყელს ქმნიდა. ციხის მშენებლებს სწორედ ყარამუსტაფას ხეობის მარჯვენა კლდოვანი ქედის ბოლო მონაკვეთი შეურჩევიათ. ციხე უშუალოდ ამ ქედის ბოლოს, ხეობისაკენ წინ წაზიდული კლდოვანი შვერილების ყელზე შემადგენელი კლდის წვერზე დაუშენებიათ.

ხარტიმის ხეობის მარჯვენა სანაპიროს წყალგამყოფი ქედის ერთ-ერთ ყველაზე შემადგენელ კლდოვან ქანზეა დაშენებული აქჩა-კალე. ციხე, რომელიც ზემოდან გადაყურებს მთელ ხეობას სიგრძე-სიგანეზე და თანამედროვე გუმუშხანეს. ასევე იგი პირდაპირ გასცქერის ამ ოლქის ძველ ცენტრს, რომელსაც ამჟამად სულეიმანიე ეწოდება. აქჩა-კალე თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ძველი გუმუშხანეს ერთიანი თავდაცვითი სისტემისა. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილში არსებულ სასიმაგრო ხასიათის ნაგებობებს, რომლებიც როგორც გარე, ისე შიდა სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს შესანიშნავად აკონტროლებდნენ.

გუმუშხანედან ბაიბურთისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებს ქეჩი-კალე. იგი აგებულია გუმუშხანედან 25 კმ-ის დაშორებით ბაიბურთისაკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთ მხარეს მაღალ წოწოლა კლდეზე, ზღვის დონიდან 1627 მ სიმაღლეზე.

ქეჩი კალეს ციხესთან ახლოს მდებარე სოფ. ქვედა ჰურუსუფლას (Hurusüfla) სამხრეთით,

3,2 კმ დაშორებით არის კარგად ნაშენი მოპირკეთებული ქვებისაგან შედგენილი კედლების ნაშთები. როგორც ამბობენ, აქაც ციხე ყოფილა. ირგვლივ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოსა და ოქროს მონეტები, ტერაკოტა, წყლის მილები რაც აქ რომაელების არსებობაზე მიუთითებს. უხუცესებს ახსოვთ ტრაპიზონიდან მომავალი და ასევე გუმუშხანედან ერზიჯანამდე აქ გამავალი ძველი გზა. იგი შემდეგნაირი მარშრუტის ყოფილა: ჰურუსუფლა (Hurusüfla) - კოსე (Köse) - ჰავჯიში (Havciş) - კილიჩი (Kiliççi) - სადაკი (Sadak) (Mitford, 2018: 354-355).

მნიშვნელოვანი გზა გადიოდა იურთლარის ხეობაშიც (Yurtlar dere). აქ გამავალ გზას აკონტროლებდა სწორედ ალა-კალესი (Ağa Kalesi). მისი შიდა ტერიტორია დაფარულია ხეებით და თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ციხე თავის დროზე მართკუთხა გეგმის ყოფილა. შემორჩენილი ზომები დაახლოებით 65x25 მ-ია. კედლები ამოყვანილი ყოფილა კირხსნარის გარეშე მდინარის ქვებით. გადარჩენილია მხოლოდ ორი კვადრი. ფიქრობენ რომ ეს ციხე შეიძლება იყოს კორბულონის მიერ განახლებული პრაესიდია (Praesidia), რომელიც ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზების დასაცავად აიგო (Mitford, 2018:354-355). ამავე ხეობის სათავეებში ფიქსირდება ჰურის ციხის ნაშთები (თანამედროვე სოფ. ბეიჩამში), რომელიც საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილ ნაშთებზე ზედაპირული დაკვირვებით ციხე ადრებიზანტიურ პერიოდში ჩანს აგებული.

გუმუშხანე ერზიჯანისაკენ მიმავალ გზას აკონტროლებს ესენიურთის (კოვის) ციხე, რომელიც აშენებულია ერზიჯანისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა წყალგამყოფი ქედის ყველაზე შემალღებულ კლდოვან ბორცვზე. აქედან ოთხივე მხრივ კარგად მოჩანს უზარმაზარი სივრცეები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა რომელიც გუმუშხანეს რეგიონში გაივლიდა იალლი დერეს ხეობის გზაა. იგი როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტი 1930-იან წლებამდე გამოიყენებოდა. იგი გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: ტრაპეზუნტი/ტრაპიზონი (Trapezunta, Trabzon) - მაშჯიჩიჰანი/კარაკაბანი (Maşciçihani, Karakaban) - მაგნანა (Magnana) - კოლასანლარი (Kolathanlari) - ბილაე (Bylae, Bile) - ანზარიაჰანლარი (Anzaryahanlari) - ერგიდარიუმი (Ergidarium) - მადენჰალარი (Madenhalar) - პატარა/პეტრა (Patara, Petra) - აღიარლარის (Ağyarlar) იგივე იაილას (Yayla) საძოვრები, იმერას ზემოთ - მედოკია (Medocia) - ლერი (Leri) - სოლომენიკა (Solomenica) - ძველი კოსე (Eski Köse) - დომენა (Domena) - სადაკი/სატალა (Sadak, Satala) (Mitford, 2018: 348-349).

სწორედ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს აკონტროლებდა კრომნის ციხე, რომელიც კოლატის მთების ყველაზე შემალღებულ ადგილზეა აშენებული. მკლევარების მიერ კოლატი იდენტიფიცირებულია, როგორც პონტოს კარი, ანტიკური Pylae, ტაბულა პეუტინგერიანას Bylae. აქაა სწორედ აღმოჩენილი რომაული კასტელუმის ნაშთები, რომელიც ერთადერთია სატალასა და ტრაპიზონს შორის არსებულ გზაზე. ეს კარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ცნობილია აგრეთვე როგორც ბაღდადის, აბრეშუმის და საქარავნო გზის სახელწოდებით (Mitford, 2018: 370). ადგილობრივთა გადმოცემით აქ დღემდე გადის ყველაზე მოკლე გზა ტრაპიზონის მიმართულებით. აქედან კოლატის მთების ფერდობებით გზა გადადის მერიემ

ანას ხეობაში, შემდეგ კი დელირმენდერეს ხეობით ტრაპიზონისაკენ მიემართება. აქედან ტრაპიზონამდე მანძილი დაახლოებით 140 კმ-ია და ამ გზას ზაფხულის პერიოდში დღემდე იყენებენ.

შიდა ქალდიისკენ მიმავალი ან გამავალი გზები თავს მაინც გუმუშხანეში, უფრო სწორად მის ძველ დასახლებაში, სულეიმანიაში იყრიდნენ, სადაც რეგიონის ყველაზე ცნობილი საფორტიფიკაციო ნაგებობა - ჯანჯას (ქანიკას) ციხეა. ის გუმუშხანეს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ დაშორებით, აგებულია მდ. ხარშიტის სამხრეთ ნაპირზე, სანაპიროდან დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე აზიდულ წაგრძელებულ კლდოვან ბორცვზე. ციხე გუმიშხანეს რეგიონის უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო და ეკონომიკური ცენტრი იყო. იგი უშუალოდ აკონტროლებდა ძველ გუმუშხანესაკენ და აქედან სხვადასხვა მიმართულებით გამავალ გზებს.

ხარშიტის ხეობის ქვემო წელზე, ცენტრალურ გზიდან, რომელიც გუმიშხანეს შავ ზღვასთან აკავშირებდა, 13 კმ-ში მდებარეობს ბოდრამას (პეტრას) ციხე. ის თანამედროვე სოფელ ორმანქაიას თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდული კონცხის წვერზეა დაშენებული, მდ. ხარშიტის მარჯვენა სანაპიროზე. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა კარგად აკონტროლებს გუმიშხანე-ტირებულოს გზას ზღვისპირეთამდე და ხეობაზე გამავალ გზებს გუმიშხანისაკენ. ციხე მთლიანად ამ წოწოლა კლდის თავზეა მორგებული.

გუმიშხანისკენ მიმავალ გზაზე, მდ. ხარშიტის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. დოქუზ კონაქის (ძვ. ზანდანი) თავზე, 5 კმ-ში არის შაბან-კალესი. ციხე, უფრო ზუსტად ციხე-კოშკი, სოფლის თავში, ხეობისაკენ წინ წამოზიდულ კლდოვან, პირამიდისებური ფორმის ბორცვზეა დაშენებული. აქედან შესანიშნავად მოსჩანს ხეობა, ოთხივე მხრივ კარგად მოზრდილ მანძილზე. ძველი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მხოლოდ აქაიქ შეინიშნება საძირკვლის ნაშთები. როგორც ჩანს, ეს ციხე-კოშკი საგუმაგო-სასიგნალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, იგი ხეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ზონაში არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან იყო დაკავშირებული და თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შუალედურ რგოლს წარმოადგენდა.

მსგავსი დანიშნულება უნდა ჰქონდა ამავე ხეობაში, დოღან-კენტის აყოლებაზე, დერე-გოზუს ხეობაში (ხარშიტის მარცხენა შენაკადი) გზატკეცილიდან 8 კმ-ში, ხოლო საკუთრივ სოფ. დერე-გოზუდან 2 კმ-ში, სოფ. დანდი-ქოის თავზე მდებარე ციხე-კოშკს, რომელსაც მეორენაირად სუტაშის ციხესაც უწოდებენ. ეს მცირე მოცულობის ციხეც საგულდაგულოდ შერჩეულ ადგილასაა აგებული. იგი ძირითადი ხეობისაგან შიგნითაა შეწყული, მაგრამ თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ასევე უკავშირდებოდა სხვა ციხეებს და საგუმაგო-სასიგნალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, აქაც მხოლოდ საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ცენტრალური ქანეთისკენ შავიზღვისპირეთიდან გზების ორი მთავარი კვანძი მიემართებოდა, ერთი, ტრაპიზონიდან დელირმენდერეს ხეობით, და მეორე, ტირებოლუდან (ძველი ტრიპოლისი) ხარშიტის ხეობით. ეს გზები თავს იყრიდა თორულთან, საიდანაც ერთი გზა მიემართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით იქისუს გავლით, გუმუშხანესკენ, ხოლო მეორე, სამხრეთით, შირანის, ალანსას, კელკიტისა და სადაკის გავლით

ერზიჯანისაკენ. ცხადია, ამ გზებზე მოსახერხებელ გადაადგილებასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა შესაბამისი საგზაო და თავდაცვითი ინფრასტრუქტურა (ქვის თაღოვანი ხიდები, ქარვასლები, იტერარიუმები, და ა.შ), რომელთა ნაწილმა დღემდეც მოაღწია. რაც შეეხება უშუალოდ გზების უსაფრთხოების საკითხს, ამ მხრივ აღსანიშნავია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა, რომლებიც საიმედოდ აკონტროლებდნენ მათ.

II თავი. საყოფაცხოვრებო და საკულტო არქიტექტურის ნიმუშები

(ტაბ.48-63)

სამშენებლო კლიმატურ-გეოგრაფიული ზონების თვალსაზრისით ცენტრალური ჭანეთი, ისევე როგორც მისი აღმოსავლეთი ნაწილი, შეიძლება ზღვისპირა და მთიან ზონებად დაიყოს. აღნიშნული კლასიფიკაცია არ იქნება სრულყოფილი, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას: აქაური ხეობები ძალზე პატარაა, ამიტომ მთიან ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ ზღვის სანაპირო ზოლის ახლომდებარე ტერიტორიები.

§ 1. საცხოვრებელი და სამეურნეო არქიტექტურის ნიმუშები

კლიმატი, რელიეფი, მეურნეობის ხასიათი და ოჯახის სტრუქტურა განაპირობებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ხასიათს, მათ მოცულობით-სივრცით აღნაგობას (იხ. დავითაშვილი, 1964; ადამია, 1967). მკვეთრი ვერტიკალური ზონალობის წყალობით კლიმატურ მახასიათებლებში შეინიშნება საგრძნობი განსხვავებები (სუმბაძე, 1978:17; ჩიქოვანი, 1976; 1982). ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები ტრაპიზონსა და მის შემოგარენში, ქარანაბას ხეობაში, დელირმენდერესა და ხარშიტის ხეობების ცალკეულ დასახლებებში.

ნიმანდობლივია, რომ ლაზური არქიტექტურის ნიმუშები ყველგან არ ფიქსირდება. ამას ამტკიცებს როგორც ჩვენი ექსპედიციის დროს მოძიებული სავსე მასალები, ასევე რესპონდენტთა ინფორმაციები. მათი მონათხრობის მიხედვით რეგიონში ამჟამად მკვიდრობენ თურქები, ხოლო წინა პერიოდებში მცხოვრებლებს შორის, ძირითადად, ბერძნებს ასახელებენ. შესაბამისად, ისინი უარყოფენ ლაზური არქიტექტურული ნიმუშების არსებობასაც. რესპონდენტთა ასეთი ინფორმაციის მიუხედავად, რამდენიმე სოფელში დაფიქსირდა ლაზური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი, რაც აშკარად ლაზური გავლენის შედეგია. ცალკეული სახლები კი ლაზი ოსტატების მიერ არის აშენებული.

ზოგადად, ცენტრალურ ლაზეთში გავრცელებულია თანამედროვე საცხოვრებლები. ულამაზესი და ნატიფი ლაზური არქიტექტურა შეცვალა ბეტონის უსახურმა სახლებმა, თუმცა ასეთი სახლების ზოგიერთ ნაწილში ლაზური ელემენტებია გამოყენებული. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სოფ. ტარში იაქასში//განახალეში მდებარე 90 წლის სახლი (ტაბ. 48/1) გარეგნულად იგი არ ტოვებს ლაზური სახლის შთაბეჭდილებას, თუმცა ორფერდა გადახურვის ქვეშ მდებარე კედლისზედა სამკუთხა ნაწილი და ფასადი ლაზებისათვის დამახასიათებელი ხის კვადრებითა და დულაბითაა წარმოდგენილი. სახლის ჭერსა და სახურავს შორის დარჩენილ სივრცეს - **ონცხონეს** უწოდებენ, რომელიც საწყობადაც გამოიყენებოდა (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 71). თუნუქითა და კრამიტით გადახურულ

სახლს გააჩნია ერთფრთიანი კარები, ფანჯრებზე კი დარაბები.

იმავე სოფელში არის შერეული ტიპის²¹ სხვა საცხოვრებელიც (ტაბ. 48/2). აღნიშნულ სახლს მთელ სიგრძეზე გასდევს შუა დერეფანი (რაც, ზოგადად, დამახასიათებელია აჭარული საცხოვრებლებისათვისაც). ამკარაა, რომ სახლის მარჯვენა მხარე შემდეგდროინდელი მინაშენია. ფასადი - ხის კვადრებში ჩასმული რომბების, სამკუთხედებისა და გეომეტრიული ფიგურების ცენტრში ჩასმული მსხვილი წერტილებითაა წარმოდგენილი.

საცხოვრებლის ზურგის მხარე თლილი ქვებითაა აშენებული, ხოლო სახურავქვეშა და კედლისზედა სამკუთხედი ლაზურია. სახლის ჭერსა და სახურავს შორის დარჩენილ სივრცეს, **ონცხონეს** საწყობადა იყენებდნენ (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 71). საცხოვრებლის გადახურვა - ორფერდაა, მასალად გამოყენებულია კრამიტი. ლაზური არქიტექტურითაა აშენებული ფასადის მოპირდაპირე კედლის ნაწილი. ამკარაა, რომ შუა დერეფნის მარცხენა ნაწილი ლაზური სტილითაა აშენებული და უფრო ძველია. მთხრობელის თქმით „სახლი 100 წლისაა. იგი დედეს (ბაბუა) აშენებულია და ქვები ცხენებითაა მოზიდული“. რესპონდენტი უარყოფს ზოგადად ლაზების კვალს. იგი გამორიცხავს ასევე ლაზი ოსტატების მიერ სახლის აშენების შესაძლებლობას.

ზოგადად, ლაზური სახლი აერთიანებს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მთელ კომპლექსს, საკუთრივ: ხის **სერენდერე** (ნალია), **დიღბელი** (ლაზ. ოჩამრე), **ამბარი** (ლაზ. ბალუ) და **მანდირა** (ახორი). განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო მიზანშეწონილია ყველა ამ ნაგებობის ერთ კომპლექსში განთავსება (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 68).

ნაგებობები ხისგან იგებოდა. აქტიური როლი ეკისრებოდათ მხერხავებს. ექვს-შვიდ კაციან სამუშაო ჯგუფში სამი მხერხავი იყო. მხერხაობა შემოსავლის კარგი წყარო იყო. იგი სრულდებოდა თურქული აკომპანიმენტით (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 69).

ტრადიციული ლაზური სახლი შედგებოდა სახლის მიწური იატაკის მქონე ნაწილისა (სადაც კერაა) და იგივე სიდიდის წინა ნაწილისაგან, რომლებიც ერთ ჭერქვეშ იყო მოთავსებული. სახლს ისინი **ობორსაც** უწოდებენ, თუმცა ამავე ტერმინით მოიხსენიებენ სახლის ეზოს დონეზე მდებარე **შუა მიწიან** ნაწილსაც. სახლის მშენებლობისას ამ ადგილას მიწასაც ყრიან, ასწორებენ და ტკეპნიან. შესაბამისად, იგი არ ტალახდება და არც მტვერი დგება დასუფთავების დროს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საველე ექსპედიციის დროს დაფიქსირებული კიდევ ერთი საცხოვრებელი, რომლის ასაკი 300 წელია. იგი წაბლის ხისგანაა აშენებული. სახლის წინა ფასადი ხისაა ერთფრთიანი შესასვლელი კართა და ორფრთიან დარაბებიანი ფანჯრებით (ტაბ. 48/4).

შესასვლელი თაღოვანია. საცხოვრებელი რამდენიმე სათავსოსაგან შედგება. ერთ-ერთი ოთახი, სამასწლიანი ოდა ქვის გარეკედლითაა დაცული და საშუქე სარკმლითაა წარმოდგენილი (ტაბ. 49/1). ქვისააა მუთვალის ერთ-ერთი კედელიც, რომელშიც თაროა ჩატანებული. მისი ფართობი 4 კვ.მ. (ტაბ. 49/2). სახლის კომპლექსში შედის: **მუთვადი**,

²¹ შერეულ ტიპში ვგულისხმობთ თანამედროვე სახლებს, რომლების ფასადი წარმოდგენილია ლაზური შემკულობებით.

ოთურმა სალონი, იატაქ ოდა და მის გვერდით მხარეს მდებარე სამი საძინებელი, აბანო. საცხოვრებელ სახლს აშკარად ატყვია სიძველისა და ტიპიურობის ნიშნები. ამის ნათელი მაგალითია თლილი ქვებისაგან შემოზღუდული ნახევარკალი მიწატკეპნილი იატაკით, რომელზეც ეხლა ღუმელია განთავსებული. ადრე აქ **კერა (ბუხარი)** უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებენ რესპონდენტებიც: ჰამით ალთინ დაშის მონათხრობით, ადრე ყველა სახლში იყო **შუაცეცხლი//ოჯაქი//ბუხარი**, სადაც ზამთრობით მუდმივად ენთო ცეცხლი. ბუხარში ჩამოკიდებული იყო ქვაბი (**ჩუკალი**). ზაფხულში, შესაძლოა, ცეცხლი ყოველდღიურად არ გაეჩაღებინათ. ასეთ შემთხვევაში **კერემული//გრძელი ჯაჭვები** ბავშვებისათვის გასართობ-სათამაშო საშუალებად იყო ქცეული. ყოველდღიური სუფრა იშლებოდა სახლის შუა ადგილას. **ოხოშქაგურეს** ახლოს. ჯაჭვზე შესაბოლად ხშირად კიდებდნენ ხორცსაც. ჭერზე იყო აგრეთვე წაბლის ქერქისაგან დამზადებული დიდი ჭურჭელი - **ოვლე**, რომელსაც ყველის, ხუმრის, ჩურჩხელების გამოსაშრობად იყენებდნენ.

მისაღებ ოთახსა და სამზარეულოში შესასვლელი იყო შიდა ეზოდან. აქ სრულდებოდა საოჯახო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი, იყრიდა თავს მომსველელ-წამსველი. აქ უმასპინძლებოდნენ სტუმარს. მისაღები ოთახი იყო მიწის იატაკიანი. ამიტომ აქ ფეხზე არ იხდიდნენ. სხვა ოთახები კი ხის იატაკისა იყო. ჰქონდათ უზურგო (**ორძო**) და ზურგიანი (**მენჯიონი**) სკამები. სხვა ავეჯი თითქმის არ იყო (ლაზები და ლაზეთი..., 2015:70).

სამზარეულოში ყოველდღიურად გამოიყენებოდა სპილენძის სინი, ხის ან სპილენძის გობი, სპილენძის საწური, თევშები, რომლებიც დარაზად წოდებული ხის კედლის თაროებზე იყო განთავსებული. მათ ქვეშ იყო **ოკუზალე** კოვზებისათვის. საცხოვრებელ ნაწილში შესასვლელი კარის ორივე მხარეს იყო განთავსებული **სამარილე//ონჯუმალე**, რომელიც მხოლოდ მარილის შესანახად გამოიყენებოდა. სახლის ერთ ნაწილში იყო წყლის დოქები „**კუკუმა//კუკმა//კუკმინა**“ (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 70). სამზარეულო დანიშნულებისა იყო კედელში ჩაშენებული მინისა და ყოველდღიური საკვებისათვის განკუთვნილი, დახურული (**ნთაო**) კარადები.

ლაზურ ოჯახში წყალი წმინდათა წმინდაა (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 71). წყაროდან წყალი ახალგაზრდა გოგონებს მოქონდათ. წყლის მოტანის საბაბით ისინი შეყვარებულებსაც ხვდებოდნენ. საღამოს, ერთსა და იმავე დროს წყალზე მიმავალი გოგონები ერთმანეთზე აჯახუნებდნენ სპილენძის ჭურჭელს, რათა მიეპყროთ რჩეულთა ყურადრება. ამას ადასტურებს ლაზური ფოლკლორის ნიმუშებიც (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 71). მსგავსი დამოკიდებულება წყლისადმი ზოგადად წყლის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული და დამახასიათებელია ცენტრალური ლაზეთის თურქი თუ ბერძენი მოსახლეობისთვისაც.

კერიაზე (ტაბ. 49/3) ადრე განთავსებული ყოფილა სამი ოთხფეხა „**საჯიალი**“//**სადგამი**. იქვე იყო 50-60 სმ სისქის **ოკანჩხულე//მამა**. იგი წარმოადგენდა წვეტიან რკინას და გამოიყენებოდა ცეცხლის საჩხრეკად და გახურებული კეცის ასაღებად. საცხოვრებელ სახლს აქვს რამდენიმე **დოლაბი** საოჯახო ნივთების, ფეხსაცმელების განთავსებისა თუ სხვა დანიშნულებისათვის. დოლაბის გვერდით კედელზე ჩამოკიდებულია ე.წ. **ყანთარი//სასწორი**.

მნახველის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სახლის უკანა ნაწილი, სადაც საპირფარეოა

განთავსებული. სახლის ამ ნაწილს ლაზები **ჯილემონას//ჯიმოკას** ეძახიან. იქ ინახება ზამთრისთვის განკუთვნილი შეშა (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 69).

სახლის წინ, ბოსლიდან მინდორისაკენ მიმავალ გზას **ახიპიჯს** უწოდებენ. სახლის წინამინდორს კი „**ოხორიშ ონტულეს**“//**სახლის მინდორს** ეძახიან. **ოჩვეტელა// ოჩალაღე** სახლის ეზოსა და ბოსელს შორის არსებული სივრცეა, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისათვის - მოხმარებული წყლის გადასადგრელად, ნარჩენების მინდორში გასატანად და სხვა. შეიძლება ამ ადგილს პირობითად სანაგვეც კი ვუწოდოთ. ამ დანიშნულებისათვის სპეციალური ორმოებიც არსებობდა.

სახლს ჰქონდა ორი ეზო: **გალენი ავლი-ი** (განკუთვნილი მოსასვენებლად, თხილის, სიმინდის, ბალახის გასაშრობად) და **დოლოხენ ავლი** (სახლის უკანა მხარე). შესასვლელიც ამ ეზოდან იყო. სპეციალური კარი ზღუდავდა იქ ძაღლის თუ კატის შესვლას. სახლებს გააჩნდა აგრეთვე სარდაფი, რომლის ნაწილს ბოსლადაც იყენებდნენ (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 69).

გარეთ, ფანჩატურის ქვეშ განთავსებული იყო **ოჩამრე** - თონის მოყვანილობის სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობა მრგვალი ფორმის **დიბეკი** (თურქული)// დიდი ზომის **როდინი** (სიმაღლე 50 სმ-ია, დიამეტრი 60-70 სმ). იგი გამოიყენებოდა სიმინდის გასაჩურჩვად, ასევე ხილის საჭყლეთად ბეთმეზისათვის. ზოგან იგი სერენდერის ქვეშ იყო განთავსებული (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 70).

ლაზურ სახლებთან ძალზე ახლოს მდებარეობდა სასაფლაოები (ტაბ. 49/4). ჩვენი დაკვირვებით, ცენტრალურ ლაზეთში ამჟამად ვხვდებით ორი სახის სასაფლაოს: ა) **შემოზღუდული და მარმარილოთი მოპირკეთებული და ბ) შემოზღუდავი, საინფორმაციო დაფით წარმოდგენილი**. სასაფლაოების სახლთან სიახლოვე განპირობებული იყო გარდაცვლილის სიყვარულით. სიახლოვე ამცირებდა განშორების ტკივილს. შესაბამისად, აიოლებდა საფლავის მოვლას. ყოველივე ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო სადღესასწაულო დღეებში.

თანამედროვე თურქეთში, თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება უამრავი ზიარეთი - წმინდა ადგილი. იგი, ძირითადად, გვხვდება არა სოფლებში, არამედ მაღალ ადგილებში, იაილებსა და სოფლებს შორის. მორწმუნეები (უშვილოები, ავადმყოფები, დასაქორწინებლები) ადიან ზიარეთებში და კითულობენ ლოცვებს, რადგან სწამთ, რომ იქ ევლიები (წმინდანები) არიან დასაფლავებულნი და მათ თხოვნას ღმერთი გაითვალისწინებს.

ლაზური საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ცალკეული ნიმუშები დაფიქსირდა დედრი- მენდერეს ხეობის სოფელ **კონაქლი ქოიში**, მაჩვიდან 20 კმ-ის დაშორებით (ტაბ. 50/1). სოფელში იყო კირის საბადო - საკირე, რომელიც ტრაპიზონში იყიდებოდა და წარმოადგენდა იქ მაცხოვრებელთა შემოსავლის წყაროს. გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი ნალია. ამ სახლებში დღეს აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ იგი წარმოადგენს ლაზური არქიტექტურული ნიმუშის, წარსულში ლაზების ცხოვრებისა და ლაზი ოსტატების არსებობის მატერიალურ დადასტურებას (თუმცა სახლის მეპატრონე თავს ლაზად არ მიიჩნევს). მთხრობელთა გადმოცემით ადრე იქ ლაზები სახლობდნენ, რაც ამყარებს შეხედულებას, რომ დედირმენდერეს ლაზური საყოფაცხოვრებო არქიტექტურული ნაგებობანი ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

პირველი სახლი ორსართულიანი ნაგებობაა. პირველი სართულის ნაწილი ქვისაა და ნაწილობრივ ბათქაშითაა შელესილი, მეორე სართული კი ხისაა და აშკარადაა გამოხატული ლაზური არქიტექტურის ელემენტები. სახლს შემორჩენილი აქვს ხის კვადრები, რომლიდანაც გამოვარდნილია ქვები, თუმცა პირველი სართულის მარჯვენა მხარეს იგი დღემდეა შენარჩუნებული. იქვე, შეფერდებაზე ცენტრალური გზიდან 10-დე მეტრში მდებარეობს ნალია და სახლი, რომელიც აჰმედ ქარამანს ეკუთვნის. სახლის მეპატრონეს გვერდით აუშენებია თანამედროვე ორსართულიანი სახლი (ტაბ. 50/2) და იქ გადასულა საცხოვრებლად, თუმცა ცდილობს არ მოშალოს ლაზი ოსტატენბის მიერ აშენებული წინაპრების სახლი.

აჰმედ ქარამანისაა გვერდით მდებარე ნალიაც (ტაბ. 50/3). ნიშანდობლივია, რომ გიუმეშხანეს პროვინციაში ნალიები საერთოდ არ გვხვდება, დელირმენდერეს ხეობაში კი აქა იქაა შემორჩენილი, რაც მეურნეობის განვითარების დონის თავისებურებებით უნდა აიხსნას.

მთხრობელი აჰმედ კონაქლი ადასტურებს, რომ სახლი ლაზურია, მაგრამ თვითონ თავს თურქად მიიჩნევს. მისი ინფორმაციით, წინაპრები აქ უნიედან მეწყერული პროცესების გამო გადმოსახლდნენ. მისივე ინფორმაციით ამავე სოფლის წყალსგაღმითა მეჰელეში ლაზები ცხოვრობენო.

ლაზური სახლი ას წელზე მეტი ხნისაა. იგი მიდგმულია ვერტიკალურ ფერდობზე. პირველი სართული უხეშად დამუშავებული ქვებითაა აშენებული და წარმოადგენს ცხოველთა სადგომს. სამშენებლო ტერმინოლოგია თურქულია. ახორს//ახირს დატანებული აქვს საკმაოდ მოზრდილი ფანჯარა. მეორე სართული კი საცხოვრისია. სახლს გვერდიდან მოგვიანებით მიაშენეს ქვის ულამაზო აივანი, რომელმაც გვერდითა მხარეს დაუკარგა ლაზური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ხიბლი. ჩვენი დიდი მოწადინების მიუხედავად არ მოგვეცა სახლში შესვლის შესაძლებლობა.

სახლთან ახლოს მიმდინარეობს გვირაბის მშენებლობა, რის გამოც იქ მაცხოვრებლებს ემუქრებათ სხვაგან გადასახლების საფრთხე. შესაბამისად დაშლა-დანგრევას ექვემდებარება ზემოთ აღწერილი ლაზური საცხოვრისიც.

როგორც აღინიშნა, რაც უფრო მივიწევთ დასავლეთისაკენ, მით ქრება ლაზური არქიტექტურა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქარანაბას ხეობა. იგი ქ. აქჩაბატიდან 30-40 კმ სიგრძეზეა გადაჭიმული. ხეობაში არაერთი თანამედროვე სოფელია (მუჩურა, ქალკია, ჰამენია, ჩალქოი, ესკილარი, ჰოროვი, დუზქოი და სხვ.), რომლებიც არსებითად უფრო ურბანულ ცენტრებს წარმოადგენენ. ფაქტობრივად, ხეობაში ვერც ერთი ლაზური საყოფაცხოვრებო არქიტექტურული ნიმუში ვერ დავაფიქსირეთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფ. გურგენქოიში, ქუნამის მაჰალეში (დუზქოიდან 3-დე კმ) ერთ ახლადაშენებულ სახლს, რომელსაც აშკარად ეტყობაა ლაზური გავლენა (ტაბ. 50/4).

სახლის წინა შუშაბანდიანი ფასადის ნაწილი და შიგა კედელი ლაზური ორნამენტითაა შემკული. იქვე ახლოსაა ძველი სელენდერე//ნალია.

რამოდენიმე ლაზური საცხოვრებელი სახლია შემორჩენილი ხარშიტის ხეობის სოფელ ორენქოიში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი გარედან ბათქაშითაა შელესილი. ალაგ-ალაგ ჩამომლილი ბათქაშიდან ნათლად ჩანს ლაზური სამშენებლო ხელოვნება. ხის კვადრებში

ჩასმული ქვეები ფასადს განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს. სახლი მოგვიანებით ბათქაშით შეუღესათ, რომელსაც სითბოს შენარჩუნების სურვილით ხსნიან.

ლაზეთი ნალექიანი მხარეა, ამიტომ სახლი მეზობლისგან მოშორებით შენდებოდა, რათა არ დაეჩრდილათ ერთმანეთის სახლები. ყველას ყავდა შინაური ფრინველი და საქონელი და ერთმანეთი რომ არ შეეწუხებინათ, მოშორებით სახლდებოდნენ (ლაზეთი და ლაზეთი..., 2015: 69). ნიშანდობლივია, მსგავსი ვითარება ცენტრალური ლაზეთის თანამედროვე არალაზი მოსახლეობისთვისაც, რაც ასევე ლაზეთის გავლენით უნდა აიხსნას.

ლაზურ არქიტექტურულ ელემენტებს იყენებენ თანამედროვე სამთავრობო ადმინისტრაციული შენობების მშენებლობისას, ძირითადად, ფასადების შემკულობაში. ამის ნათელი მაგალითია მაჩკას ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, რომლის სამივე საფასადო მხარე ლაზური ორნამენტებითაა შემკული (ტაბ. 51/1). ლაზური ელემენტებია გამოყენებული აგრეთვე სართულებთშორისი სარტყლების შემკულობაშიც (ტაბ. 51/2).

დედირმენდერეს ხეობაში დავაფიქსირეთ განსხვავებული ტიპის სახლები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ლაზურთან. გარკვეულწილად ისინი ბერძნული და თურქული კომპონენტების ნაზავია. ჩვენი ყურადღება მიიქცია სოფ. ჩამლიჯაში (გიუზელერის// თენბედას უბანი) 78 წლის სეიფეთ დედეს საცხოვრებელმა. სახლი ბანიანია, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ თუნუქითაა გადახურული (ტაბ. 51/3).

საცხოვრებელი მდებარეობს სასოფლო გზის გასწვრივ, ქვის ყორეთი შემადღებული პატარა ბოსტანთან, რომლის ზედა მხარე უერთდება ერთი სახურავის ქვეშ მოწყობილ საშემეს და ამბარს. მას წინა მხარეზე აქვს ტერასა-აივანი, რომელიც წარმოადგენს აგრეთვე მოსასვენებელ ადგილს. სახლის ძირითადი ნაწილი ქვისაა. საცხოვრებლის ნაწილი ბერძნების აშენებულია. წინა ფასადზე, ჰორიზონტალურად დატანებულია ხის გამყოფი ზოლი, რომელიც ნათლად განასხვავებს ერთმანეთისაგან კედლის ბერძნულ და თურქულ ნაწილებს.

საშენ მასალად გამოყენებულია ტალახი - წყალში მოხელილი თივა და მიწა. თივის ნაცვლად ზოგჯერ გამოიყენებოდა თხის და ცხვრის ბეწვები. მოხელილ მასას ასხამდნენ ყალიბში, აძლევდნენ შესაბამის ფორმას და ახმობდნენ. ეს ბლოკები მიწით შეიღესებოდა. სილამაზისათვის იყენებდნენ თეთრ მიწას.

სახლის შესასვლელში დატანებულ ზღურბლს ეშიქს ეძახიან. იგი წარმოადგენს 25 სმ სიფართის სქელ ფიცარს. ამავე სიფართისაა სოია - ქასა, სიმაღლე კი 1,7 მ-ია. კარის სიფართე 1 მ-ია. შესასვლელი უკავშირდება 2 მ სიფართისა და 7 მ სიგრძის მადეინს//დერეფანს. მადეინის მარცხენა მხარეს არის ორი ოთახი. ერთი განკუთვნილია შვილების, მეორე მშობლებისათვის. ნიშანდობლივია, რომ იქაურ ძველ საცხოვრებლებში ყველა საძინებელს აქვს აბანო. ეს არაა მარტო ამ რეგიონისთვის სპეციფიკური. მსგავსი აბანოები გვხვდება ტაოში, კლარჯეთსა თუ არტაანში. იმერხევის სოფელ ბაზგირეთში ერთ-ერთ სახლში სამი აბანო (ბანიო) იყო მოწყობილი (ფუტკარაძე, 2011: 105).

სეიფერ დედეს სახლში აბანო მოწყობილია კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე მოწყობილი ხის ტახტის ფექე-ს (აჭარაში სექვს ეძახიან) ბოლოში (ტაბ. 51/4). იგი წარმოადგენს სექვის ოთხკუთხა ჩაღრმავებული ნაწილს. მისი ფართობი 1 კვ.მ-ია, სიღრმე კი 25-30 სმ. აბანოს

იატაკი ქვისაა. ზემოდან აქვს მოძრავი სახურავი, რომელიც ტახტის ფუნქციასაც ასრულებს. ფექეს მოპირდაპირე მხარეს, კარის თავზე, კედლის მთელ სიგრძეზე არის ვიწრო (15-20 სმ სიგანის) **თარო//თერექ**, ხოლო ერთ-ერთ კედელში ჩატანებულია სათავსო - **დოლაბი**, რომელიც დამახასიათებელია თურქეთის სხვა პროვინციების საცხოვრებლებისათვისაც.

საცხოვრებელს აქვს ორი ამბარი. ერთი - შესასვლელის მარცხენა მხარეს, პროდუქტებისათვის, მეორეში კი ინახავენ საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამუშაო იარაღებს. საცხოვრებელ კომპლექსში შედის სამეურნეო დანიშნულების სათავსოები: საქათმე, ახორი, სათივე და ა. შ.

სახლის პირველი სართული წარმოადგენს როგორც შინაურ ცხოველთა სადგომს (ახორი), ასევე ადამიანის საცხოვრისსაც. შესაბამისად, იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი - შესასვლელი წარმოადგენს როგორც ადამიანთა საცხოვრისს, ისე ახორში შესასვლელს. მარჯვენა მხარეს გამართულია **ბუხარი//ოჯაქ** (ტაბ. 52/1) და **ფურუნი -ფურნე** (ტაბ. 52/2) პურის გამოსაცხობად. მთხრობლეთა თქმით ფურნე ბერძნულია და ბერძნებისავე გაკეთებული.

ბუხრის გვერდით განთავსებულია გრძელი, ავაზანის მაგვარი ამოღარული მრგვალი მორი, რომელშიც იზილებოდა პური (ტაბ. 52/3). პურის გაბრტყელებული ცომი სპეციალური ხის „ლაფერათი“ შექონდათ ფურნეში. სოფლის ყველა ოჯახს ჰქონდა საკუთარი ფურუნი.

აქაურებისათვის არაა უცხო მარტივი, ღია ტიპის კერა. იგი ჩვეულებრივ სახლის ეზოშია განთავსებული (ტაბ. 53/1). ასეთი მარტივი, ღია ტიპის ბუხრის კონსტრუქციები გვხვდება როგორც ლაზეთის, ისე სრულიად თურქეთის სხვა პროვინციებშიც.

სეიფერ დედეს სახლის პირველი სართულის მეორე ნაწილი წარმოადგენს საქონლის სადგომს. როგორც ითქვა, ორივე სათავსო - ახორი და შესასვლელი ბუხარ-ფურუნითა და პურის საზელი ჭურჭლით საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარეობს. სავარაუდოდ, ადრე ოჯახის წევრები იქ (კერასთან) იკრიბებოდნენ, დასაძინებლად კი ოთახებში წვებოდნენ.

დღეისათვის საცხოვრებელი ორმაგი სახურავის ქვეშაა მოქცეული: ტრადიციული - ბანიანი სახურავი დატკეპნილი მიწითა და ზემოდან, თუნუქით „შეფუთული“. გადახურვის კონსტრუქცია ზოგადად ბანიანი სახლების სახურავების იდენტურია (ტაბ. 53/2). გადახურვა წარმოადგენს ზემოდან მიწით დატკეპნილი პარალელური და პერპენდიკულარული წყობის ხის წვრილი ძელებს საშუქე სარკმლით. საქართველოში გავრცელებული მსგავსი კონსტრუქციის სახლებისაგან განსხვავებით მათ არ გააჩნიათ გვირგვინი.

ბანზე (სახურავზე) დაყრილი მიწის დასატკეპნად და მოსასწორებლად იყენებენ ე. წ. **ლოვს** (ტაბ. 53/3). იგი ორი ნაწილისაგან შემდგარი მოწყობილობაა: 45-50 სმ სიგრძის მრგვალი, შუაში ღერძისათვის გახვრეტილი დამუშავებული ქვა და სახელური (ტაბ. 53/4).

სეიფერ დედეს ოჯახში აღმოჩნდა ხელის **დიდი ხერხი //ქოლ**, რომლითაც ხდებოდა ხის მასალად დახერხვა (ტაბ. 54/1). მსგავსი ტიპის ხერხი გავრცელებული იყო საქართველოშიც. მასალის გასახერხად მზადდებოდა ისკელე, რომელზეც მოათავსებდნენ დასამუშავებელ მასალას. ხის გასახერხად ორი მხერხავი იყო საჭირო. ერთი მხერხავი იყო ისკელეს ზემოთ, მეორე კი ისკელეს ქვეშ (ტაბ. 54/1).

ბანიანი საცხოვრებლები გავრცელებულია გიუმეშხანეს რეგიონის სხვა სოფლებშიც. საილუსტრაციოდ ავიღოთ სოფელი ესენიურთი. სოფელში 40 -მდე ოჯახი ცხოვრობს და გიუმეშხანედან 25 კმ-თაა დაშორებული (ტაბ. 54/2).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო საამეთტინ ბალის საცხოვრებელმა სახლმა. მისი სიგრძე 10 მეტრია. რესპონდენტი სახლის ასაკს ვერ ასახელებს, თუმცა აღნიშნავს, რომ, იგი მათი დიდი ბაბუის დროსაა აშენებული. სახლი ერთსართულიანია, ბანიანი გადახურვით (ტაბ. 50/3). ამჟამად ბანი მოექცა თუნუქის სახურავის ქვეშ, რაც კარგად ჩანს ფოტოდანაც. სახლი აშენებულია ადგილობრივი, უხეშად დამუშავებული არასტანდარტული ქვით და შელესილია მოზეილილი წითელი მიწისა (ტალახი) და თივის მასალით. შესაბამისად ფასადი წითელია, შიგნით კი თეთრადაა გადაღებული. ქვებს შორის სიმტკიცისა და სითბოს შესანარჩუნებლად გამოყენებულია ტალახი. წარმოდგენილ კომპლექსში ადამიანი და საქონელი ერთი სახურავის ქვეშაა მოქცეული. ახორსა და ადამიანთა საცხოვრებელს შუაზე ჰყოფს კედელი.

საცხოვრებელ სახლს აქვს ორი შესასვლელი: მარცხენა შესასვლელი ცხოველთა სადგომისაა, მარჯვენა კი ადამიანთა საცხოვრისის. მესაქონლეობა აქ ძალზე სუსტადაა განვითარებული, რაზეც მეტყველებს ახორის//ახირის ფართობი. წარმოდგენილ კომპლექსში ახორი ძალზე პატარაა და მხოლოდ ერთი შინაური პირუტყვისთვისაა გათვალისწინებული. ახირი შიგა კარებით უკავშირდება მერეგს, სადაც ინახავენ თივას.

სახლის გარე კარებიდან შედიხარ შესასვლელ დერეფანში, რომლის ფართობი დაახლოებით 3 კვ. მეტრია. კარები პრიმიტიულია და დაბალი. კარის სიმაღლე 1,7 მ-ია. შესასვლელი თავის მხრივ ორ ოთახს უკავშირდება. 1. მისაღები და საძინებელი 2. სამზარეულო, რომელიც წარმოადგენს აგრეთვე ამბარს. საცხოვრებელი ოთახი წარმოადგენს როგორც ოთურმა სალონს, ისე იათმა სალონს (მისაღებსაც და საძინებელსაც). იგი მდებარეობს გზის მხარეს და დატანებული აქვს სარკმელი. ოთახი ძალზე პატარაა. მისი ფართობი 12-14 კვ. მეტრია, თუმცა ოჯახის ყველა წევრი ადრე ამ ოთახში იძინებდა, მათ შორის ახალი საქორწინო წყვილიც.

როგორც ითქვა, მეორე სათავსო სამზარეულოა. იგი ამავე დროს ამავე დროს ამბარის ფუნქციითაცაა დატვირთული. სამზარეულოში მოწყობილია ფურუნი. როგორც ჩანს, პურის გამოსაცხოზად სახლში ფურუნის მოწყობა იქაურთა ზოგადი თავისებურებაა. იატაკი ტრადიციულად მიწატკეპნილია, თუმცა ახლა იგი ბეტონის იატაკითაა წარმოდგენილი (ტაბ. 54/4). სამზარეულოში ამბარის ფუნქციას ასრულებს ხის დიდი კარადა (ხალხური ავეჯის საუკეთესო ნიმუში), რომელშიც სხვადასხვა სახის პროდუქტებს ინახავდნენ. ამბარის/სამზარეულოს განათებისა და ჰაერის ცირკულაციისათვის ჭერში, ბანის მხარეს დატანებული აქვს საშუქე სარკმელი (ტაბ. 55/1). სამზარეულოში განთავსებულია აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნივთები, სხვადასხვა სახის ჭურჭლეული, ქვევრები, სარეცხი საშუალებები (ტაბ. 55/2).

რაც შეეხება გადახურვის კონსტრუქციას, აქაც დაახლოებით ისეთივეა, როგორც სხვა ბანიან სახლებში, იმ განსხვავებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახურავის ხის ძელები ისეა დალაგებული, რომ ერთმანეთის მიმართ ქმნის ბლაგვ კუთხეს.

გვიანფეოდალურ ხანასა და მოგვიანო პერიოდშიც ჭანეთისთვის დამახასიათებელი

იყო მრავალპროფილიანი მეურნეობა - მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა და ა.შ. ხეობის ზომო წელი მთაგორიანია. სახნავი მიწებიც, შესაბამისად, მკვეთრად დახრილ ფართობებზეა. ასეთი ფართობის დამუშავება ხელს უწყობს ეროზიული პროცესების განვითარებას. მარცვლეული კულტურებიდან მოყავთ ოთხ და ექვს თავთავიანი ხორბალი: არფა//ქერი, სიმინდი//თარი.²² ცალკეულ დასახლებებში ხორბალი ბერძნული სტარის სახელითაც მოიხსენიება ადგილობრივთა მეტყველებაში. ქერს იქაურები ქირსარს (ქირ-ქერ?) ეძახიან.

ეს დარგები ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ადრე, ძირითადად, სიმინდი ითესებოდა. ეხლაც, აქ მესიმინდეობას ერთ-ერთი დაწინაურებული ადგილი უჭირავს მეზოსტნეობასთან და მეხილეობასთან ერთად. მოყავთ ფხალი, ლობიო, ბოსტნეული, გოგრა, კარტოფილი და ეს ნათეს-ნარგავები ერთმანეთს ენაცვლება. სახლთან ახლო ადგილებში მოყავთ წითელგულა კომბოსტო//ლახანა, ასევე, ლობიო, პრასა//სოტოლია, მუხუდო//პარწული, კარტოფილი//დიხა მარქვალი, კიტრი//შუკა, ქინძი, ოხრახუში//ჭიჭამი, ბოლოკი//ბულეკი, ხახვი//კრომი, წიწაკა//პეპი, პომიდორი//მტკური პატლიჯანი. ბოლო პერიოდში შემოვდა ისპანახი და ცერცვი (ლაზები და ლაზეთი..., 2015:79). ჩამლიჯამი (გიოზელერის უბანი, ხარშიტის ხეობა) მოყავთ: კარტოფილი, თეთრი ლობიო, ქერი, კომბოსტო, ხილეული. მესაქონლეობა შესუსტებულია მიგრაციის გამო. სოფლად, ძირითადად, მოხუცები არიან დარჩენილი. განვითარებულია საიალალო მესაქონლეობა.

მიწათმოქმედების, კონკრეტულად მეხორბლეობის ინტენსიურ განვითარებაზე მეტყველებს ცენტრალურ ლაზეთში დაფიქსირებული სამეურნეო იარაღები. არაერთ სოფელში დავაფიქსირეთ კევრი. ჩამლიჯამი კევრი ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელშია ჩატანებული. ვიზუალურად ჩანს მისი მცირე ნაწილი (ტაბ. 55/3). საკვერედ არჩევენ წაბლის, თელის, ნამვის, იფნის ხის ჯიშებს. უპირატესობას ანიჭებდნენ ნამვის ხეს, როგორც დასამუშავებლად შედარებით ადვილ მასალას. შესაბამისად ხდებოდა უროკო ხეების შერჩევა. ფიცრის სისქე 5-7 სმ. მისი ქვედა ზედაპირი იხვრიტებოდა 3-3,5 სმ-ის სიღრმეზე, რომელშიც ჩაეწყობოდა კაჟის ქვები. რაც უფრო მეტი ნახვრეტი ჰქონდა კევრს, მით უფრო მაღალი იყო ლეწვის ხარისხი. იქაურ კევრს 200-250 ნახვრეტი მაინც ჰქონდა. კევრს წინა მხრიდან წკნელით მიებმებოდა უღლიანი კავი. სიმძიმისათვის კევრზე კდებოდნენ კიდევ. იმისათვის, რომ კევრმა ხორბალი „დაჭრას“, ხარები მოძრაობდნენ წრიულად. გაღეწილ ხორბალს მოყრიდნენ ერთ ადგილზე და ჩაყრიდნენ ბზისა და მარცვლის გასანიავებელ მოწყობილობაში. ასეთი კუსტარული ხელსაწყო გვხვდება თანამედროვე თურქეთის სხვა პროვინციებშიც. მას „ხვაჯი მაქინას“ სახელით ეფექტურად იყენებდნენ შავშეთში (ტაბ. 55/4)

ხვაჯი მაქინა არის ემპირიული გამოცდილებით შემუშავებული ხალხური ხელსაწყო. ცნობილია, რომ XIX ს ბოლოს ჩნდება ფაბრიკული წარმოების სანიავებელი მანქანა, მაგრამ მისი ყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ შეძლებულებს ჰქონდათ. ხვაჯი მაქინის გაკეთება შესაძლებელი იყო კუსტარულ პირობებშიც. იგი დამახასიათებელი იყო მემინდვრობის მაღალი სამეურნეო კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხებისათვის. ხვაჯი მაქინა

²² შესაძლოა, თარი ტაროსთან იყოს დაკავშირებული.

წარმოადგენს ოთხკუთხა ჯარას. მის ზედა-წინა მხარეს არის ე.წ. ხვიშირი - ბზის ჩასაყრელი მოწყობილობა დამრეცი ფიცრით. ხვიშირის ბოლოში მოთავსებულია მოძრავი ფიწალი. იგი მოძრაობაში მოყავს მბრუნავ ღერძს. ღერძზე დამაგრებულია ფირფიტები, რომლების ბრუნვისას წარმოქმნიან ქარს და აცალკეებენ პურის მარცვალს. მარცვალი მძიმეა. ქარი მას ვერ ერევა, ამიტომ იგი ძირში იყრება, ბზეს კი წარმოქმნილი ქარი ცალკე ყრის. მბრუნავი ღერძი მოძრაობაში მოდის ტარის საშუალებით. ფიწალს ქვემოდან აქვს საცერი. მარცვლების უფრო სუფთად გასარჩევად საცერი ხშირად იცვლება. ბზის თანდათანობითი მიწოდებისათვის ხვიშირთან მოათავსებენ პატარა ფიცარს, რომელსაც თახთას ეძახიან.

ხორბლის გასანიაველად გამოიყენებოდა აგრეთვე ტყავისაგან ნაქსოვი საცერისმაგვარი **სალბური** (ტაბ. 56/1). ქართულ ეთნიკურ სინამდვილეში ხვავის გასანიაველად - მარცვლებისაგან ბზის, ქვების, სარეველების გამოსარჩევად გამოიყენებოდა იარაღები, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა) გასანიაველები, ბ) გასაცხაველ-გასაცხრილავი, გ) დასაკაზმავი (ჩიტაია, ხაზარაძე, 1985: 84).

მარცვლეულ კულტურებთან ერთად მოყავთ სხვადასხვა სახის ბოსტნეული, წითელი და თეთრი კარტოფილი, სარის ლობიო, ცერეცო და ა. შ. ფართოდაა გავრცელებული თხილის კულტურა.

მიწათმოქმედების განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა სარწყავი სისტემების მოწყობა. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია სოფელ იმერას სახნავ-სათესმა ფართობებმა. გადმოცემით, იმერას ხეობაში, რომელსაც მეორენაირად ჯეჰენემის ხეობასაც უწოდებენ (რადგან ადრე აქ ხშირი ყოფილა ძარცვა) გაუვლია მარკო პოლოს. სოფლის სახნავი ფართობის თავში, ხიდის ქვეშ, ქვის მტკიცე კედლის ბოლოებიდან გამოდის წყარო, რომელიც სარწყავადაც გამოიყენება (ტაბ. 56/2). ზედა აუზში წყლის დაგროვებას უწყობს ხელს ჩამკეტი სისტემა. წყალი მიემართება სახნავ ფართობზე სპეციალურად მოწყობილი დულაბის არხებით. წყლის მარაგის შესაქმნელად სახნავ ფართობზე სხვადასხვა ადგილას მოწყობილია აგრეთვე დულაბისაგან ჩამოსხმული წყლის აუზები. ცენტრალური ჭანეთის ზოგიერთ რეგიონში სასურველი ამინდის გამოსაწვევად იცოდნენ შელოცვებიც.

ნიადაგი დელირმენდერეს ხეობაში იხვნებოდა ხის **სახნისით//საფან-ით**, ხელის მოსაკიდს **თუთანს** ეძახიან, სახნისს-**საფანს**, უღელზე დამამაგრებელს **ყილეჯს** (ტაბ. 56/3). ხის სახნისი **კანდორფით//ყაიშით** მიემაგრებოდა **ყილეჯს**, ყილეჯი კი **უღელის//ბოინდურეჯის** (სიგრძე 1,5 მ.) შუაცენტრში ჩამონტაჟებულ რკინის კაუჭზე. აპეურების ჯოხებს - **სამ-ს** ეძახიან.

ცალკეულ დასახლებებში იცოდნენ ხარებით შეამხანაგება, თუმცა, ურთიერთდახმარების ამ ფორმის სახელს ვერ იხსენებენ. ზოგჯერ, მცხოვრებს არ ჰქონდათ მიწა, მაგრამ ჰყავდათ ხარები. ასეთ შემთხვევაში ხარს ქირაობდნენ ფულის სანაცვლოდ. იქ მაცხოვრებელთათვის უცნობია ნადური სიმღერები. ცენტრალური ჭანეთის სხვა დასახლებებში, საკუთრივ დელირმენდერეს ხეობაში შეამხანაგების შესახებ არაფერი იციან. მათ არც მეხრე ჰყავდათ, თუმცა ჯიუტი, დაუმორჩილებელი და გაუწვრთნელი ხარების შემთხვევაში იყენებდნენ წამძლოლს.

პურეულისაგან ამზადებენ: სხვადასხვა სახის პურს (ტაბ. 59/1-4), სინორს, ერიშტას

და სხვა კერძებს. გავრცელებულია აგრეთვე: სარმა (შავი კომბოსტოსაგან), მოთუშული კომბოსტო (იმ განსხვავებით, რომ ამატებენ ხორცსაც), მანთი, ჩორბა და ა.შ. თითოეული ამ კერძის უკან დგას იქაური კლიმატის თავისებურება. ტრადიციული კერძები ზომიერად ამარაგებდა ორგანიზმს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთიერებებით და უზრუნველყოფდა კვების მაღალკალორიულობას. კეჟერა ფხალისაგან ამზადებენ ნაირ-ნაირ კერძებს.²³

დელირმენდერესა და სუმელას ხეობებისაგან განსხვავებით, გიუმიშხანეს რეგიონში საკმაოდ სუსტადაა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ეს განპირობებულია რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ხრიოკი ტერიტორია არ იძლევა მეურნეობის ამ დარგების განვითარების შესაძლებლობას, თუმცა აქვთ კარგად მოვლილი ბოსტნები. გიუმიშხანეს რეგიონი გამოირჩევა ხილეულის განსაკუთრებული გემოთი. რეგიონის ტერიტორიაზე ვერსად ნახავთ ნალიებს, რაც მიწათმოქმედების განვითარების დაბალი დონის მანიშნებელია.

ამ რეგიონში ასევე სუსტადაა განვითარებული მესაქონლეობა. ამიტომაცაა ძალიან პატარაა (10-12 კვ.მ.) ცხოველთა სადგომები. თითოეულ ოჯახს მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი თუ ჰყავს. გავრცელებულია საქონლისათვის ისეთი სახელების შერჩევა, როგორცაა ფუნდუკი (თხილის ფერის გამო), ჭრელა, აღმასისთვალა და ა. შ. ავი სულეებისაგან საქონლის დასაცავად ხოჯას აწერინებენ ნუსხას და შეაბამენ საქონელს.

შესაბამისად, რძის პროდუქტებს (ლაზურად **პუდჟიში**) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონის კვების სტრუქტურაში. ტრადიციულ ლაზურ სახლში პირველი სართული განკუთვნილი იყო ბოსელისათვის. ყველას ჰყავდა 3-5 ძროხა. რძისაგან ამზადებდნენ მაწონს, ყაიმაღს, კარაქს//იაღს, ნადული მინჯს (ხაჭო) აირანს, სუთლს (ბრინჯის ქაში), ცხიმთან//დეღემე (ჰოლანდიურის მსგავსი) ყველს სახლისთვის და უცხიმო ყველს გასაყიდად (<http://journeying.ru/regionalnie-turetskie-kuchni-lazskaya-kuchnya.html>, Региональные турецкие кухни. Лазская кухня). კარაქის სადღეები იაიქ-ი წარმოადგენს ოვალურ ჭურჭელს, რომლის სიგრძე სიგრძე 1,5 მ-ია. თავში, შუასა და ბოლოში შემოსალტულია ხის სართყელით. სადღეების დიამეტრი დიამეტრი ბოლოებში 35 სმ, შუაში 50 სმ. მსგავსი სადღეები გავრცელებულია თურქეთის სხვა რეგიონებში, ასევე აჭარაში, რომელსაც „ვარია“-ს სახელით მოიხსენიებენ. სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აქაური სადღეების შუაწელი ამოხნეჟილია. ისინი, ვინც არ ამზადებდნენ რძის პროდუქტებს, მიიჩნეოდნენ „ნახევრად მშვივრებად“ (<http://journeying.ru/regionalnie-turetskie-kuchni-lazskaya-kuchnya.html>, Региональные турецкие кухни. Лазская кухня).

ხორცი ლაზურ სამზარეულოში წარმოადგენს დამატებით კომპონენტს. ხორციან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა მცენარეულ კერძებს: ხმელ და ჭყინტ ლობიოს, ფხალს და ა. შ. უძველო ხორცისგან ამზადებდნენ **ყავრუმას**, განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში. სხვა სახის ხორცეულს ისინი არ ამზადებდნენ. არც შინაური ფრინველის ხორცი

²³ სხვათა შორის ადრე სახალხო მკურნალები ე.წ. **ქაები** ფხალისაგან ამზადებდნენ წამლებს. განსაკუთრებით ეფექტური იყო ღია ჭრილობაზე - ინფექციის საწინააღმდეგოდ.

იყო ყოველდღიური მენიუს შემადგენელი ნაწილი, თუმცა განსაკუთრებულ დღეებში, მაგ. სიძის გადმოპატიჟებისას ქათამს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა (ლაზები და ლაზეთი..., 2015: 96). ადრე ხორცს ამარილებდნენ და ახმობდნენ. დამარილებულ-შებოლილ ხორცს **ქუზუმს** უწოდებენ.

აქაურებისათვის უცხო არაა ნადირობა. შესაბამისად, ბევრს ჰყავს სანადირო ძაღლი. რესპონდენტის გადმოცემით ერთ ბერძენმა 25 ათასი ლირა გადაუხდია მონადირე ძაღლში. მისი თქმით ის ძაღლი იყო როგორც მონადირე, ისე მესაქონლე და ნადირის შემოსევისას სამნაირად ყეფდაო: ნელა ყეფდა დათვის სუნზე, საშუალოდ - ღორის სუნზე და - სწრაფად - მგლის სუნზეო.

ცენტრალური ჭანეთის მცხოვრებთა ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა მეთევზეობა იყო. ისინი თევზაობენ ქაფშიაზე//ქაფჩაზე, კეფალზე, სტავრიდაზე, ბარბუნზე, სარგანაზე. საინტერესოა, რომ ეს დარგი უცხო არაა ცენტრალური ლაზეტის ზოვისპირა ზოლში მცხოვრები თურქული თუ გათურქებული მოსახლეობისათვის, თუმცა ძნელია თქმა იმისა, რომ ეს ლაზების გავლენის შედეგია. ზღვისპირეთში ცხოვრება ცხადია წარმოადგენს მეთევზეობის ხელშემწყობ ერთ-ერთ გარემოებას.

ცენტრალურ ლაზეთში მცხოვრები ლაზების შთამომავლების მთავარი საფირმო პროდუქტად რჩება ხამსა, რომელსაც „ლაზების პურადაც“ მოიხსენიებენ. იგი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საკვებად ოქტომბრიდან მაისამდე. უნდა ითქვას, რომ ლაზების სამზარეულო და, ზოგადად, შავიზღვისპირეთის მოსახლეობის სამზარეულო იდენტური არაა. შავიზღვისპირეთის სამზარეულო თავისთავში აერთიანებს რამდენიმე კულინარულ კულტურას, მათ შორის ტრადიციული თურქული სამზარეულოს ზოგიერთ ვარიანტს. ლაზების სამზარეულო განეკუთვნება შავიზღვისპირა რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები მოსახლეობის სამზარეულოს. ფართოდაა გავრცელებული შემწვარი ხამსა, ხამსა კვერცხით, ფლოვი ხამსათი, ე.წ. „ხამსის პური“, ხამსა ბორეგი და სხვ. (<http://journeying.ru/regionalnie-turetskie-kuchni-lazskaya-kuchnya.html>. Региональные турецкие кухни. Лазская кухня).

მარცვლეული კულტურების ტრადიციებზე მეტყველებს ცენტრალური ჭანეთის არაერთ რეგიონში არსებული წისქვილები და ხელსაფრქვავეები. ერთ-ერთი ასეთი წისქვილი ავღწერეთ ქარაბანას ხეობის სოფელ ილალიოზში. ვერ ვიტყვით, რომ არქიტექტურით, სამშენებლო ხელოვნებით იგი წმინდა ლაზური წისქვილია, თუმცა მსგავსი სამეურნეო ნაგებობების არსებობა მარცვლეული კულტურების განვითარების უტყუარი მატერიალური დადასტურებაა. წისქვილი 150 წლის წინ აუშენებია რამოდენიმე ოსტატს ჰაჯი მუსტაფას ხელმძღვანელობით (ტაბ. 57/2).

წისქვილს ლაზები **ქარმატე-ს//მსკუბუს** ეძახიან. შესაძლოა, მასში ხორბალსაც ფრქვავენ, თუმცა მთხრობელები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. სიმინდის დაფრქვა რიგის მიხედვით ხდებოდა.

ზოგადად, წისქვილს ლაზებში ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. იგი მარცვლეულის ერთადერთი დასაფრქვავი საშუალება იყო. ამასთან, კულტურის განვითარების ხელშემწყობიც.

იგი ტრადიციულად შენდებოდა მყუდრო, მშვიდ ადგილას. ასეთი ადგილი, შესაძლოა, შიშსაც აღძრავდა გამვლელში, რამაც გააძლიერა მისტიკური ელემენტი. გადმოცემებით წისქვილსა და მსგავს ადგილებში მრავალი ჭინკა და ფერია ბინადრობს. ისინი დაბნელებისას გამოდიან, დილით კი, მამლის ყვილის დროს უჩინარდებიან. ამიტომაც გაურბოდნენ სიბნელეში წისქვილში წასვლას. მათი გაგებით შესაძლოა ჭინკამ ისროლოს ქვა, ადამიანს გამოეცხადოს საზარელი სახით და გააგიჟოს იგი (ლაზები და ლაზეთი..., 2015:75). გადმოცემით წისქვილში მამაკაცების მსგავსად დადიოდნენ ქალები და ახალგაზრდა გოგონებიც. ზოგჯერ წისქვილი სხვადასხვა სოფლის ქალთა თავშეყრის ადგილიც კი ყოფილა, სადაც ერთობოდნენ, თამაშობდნენ, ყვებოდნენ ზღაპრებს. ლაზური გადმოცემებით წისქვილში საპატარძლოებსაც კი ირჩევდნენ.

ილალიოზის წისქვილი აშენებულია მყუდრო ადგილას, გზიდან 5-დე მეტრის მოშორებით - წისქვილის ქვის დასაბრუნებლად საჭირო რაოდენობის შემცველ მდინარესთან. ასეთი ადგილი საცხოვრებლად გამოუსადეგარი იყო. საზოგადოდ, მსგავსი ადგილები ტყიანი და დაბურულია, თუმცა ეს წისწვილი ღია ადგილასაა აგებული. წისქვილი ქვისაა, კედლების სისქე 2, ზოგან 3 მტკაველია. კედლები უხეშად დამუშავებული ქვის მშრალი წყობითაა აშენებული. იატაკი შეუკეთებიათ და ბეტონის დუღაბი დაუსხამთ. წისქვილის შესასვლელი თაღოვანია, კარი კი ერთფრთიანია და ხისგანაა გაკეთებული. წისქვილამდე წყალი საკმაოდ გრძელი არხითაა მოყვანილი. ხის ძაბრში გამავალი წყალი ძლიერი წნევით ასკდება ბორბალს და აბრუნებს. ბორბლის შუაგულში წისქვილის შიგნით გაჭიმული ძელის ბოლოზე არის საფრქვავე ქვა, რომლის გათლა-გარანდვა განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს. იგი ისე უნდა დამუშავდეს, რომ ქვეშა უძრავ ქვას მიესადაგოს. ეს დიდ ოსტატობას და დახელოვნებას მოითხოვდა. ამის გარეშე მარცვალი სასურველად არ დაიფრქვეოდა. ქვის მთელს ესტეტიკური მხარისათვისაც მიუქცევია ყურადღება. ბოლო დროს შემცირდა ამ დარგის პროფესიის ადამიანთა რაოდენობა არა ამარტო ლაზებში, მთლიანად რეგიონშიც.

წისქვილის ქვა დიდი ზომისაა. მისი სისქე - 2,5, დიამეტრი კი 5 მტკაველია. ქვის ცენტრალურ ნაწილში სიმინდის ჩასაყრელად ამოღარულია 15-20 სმ დიამეტრის ღიობი. სიმინდი იყრება ხის კონუსისებრ სათავსოში - **მოჯონში//მაიდონაში**. იგი ბოლოსაკენ თანდათან ვიწროვდება, რათა სიმინდის ერთბაშად ჩაბნევას შეუშალოს ხელი (ლაზები და ლაზეთი..., 2015:73). აქ იყრება სიმინდი. კონუსის შევიწროებულ **კაიკად** წოდებულ ქვედა ნაწილში 30 სმ სიგრძის ნავისებრი ყუთია. „კაიკასთან“ და მზრუნავ ქვასთან დაკავშირებული ე.წ. **ტოკტოკორო** განაპირობებს მოწყობილობის ვიბრაციას, შესაბამისად მარცვალი თითო-თითო მიეწოდება წისქვილის ქვას.

კაიკა დამაგრებულია ზემოთ მდებარე „მოჯონისთან“. კაიკას მიახლოება წისქვილის ქვასთან რეგულირდება მოზრდილი ქვით. ფქვილის სიმსხვილეს უზრუნველყოფს მექანიზმი - **ედანძაშე**. იგი ზომავს მანძილს უძრავ და მოძრავ ქვებს შორის და არეგულირებს სიმინდის სასურველ სისქეზე დაფრქვას. ფქვილი იყრება წისქვილის ქვის წინ ხის ოთხკუთხა ჯარაში. გადმოცემით, ზოგ წისქვილს ბუხარიც კი ჰქონია, რომელსაც ანთებდნენ ზამთარში, სიცივის დროს.

ცენტრალურ ჭანეთში წისქვილებთან ერთად მრავლად გვხვდება ხელსაფრქვაები (მაჩკა, თარში იაქა, გურგენქოი და სხვ.). ერთ-ერთი ასეთი ხელსაფრქვაი მდებარეობს სოფ. თარში, იაქა//განახალეში (არაკლი//ჰერაკლიასტან ახლოს) ჩასმულია მრგვალ ამოღარულ ხეში. მასში იფრქვევა სიმინდი. საფრქვაი ქვის დიამეტრი 2,5 მტკაველია, შუა ღრმული - 0,5 მტკაველი, სახელურის სიმაღლე კი 25 სმ-ია (ტაბ. 57/3).

სერენდერე/ნალია ხისგან აგებული გრილი, ჰაერიანი შენობაა. ტრადიციულ ლაზურ სერენდერეში თავი ვერ შეძვრებოდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დაცული იყო როგორც მღრღნელებისაგან, ისე სინოტივისაგან. სერენდერეები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე ცენტრალურ და დასავლეთ ლაზეთში. იგი წარმოადგენს 2,5-3 მ. სიმაღლის ბოძებზე შემდგარ სამეურნეო სათავსოს. ბოძების დიამეტრი 30-სმ-მდეა. გავრცელებულია 4-ბოძიანი სერენდერეები, თუმცა გვხვდება 8 ბოძიანებიც, რომლებიც რა თქმა უნდა შედარებით დიდი ზომისაა (ტაბ. 57/4). ბოძების თავთან დამაგრებულია 80-მდე სმ. დიამეტრის ხის სქელი, ხშირად კი თუნუქის, რკინის ბორბლები, რომლებიც ხელს უშლიან თავგებს სელენდერეში შესაღწევად. თითქმის ყველ სერენდერეს აქვს რიკულებიანი აივნი, რომელთა სიფართე 1 მ, სიგანე კი ფასადის მთელ სიგრძეს გასდევს. სიგანით, სელენდერეს კედლებზე ფართე თაროებია, რომლების ქვეშ ათავსებენ მარცვლეულს (სიმინდი, ხორბალი), ხილს, ასევე ფქვილს. ყინვისაგან ხილის დაცვის მიზნით ზამთარში აფარებენ სიმინდის ქუჩეჩს. სერენდერეს ქვეშა სივრცე თავისუფალია, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობის შესასრულებლად.


§ 2. საკულტო არქიტექტურის ნიმუშები

შესასწავლ რეგიონში საეკლესიო ნაგებობანი მრავლადაა. მათი აბსოლიტური უმრავლესობის მშენებლობა ტრაპიზონის იმპერიის არსებობასა და შემდგომ პერიოდთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდის ეკლესიები განსაკუთრებით ბევრია ტრაპიზონსა თუ მის შემოგარენში და გუმუშხანეს რეგიონში. მარტო გუმუშხანეს ძველ დედაქალაქში (სულიემანიეში) 6 ეკლესიაა შემორჩენილი. იგივე რეგიონის მეჰელე ქრომანტიკენტში და სოფ. ქრომში თხუთმეტი საეკლესიო ნაგებობის ნანგრევებია დაცული. თითო ოროლა საკულტო ნაგებობა გვხდება სხვა სოფლებშიც. მათი შესწავლა ამჯერად ჩვენი ინტერესების სფეროში არ შედის. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ორ საეკლესიო ნაგებობაზე, რომლიც ვფიქრობთ აქაური უძველესი მკვიდრი მოსახლეობის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით, აქვე მოკლედ შევეხებით ბერძნული ეთნოსის მიერ აშენებულ ორ საეკლესიო ნაგებობასაც.

მაჩკას ეკლესია (Maçka kilisesi)

(ტაბ. 61)

ეკლესია მდებარეობს მდ. მერიემანას მარცხენა სანაპიროს შემალღებულ ტერასაზე (GPS კოორდინატები: N 40° 47.275 E 39° 36.854). ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკაა. სამივე ნავი მოქცეულია ერთიანი ორფერდა სახურავის ქვეშ (ადრე სამფერდა იქნებოდა, ცენტრალური ამალღებული). ეკლესია ნაგებია დაუმუშავებელი ადგილობრივი ჯიშის კლდიდან მოწყვეტილი ქვებით. კუთხეებში გამოყენებულია მომწვანო ფერის შირიმის მსგავსი ქვითლილები. კარის ღიობი დასავლეთიდანაა გაჭრილი. როგორც ჩანს კარი სამხრეთიდანაც უნდა ჰქონოდა. კარის არქიტექტურა (დას.) მე-20 ს-ის ჩაკვეთით მიღებულ მეჩეთის კონტურს ასახავს. შიდა სივრცე დაყოფილია 3 ნავად-ერთი წყვილი ბურჯით და დასავლეთის კედლიდან გამოყოფილი პილასტრებით. ბურჯი სწორკუთხა მოყვანილობისაა. ცენტრალური ნავი შედარებით ამალღებულია და იგი როგორც ჩანს გარე მასებშიც იყო ასახული. ბაზილიკას საბჯენი თალები არ გააჩნია. თალებს შეიცავს მხოლოდ არკადა (ე.ი. ის რაც გრძივად მიდის). არკადა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. პასტფორიუმები აფსიდებით სრულდება და თითო სარკმელს შეიცავს. სარკმლების გეგმარება ტიპიურია-ინტერიერისაკენ გაფართოებული პროფილით. დასავლეთის მხარე სამი სარკმლითაა აღჭურვილი. თითო ნავს თითო სარკმელი შეესაბამება. ცენტრალური სწორკუთხაა. გვერდითები კი თაღოვანი თავსართით სრულდება.



მასშტაბი 1:50
ფორმატი A1

მარკას ეკლესიის გეგმა. შეასრულა თ. ასაბაშვილმა

ეკლესია, დასავლეთის მხრიდან კარიბჭესაც შეიცავდა. გეგმარებითი სქემა სწორკუთხედშია ჩაწერილი. პასტფორიუმების კამარები სიმაღლეში ოდნავ ვიწროვდება. სწორკუთხედის აფსიდაში ქვედა და ცენტრალურ ზოლზე შემორჩენილია მოხატულობა, რომელიც არ იკითხება. დასავლეთით ფასადიდან 8 მ დაშორებით ადრეული ნაგებობის ნაშთები და კამარული გადახურვის ფრაგმენტებია შემორჩენილი. შესაძლოა, ეს კოლექტიური აკლდამის ნაშთია. ნაგებობა ორი სათავსოსაგან შედგება. ეკლესიის შიდა ზომებია: სიგრძე 9.20, სიგანე 7.40 მ. სამხრეთისაკენაა გადახრილი. სავარაუდოდ, ადრე შუასაუკუნეების ბოლო პერიოდით თარიღდება და ჭანური მოსახლეობის მიერაა აშენებული.

იმერას (წმ. იოანე პროდრომოსი) მონასტერი (Imera Monastiri)

(ტაბ. 62)

ადგილს, სადაც ეს მონასტერი მდებარეობს ძველად იმერა ერქვა, ახლა კი სოფ. ოლუჯაქია და ამ სოფლის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს (GPS კოორდინატები: N 40° 32.151' E 39° 35.223'). პირველად ის 1710 წელს აშენდა, როგორც დედათა მონასტერი. 1738 წლამდე იგი პატარა ზომის მონასტერი იყო. 1827 წელს სპეციალური ნებართვით გაუდიდებიათ. 1859 წელს მთავარ დედაოს, როქსანას თაოსნობით შეუკეთებიათ. ეს თარიღი ეკლესიის შესასვლელში არის დაწერილი. 1893 წლის სურათის მიხედვით შუაში ეკლესიის შენობაა, ცალი მხარე ორსართულიანია. ის 1914 წლამდე იყო მოქმედებაში. დღემდე მოაღწია მხოლოდ ეკლესიამ და აიაზმას ნაწილმა. დანარჩენი შენობები დანგრეულია.

აიაზმა მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით კედლების, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში 3,70 მ სიფართის და 5,70 მ სიგრძის სამი მხრიდან შემორტყმული კედელი ო მსგავსი გეგმით არის აშენებული. წყაროს წყალი ბლომდაა და თან ცივია. ოთხი წყაროს შეეერთებით შექმნილი ეს წყალი არხით შიგნით შედის და მონასტრის აღმოსავლეთიდან ხეობაში ჩაედინება. ირგვლივ მდებარე ბევრი წყლის არსებობამ აქაურობა ბაღნარად აქცია. ბოლო წლებში ჩატარდა შეკეთება, რომლის დროსაც ეს არხი ბეტონით დაიფარა.

მონასტრის სხვა შენობები საკმაოდ დანგრეულია, მაგრამ შესამჩნევია მათი აქ არსებობა კედლებისა და საძირკვლის ნაშთების სახით. მონასტრის გარეთ დაახლოებით 200 მ სამხრეთ-აღმოსავლეთით ხეობაში ბორცვიან ადგილას ორსართულიან შენობაში წმინდანის საცხოვრებელია დაფიქსირებული. შენობის ზედა ნაწილი, სახურავი დანგრეულია. სამხრეთით სამი, აღმოსავლეთით და დასავლეთით ორ-ორი ფანჯარაა. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს.

პუმბულას (ოვუნდუს) ეკლესია (Övündü kilisesi)

(ტაბ. 63)

მდებარეობს თანამედროვე სოფელ ოვუნდუში (GPS კოორდინატები: N 40° 31.302 E 39° 20.784). ეს ნაგებობა მთლიანად არქაულ იერს ატარებს. ძეგლი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, როგორც უადრეს კაბადოკიურ ხუროთმოძღვრებასთან, ასევე ქართულთან.

მიუხედავად იმისა, რომ მას გადაკეთების არაერთი ეტაპი აქვს განცდილი, მის სტრუქტურაში „არქაულობაც“ კარგად შეიმჩნევა.

კედლებს ეტყობათ, რომ რამდენჯერმე გადაწყობილი. მოგვიანებით ძირითადი სივრცისათვის სამხრეთის მხრიდან აბსიდიანი ფართო ტალანი მიუშენებიათ. ეს, ორ სამშენებლო პერიოდს შორის, დიდი ქრონოლოგიური ზღვარი არ შეინიშნება. საბოლოოდ ორნავიანი ეკლესია მივიღეთ, ესოდენ პოპულარული ქართული ქრისტიანული არქიტექტურისათვის (ელიზბარაშვილი, 1994: 2). ფაქტიურად კი აქ ორი ერთმანეთს მიდგმული ეკლესია გვაქვს. თავდაპირველად, როგორც პირველი, ასევე მეორეც შვერილაბსიდიანი უნდა ყოფილიყო.

პირველი ეკლესიის სამხრეთის კარი (ეს ერთადერთი კარი არსებობდა როგორც სჩანს) ლუნეტიანია და არქაულობის ყველა ნიშანს ამჟღავნებს. ეს კედელი თავდაპირველად საფასადე სიბრტყეს წარმოადგენდა. ლუნეტის თალი ამდაგვარი სტრუქტურების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, იგი ამაღლებულია და ნალისებური მოყვანილობისაა. თალი შირიმის დამუშავებული ქვებითაა აწყობილი. აგრაფი თალის აბსოლუტურ ცენტრს იკავებს და სწორი ტრაპეციის ფორმისაა.

შიდა მხრიდან, რაღაც სარემონტო სამუშაოებისას,²⁴ კარის ღია ლუნეტი სანახევროდ ცრუ-ლუნეტად უქცევიათ. კარის არქიტრავის, არცთუ მთლად ცენტრში, ე.წ. ბოლნური

²⁴ შესაძლოა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შემდგომში ეკლესიები მოიხატა?

ჯვარი (იმპერატორ კონსტანტინეს ძლევის ჯვარი) იკითხება. თავის დროზე იგი საკმაოდ რელიეფური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცდილან მის წაშლას. ესაა ვარდულის შესაძლებლობებზე დაფუძნებული გეომეტრიული სახე ჯვარი - ვარდული, მსგავსი ნიმუშები მრავლად გვხვდება მთელს ადრექრისტიანულ აღმოსავლეთში (ყიფიანი, 2010: 727). ისევე, როგორც ზოგადად საკარე არქიტრავების ჯვრებით შემკობა (Restle , 1979, სურ. 36).

ამ ელემენტების გარდა ძეგლის არქაულობაზე მეტყველებს სარკმლებიც. ყველა მათგანი პარალელურკედლიანია.

ეკლესიები ნაგებია სხვადასხვა ჯიშის ქვებით, მოვარდისფრო დუღაბის გამოყენებით. ვიზუალური დაკვირვებით კირი კერამიკულ ფხვნილს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ კედლის წყობაში რიყის ქვაცაა გამოყენებული, ქვიშაქვაცაა და შირიმის ფრაგმენტებიც, რიგები თითქმის თანაბარი სიმაღლისაა და კარგად ჰორიზონტალური. წყობაში ზოგიერთ ადგილას კერამიკული პლინტუსებიცაა ჩართული.

ვფიქრობთ, რომ ძეგლის თარიღი ზოგადად ადრექრისტიანული ხანაა (ეს მხოლოდ წინასწარული მოსაზრებაა) და V ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

ძეგლის ინტერიერში უხვადაა შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები. იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მოხილვისას იკონოგრაფიული მოდელები და პროგრამები არ იკითხება (ძეგლის შიდა სივრცე მთლიანად მცენარეულ საფარს უკავია).

წმინდა იონას კლდეში გამოკვეთილი მონასტერი (Hagios Ionnas Kaya Kilisesi)

მონასტერი სულეიმანიეს მაჰალეში მდებარეობს. ამ რეგიონში არსებული სხვა მონასტრების მსგავსად XVIII-XIX სს-ით თარიღდება.

გზიდან დაახლოებით 100 მ სიმაღლეზეა. 20.0 X 7,80 მ. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ერთი მთლიანი შენობაა. ეკლესიის სამხრეთი და დასავლეთი კედლები ქვებით არის ამოყვანილი, დანარჩენი ნაწილი კი თლილი კლდეა. ზედა სახურავი დანგრეულია. მონასტრის ნარჩენებიდან ჩანს, რომ ცილინდრული თაღით არის დახურული. სამხრეთით ოთხი ფანჯარაა, რომლებიც შენობის გასანათებლად არის გაკეთებული. შესასვლელი დასავლეთ მხარესაა, დღეისათვის იგი საკმაოდაა დანგრეული. ეკლესია 1892–1932 წწ განახლდა და ფრესკებით მოიხატა. ფრესკის დიდი ნაწილი გაფუჭებულია. დღეისათვის სამხრეთის კედელზეა შემორჩენილი რამოდენიმე ფრესკა. მათგან ერთი, რომელსაც ხელში ეკლესიის მაკეტი უჭირავს ჰერმოგენესი უნდა იყოს. სხვა სცენებიდან გამოიყოფა იესოს დაბადება და სიმონ სტილიტის გამოსახულება.

III თავი. ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალები

(ტაბ. 69-83)

აღმოსავლეთ ჭანეთის მსგავსად, აქაც საკმაოდ ჭირს საველე პირობებში მუშაობა. აქედან გამომდინარე, იძულებული ვართ ემპირიული და მცირეოდენი ლინგვისტური დაკვირვებებით შემოვიფარგლოთ. ბუნებრივია, ეს მონაცემები შეჯერებულია უახლოეს კვლევებთან, რომლებიც ჩვენმა უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა განახორციელეს.

§ 1. ლინგვისტური დაკვირვება ტრაპიზონის შემოგარენის გეოგრაფიულ სახელებზე

ტრაპიზონის შემოგარენის გეოგრაფიულ სახელებზე ჩვენი დაკვირვება ეფუძნება ქართულ სამეცნიერო და უცხოურ ლიტერატურაში ცნობილ მეთოდებსა და დებულებებს. ტოპონიმი ფართო ცნებაა და დიდი თუ მცირე ადგილის, სახელმწიფოს, მდინარის ზღვის, მთისა და მათი ნაწილების სახელწოდებათა ერთობლიობას გულისხმობს.

ტოპონიმი ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან ერთად, მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს მოცემული მხარის მცხოვრებთა ენობრივი თუ რელიგიურ და ეთნოგრაფიულ სფეროს, ასევე მიწათმფლობელობისა და სოციალური წყობის შესახებ.

გეოგრაფიული სახელწოდებები ჩნდებიან საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ენის აუცილებელი ელემენტი, რომელიც გამოხატავს გარემომცველ ობიექტებს, ლანდშაფტებს, რელიეფს და მათ ცალკეულ ნაწილებს. ყველაზე პატარა დასახლებულ პუნქტსაც კი თავისი საკუთარი სახელი აქვს. სახელწოდებები აქვს ზღვებსა და ოკეანებს, მთებსა და მდინარეებს, კუნძულებს უდაბნოებს, ნაკადულებს, ხევებს (ხარაძე, 1987:234).

ტოპონიმები ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და იმეორებს სახელის ყველა ძირითად თავისებურებას სტრუქტურით, წარმოქმნით ტოპონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული საკუთარი სახელი. გეოგრაფიული სახელი ენის ლექსემაა, რომლის წარმოშობისა და სტრუქტურის შესწავლა-გათვალისწინება ლექსიკოლოგიის ამოცანას შეადგენს (ლლონტი, 1967:268).

საკვლევ რეგიონში ვცდილობდით დაგვეფიქსირებინა სუბსტრატული ელემენტები. ამ დროს დამხდური ან სრულიად ქრება, ანდა გარკვეულად იზღუდება ტერიტორიული გავრცელების თვალსაზრისით. ნიმუშად გამოგვადგება მეგრულ-ლაზური ფენა ქართული ენის დასავლურ კილოებში. ივ.ჯავახიშვილი გურული, იმერული ტოპონიმიკის საფუძველზე წერს: „გურიის გეოგრაფიული სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება: ჯიხანჯირი, ოჩხამური, კინტრიში და სხვ. (1913:56). ტრაპიზონის

შემოგარენის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ბერძნულმა და თურქულმა ენებმა შთანთქმეს, შესაძლებელია სიღრმისეული კვლევის შედეგად ამ მიმართულებით მოვიპოვოთ სუბსტრანტული ელემენტები.

კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს გამჭირვალე ტოპონიმებს (სახელი ლექსიკურ მნიშვნელობას ინარჩუნებს), რადგანაც მოსული ტომი თავის ენაზე თარგმნის: ასე მაგალითად, ბერძნებმა ცხენის წყალი ჰიპოსად თარგმნეს, ვარციხე როდოპოლოსად. პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკაში“ ნოლელი/მაკრიალი (დღევანდელი ქემალფაშა) მაკროსეგიალოსის ფორმით იხსენიება (მიქელ პანარეტოსი, 1960:38), რომელიც გრძელ ნაპირად ითარგმნება. მცირე აზიაში ხეთებთან ტბის სახელწოდება ტოპადა აკ. შანიძემ ქართველური ენათა მონაცემებით ახსნა, რომელიც მწარე ტბას აღნიშნავს, 1926 წლის შემდეგ დაერქვა თურქული სახელი AciGol (მწარე ტბა) (შანიძე, 1937).

2006 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში „ტრაპიზონის ადგილის სახელები“ ილიას ქარაგიოზი (Karagöz, 2006) დიდძალ ლიტერატურაზე დაყრდნობით აღწერს და ახანალიზებს ტრაპიზონის, აქჩაბათის, არაკლის, არსიანის, მაჩქას, ოფის, სურმენეს, ტონიას და იომრუს ტოპონიმებს. გეოგრაფიული სახელები წარმოდგენილია ბერძნულად და თურქულად; ასე მაგალითად: მანტრანო/ალათაშ, ვარვარა/ჰარმანლი.

საკვლევ რეგიონში ქართველური ლექსიკა მეტწილად ეთნოტერმინებით არის შემონახული. სურმენეს მუნიციპალიტეტში დასტურდება სოფლის სახელი ლაზანთი, ძირეული მორფემა ლაზ ეთნოტერმინი ანალოგიური ტოპონიმი გვხვდება შავშეთში. შავშეთის ზოგიერთ სოფელში დღესაც ცხოვრობენ ლაზები, სოფელ ჩაქველთას ერთ-ერთ უბანს სულაც ლაზიანთა ჰქვია. აქ მცხოვრებთა უმრავლესობა ლაზია. ისინი ფლობენ როგორც ლაზურ, ასევე ქართულ და თურქულ ენებს. ინფორმატორების ცნობით. ბევრი ლაზი გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, დაკარგა თავისი ენა და ზნე-ჩვეულება. ძველად ლაზური მოსახლეობა კომპაქტურად სახლობდა შავშეთისწყლისა და მდინარე იმერხევის აუზების სხვადასხვა სოფელში, მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. ზანური ენის კვალი კი შემორჩა რეგიონის ტოპონიმებს (შავშეთი, 2011:325).

მაჩქას მუნიციპალიტეტის ფონთილას სოფელში ლაზარ ხევისა და ჰამსიქოის მდინარის სახელწოდებაა.

საკუთრივ ლაზეთში ფაზარის (ათინა) მუნიციპალიტეტში სოფლის სახელად დასტურდება ლაზავათი.

აგრეთვე, მაჩქას მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც მითითებულია სხვადასხვა ეთნიკური დასახლებები, სოფელი ქოთილა ლაზების საცხოვრისად არის მითითებული (Karagöz, 2006: 212). მალურა მაკრონების საცხოვრისია. ლაზ ძირის შემცველი ტოპონიმი დასტურდება ოფის მუნიციპალიტეტში. სოფელი ლაზანდოს/ორთულუ, რომელიც ლაზების საცხოვრისზე მიუთითებს.

ზანოÉ მაჩქას მუნიციპალიტეტის სოფელია. „ზან“ ეთნოტერმინს ისტორიული ტრადიცია აქვს და მისი რეალური მნიშვნელობაცა და ისტორიული ტრადიციაც მეგრელებისა და ლაზებისაკენ მიგვიითითებს. ცნობილია, რომ სვანები მეგრელებს „ზანარ“ ფორმით მოიხსენიებენ,

ყაბარდოულშიც შემონახულია „ზანე“ სამეგრელოს აღსანიშნავად (ჩიქობავა, 2008:25).

ძველი ბერძენი მწერლების მიხედვით „სანები“ (ბერძ. სანოი) იგივე ზანები უნდა ყოფილიყვნენ; ძველი ბერძნული წყაროები სანებს ხშირად აიგივებენ მაკრონებთან, ხშირად კიდევ–ჭანებთან, ჰეკატესა და სტრაბონის მიხედვით სანები ჭანებად იწოდებიან. ეთნიკური ღირებულება და პოლიტიკური მნიშვნელობა ტერმინებისა (ლაზი, ჭანი, მაკრონი, სანი ე. ი. ზანი) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, აგრეთვე იმის გარკვევა, საიდან, რომელ ხალხთაგან მომდინარეობს. ეს სახელწოდებები, – ძიების საქმეა. იმერეთის „საზანო“ და სამეგრელოს „ზანა“ (სოფელიცა და მდინარეც) ზან ტერმინის რეალობას ამტკიცებს, ხოლო ზანური, როგორც პირობითი ტერმინი, ლაზურისა და მეგრულის ფუძე ენის აღსანიშნავად გამოიყენება (ჩიქობავა, 2008:25).

ზან/სანძირის შემცველი ტოპონიმები ტრაპიზონის შემოგარენის სოფლების სიაში მეტ-ნაკლებად დასტურდება: აქჩაბადის მუნიციპალიტეტის სოფელი ზანითი/ქარაჩაირ, მაჩქას მუნიციპალიტეტში ზანჰა/ზენაჰა, სანოგია/სანია, აგოურ-ზანოს/ალურ-ზანის, ტრაპიზონის მუნიციპალიტეტში ზანგარია; ზანის, ზანო ზენა–ჩაიქარას მუნიციპალიტეტში (Uzun, 2007:217-219). ზან ძირის შემცველი ტოპონიმები გვხვდება საკუთრივ ლაზეთშიც. ფაზარის (ათინა) მუნიციპალიტეტში ზანათი, ზანურობა, ოზანეთი.

მაჩქის მუნიციპალიტეტის სოფლის სახელწოდება ქუთალა/იემიშლი, ქოთილა/ორმაი–ნიჯი მოგვაგონებს ლაზურ კუტალ სიტყვის მნიშვნელობას, რომელიც განიმარტება როგორც ღრმა, სიღრმე. ქუთალას ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა სიღრმესთან არის დაკავშირებული. სოფელი ღრმა ხევში მდებარეობს. ანალოგიური ტოპონიმები დასტურდება არქაბის სოფელ ზემო ნაფშითში (კუტალა) და ხოფის მუნიციპალიტეტის სოფელ პირონთში/პირონითში. ხოლო კუტალეთი შავშეთში სოფლის უბანია (შავშეთი, 2011:308).

ოფის და ჩაიქარას მუნიციპალიტეტის სოფლების ნუსხაში დასახელებულია ოგენე. სიტყვის აგებულება მიგვანიშნებს, რომ იგი ნაწარმოებია და ძირეული მორფემა გენ–ლაზურად ხბო, ხოლო ო-ე დერივატი ქართულ სა–ე–ს ადექვატია. საფიქრებელია, რომ სოფლის სახელი სახბორეს უნდა ნიშნავდეს.

ცენტრალური ჭანეთის პროვინციებიდან ფარული ქრისტიანობით გამორჩეული იყო მაჩქა, რომელიც მაჭუკის სახელით მოიხსენიება. მაჩქელების ცენტრი იყო ვაზელონის მონასტერი. სიტყვის სტრუქტურაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ხომ არ არის ეს სახელი ქართველური წარმოშობის სიტყვა. ხომ არ მომდინარეობს მაჩხასაგან. ჩხ კომპლექსი თურქული ენისათვის არაკანონიკურია. ლაზურში მაჩხა/მანჩხა ღარის აღმნიშვნელი სიტყვა. ეგვე სიტყვა ადგილის სახელად ფიქსირდება ფაზარის (ათინა) მუნიციპალიტეტში სოფ. დადივათში. მაჩხათი ვიწეში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაა.

სიტყვის ლაზურ წარმომავლობაზე მიუთითებენ თურქული წყაროები. ეუბოლლუ აღნიშნავს, რომ :ლაზურში „მაჩქა“ სიტყვა არსებობს და იგი წყლის ღარის მნიშვნელობით იხმარება. ეს არის ხისგან დამზადებული მილი, ანუ წყლის გზა. ამავე დროს ჩანჩქერზეც ითქმება და ხმარებაშია ეს სიტყვა ლაზებთან. ასე და ამგვარად სიტყვა „მაჩქა“ ლაზურში დაიძებნა და წყალს ეხება. იგი წყალთან არის დაკავშირებული და ჰიდროტოპონიმია (Karagöz,

2006:254).

ყურადღებას იქცევს მაჩქას მუნიციპალიტეტში უღელტეხილის სახელი ზიგანა, რომელიც ზღვის დონიდან 1700 მეტრია, ტურისტული ცენტრი. გვეფიქრება, რომ ზიგანაც ქართველური სიტყვა უნდა იყოს. ზიგანა უნდა მომდინარეობდეს ჟიგანასაგან – ჟი–გან–ა, ჟი მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ქართულ ზე-ს შეესაბამება, გან–საბას მიხედვით სივრცეა, ხოლო ა მატოპონიმებელი ელემენტია. ჟ ბგერა თურქულში მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში დასტურდება. ქართველური ჟიგანა გადმოიღო ზიგანათი, რომელიც უდრის ზეგანს.

საყურადღებოა აგრეთვე ტოპონიმების მაწარმოებელი ელემენტები, როგორცაა –ია (ტონია, სინოგია) შდრ. ქართ. ვარძია, –თა სუფიქსიანი ფორმები (კირინთა). –ონ სუფიქსიანი ფორმები (ვაზელონა, დირგონა, ქოთოლონა...) შესაძლოა –ონ სუფიქსის ადექვატი იყოს (ქვალონა, არმონა, ოკანგილონი). ამ და სხვა საკითხების სიღრმისეული შესწავლა მომავლის საქმეა საველე და საარქივო მასალების გამოყენებით.

§ 2. არქეოლოგიური ძეგლები

ბრინჯაოს მეტალურგიის კერები. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიაკვლია სრულიად ახალ კულტურას, რომელიც უკავშირდება საკაცობრიო ცივილიზაციის მეტად მნიშვნელოვან ეტაპს. ესაა ქვის ხანიდან ენეოლით-ადრებრინჯაოზე გარდამავალი ეტაპები. ამ დროისათვის მილიონობით წლების მქონე ქვის ინდუსტრია თანდათანობით იცვლება ლითონის საუკუნით, ბრინჯაოს ხანით. სწორედ ამ დროიდან ხდება უმნიშვნელოვანესი ძვრები საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობაში. წინა აზიაში გაჩნდა ადრეკლასობრივი საზოგადოებანი ანატოლიასა და მესოპოტამიაში. მათ ემატება კრეტა-მიკენი. 2014-2019 წლების გათხრებით დადასტურდა, რომ გლობალური მსოფლიო ისტორიული პროცესების თანამონაწილეა ჩვენი ქვეყანაც. აჭარაში ამ ხნის განმავლობაში აღმოჩნდა 50-ზე მეტი ძეგლი, სადაც ხდებოდა საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფლოტაცია, სპეციალურ ქურებში ღებობის, დნობის პროცესების დაჩქარების მიზნით მათი დაქუცმაცება, დაფშვნა. პოლიმეტალებით მდიდარი მხარე გახდა სწორედ აღმოსავლური სამყაროსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ლითონის მომწოდებელი. ეპოქალური მოთხოვნილებების შესაბამისად ჩვენი წინაპრები გვევლინებიან ბევრი სიახლის, ნოვატორული გამოგონებების შემოქმედებად, რომლებმაც სათავე დაუდეს მეგალითური კულტურის სრულიად ახალ სახეობას არქეოლოგიურ მეცნიერებაში (უახლეს აღმოჩენათა შესახებ იხ: კახიძე..., 2014:32-38; კახიძე..., 2016; კახიძე, 2017:3-15; კახიძე, 2017: 280-294; კახიძე, 2017:280-294; კახიძე, 2019: 5-43).

როგორც ვნახეთ, აჭარაში არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების შედეგების მიხედვით შევაროვეთ გარკვეული მონაცემები ახალ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით. წინასწარულ დასკვნას იქითკენ მივყავართ, რომ მეგალითური კულტურის ძეგლები ფართოდ ჩანს გავრცელებული დიდი თუ მცირე კავკასიონის სამხრეთ ექსპოზიციაში. ასევე ითქმის მათ შორის განლაგებულ მთათაშუა დეპრესიის მიმართაც. რა თქმა უნდა, მომავალში აჭარის მსგავსად ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს. ყოველივე ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს წარმოვაჩინოთ სამხრეთ კავკასიის უძველეს მელითონე მეტალურგთა უდიდესი წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციაში. უახლოეს მომავალში მსგავსი სამუშაოების გაგრძელებას ვაპირებთ მეზობელ რეგიონებში.

2014-2018 წლებში ჩვენმა სადაზვერვო ჯგუფმა მოახერხა რამდენიმე გასვლა თურქეთის ფარგლებშიც. მიზანი იყო ახლად აღმოჩენილი კულტურის გავრცელების საზღვრების ძიება სამხრეთის მიმართულებით. მიმოვიხილეთ ზღვისპირა და გორაკ-ბორცვოვანი ზოლი ბორჩხა-მურღულიდან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოკლედ ვისაუბრებთ პონტოსპირეთის ამ რეგიონის უახლეს აღმოჩენათა შესახებ.

პირველი ერთდღიანი გასვლა განვახორციელეთ 2014 წლის 21 ივლისს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამავე წლის ადრე გაზაფხულისათვის მარადიდის ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ამ ადგილებში ვაწარმოეთ სავლეთ არქეოლოგიური სამუშაოები. პარალელურად მუზეუმისათვის შევიძინეთ ქვის ექვსი გობი. ექსპედიციაში მონაწილეობდა აქაური მკვიდრი

რამაზ ლომაძე. მან მოგვაწოდა ინფორმაცია მურღულთან ახლოს მსგავსი არტეფაქტის არსებობის შესახებ. ეს გასვლაც სწორედ ამ ინფორმაციას უკავშირდებოდა. ჩვენთან ერთად იყვნენ ემზარ კახიძე, გიორგი დუმბაძე, ნუგზარ აფაქიძე და თვით რამაზ ლომაძე შვილთან ერთად.

ჯერ ავედით ბორჩხაში, შემდეგ გზა გავაგრძელებით მურღულის მიმართულებით. ბორჩხადან მურღულამდე 17 კმ-ია. პირველ ხანებში გზა მიუყვებოდა მურღულისწყლის მარცხენა სანაპიროს. გავიარეთ 5 კმ. აქ მდებარეობს სოფელი იბრიხლი (ქართულად ებრიკაი – ახალდაბა). მეორე სოფელია ქამილეთი-ჟვანი. ამის შემდეგ გადავედით მდინარის მარჯვენა სანაპიროზე და მდინარის დინებას ქვემოთკენ დავუყევით. პირველ სოფელს არხვა-აქტინარი ჰქვია, მეორეს – ტრაპენი (თურქულად ტარაკლი). გავჩერდით მესამე სოფელში – ამბალში (ქართულად დამპალი). ჩვენი მასპინძელი იყო შაინ ბოლქვაძე-ოზანი, შუახევიდან გადმოსული მუჰაჯირი. სწორედ ამ ოჯახში ინახებოდა ქვის გობი, რომელიც რამაზ ლომაძეს აჩუქა, ამ უკანასკნელმა კი – ჩვენს მუზეუმს გადასცა.

ქვის გობის აღმოჩენის ადგილი შ.ბოლქვაძისთვის უცნობია. ინახებოდა მერეგის, ე.წ. საბძლის, ქვეშ. ქვის გობი წარმოადგენს საკმაოდ მაღალმხატვრულ ნაკეთობას. ფორმა გამოირჩევა პროპორციულობითა და დახვეწილობით. აქვს საკმაოდ ფართო, ბრტყელი ძირი, მომადლო, ოდნავ მომრგვალებული ტანი. პირი მკვეთრად გამოყოფილი, წრისებრად მომრგვალებული. ცენტრში ნაკვეთია ნახევარსფერული სანაყი განყოფილება. დამზადებულია მაგარი ჯიშის ქვისგან. ოსტატი პროფესიონალი ხელოსნის შთაბეჭდილებას ტოვებს. ძირის დიამ. 35 სმ-ია, სიმაღლე პირის გვირგვინთან ერთად 37,5 სმ, პირის დიამ. 35 სმ, სანაყი განყოფილების დიამ. 14 სმ, სიღრმე – 17,5 სმ (ტაბ. 71/2,3).

საერთოდ კი, ეს ადგილები საინტერესო ჩანს. ზემოთკენ, ართვინის მიმართულებით, ჩამწკრივებულია პატარა ღელეები: ჰაჯიხევი, ავანის წყალი, 5 კმ-ში მოსდევს ღორთა ხევი, კარტლას წყალი. აქ წისქვილის ქვებს აკეთებდნენ. შემდეგ ხატელას წყალი და ართვინი. საოცრად იკვეთება ქვის გობების გავრცელების ლოკალური კერა, რომელთაც ჭოროხის მეტალურგიის გულისაკენ – მურღულ-ძანსულ-ხოდისკენ მივყავართ, ამას ემატება აჭარის ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერები.

მეორეჯერ ვისარგებლეთ რუსთაველის ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის „ჭანეთის მატერიალური კულტურის ძეგლების“ (ხელმძღვანელი შ.მამულაძე) დაფინანსებით (2017 წ. 28-31 ივლისი). ჩემთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კოორდინატორმა ემზარ კახიძემ და ფოტოგრაფმა გიორგი დუმბაძემ (გრანტის წევრები). მიზანი იყო აგვისტოსათვის დაგეგმილი ექსპედიციისათვის სათანადო პირობების მომზადება, გარდა ამისა, ადგილ ჩაიეღის დათვალიერება. საქმე იმაში გახლავთ, რომ ქალბატონ ლილე თანდილავას წინა წლის ექსპედიციის დროს თურქმა მეგობარმა ალიმ მიაწოდა მობილური ტელეფონით გადაღებული კადრები, რომელზეც აღბეჭდილი იყო ბრინჯაოს უძველესი კერებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები – ქვის არხები, გოლი, გობები და ა.შ. პირველივე დღეს მიმოვიხილეთ საეჭვო ადგილები. გავესაუბრეთ რესპოდენტებს, მაგრამ ამჯერად ძეგლის ლოკალიზაცია არ მოხერხდა. დარჩენილი ორი დღისათვის გადავწყვიტეთ აჭარის ძეგლებზე მიღებული გამოცდილების

შესაბამისად გვეწარმოებინა საძიებო სამუშაოები ფორტუნას ხეობაში. პირველ ხანებში ავყევით ფორტუნას მარჯვენა მიკროშენაკად ქაიდერეს. შედეგებმაც არ დააყოვნა. სამანქანე გზის გასწვრივ, მარჯვენა სანაპიროზე დავაფიქსირეთ მეტალურგიული კერის პირველი ნაშთები. ეს გახლავთ ხელოვნურად ნაკვეთი არხი – ჩანჩქერი. GPS კოორდინატებია: N400 58 737; E400 04 265. სიმაღლე ზღვის დონიდან 835 მ. მიუდგომელი კლდოვანი ქანების გამო ზედა მონაკვეთის დათვალიერება ვერ შევძელით. ქვემოდან კი მოჩანდა ქვის ორი პატარა ზომის გოლი თუ გობი. არხ-ჩანჩქერის დასასრული ექცევა ხელოვნურად მოზვიანული სამანქანე გზის სქელი საფარის ქვემოთ. არაა გამორიცხული, რომ ჩანჩქერი ჩაედინებოდა ქვის გოლში.

2-3 კმ-ის გავლის შემდეგ მდინარის გაღმა, მარცხენა სანაპიროზე ვიზუალურად დავაფიქსირეთ ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული მორიგი კერა. მდინარეზე გადასვლა ვერც აქ შევძელით. გამოდმიდან თვალსაწიერში ექცეოდა კლდეში ნაკვეთი არხის გარკვეული მონაკვეთი. მოსდევს მომაღლო ჩანჩქერი, რომელიც ჩაედინება მდინარის სანაპიროსთან ახლოს საშუალო ზომის გოლში.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ფორტუნას მარცხენა შენაკადის მიკროხეობა – ადგილი პალოვითი, ზილკალედან 10 კმ-ის ზემოთ. GPS კოორდინატებია: N40056.320, E40059.675. სიმაღლე ზღვის დონიდან 945 მ. ჩვენს წინაშე გადაიშალა საოცარი პანორამა მჩქეფარე არხ-ჩანჩქერებით, ქვის გოლებითა და დასასრულს ვერტიკალურ ქარაფებზე ხელოვნურად შექმნილი მაღალი ჩანჩქერისა და დიდი ზომის გოლის სახით. შესრულებულია გრანდიოზული მასშტაბის მეგალითური სამუშაოები. ძეგლი წარმოადგენს საერთო სახალხო სანახაობის ობიექტს.

წინ ახალი სიურპრიზი გველოდა პოლიმეტალებით მდიდარ მურღულის მიდამოებში. თვით მურღულში გავესაუბრეთ არაერთ მუჭაჯირ ქართველს, მათ შორის რაუფ ორჰანს (იგივე ქავთარაძე) და მისი შვილიშვილს. სწორედ მათ მოგვაწოდეს ცნობა დელიკლიკაიში (ახლა გოგლიეთი) საინტერესო სანახაობის არსებობის შესახებ. გავიცანით ადინი თოფალოდლი (როგორც ჩანს, იგივე მიქელაძე) და მისი ძმა სერვეთი. სწორედ ამ უკანასკნელმა გაგვიწია მეგზურობა. მოწმენი გავხდით საოცარი, უნიკალური სანახაობისა. ბუნებრივია, მის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ ახლად აღმოჩენილი ძეგლების აღწერისას.

მესამე გასვლა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დაფინანსებით განხორციელდა 2017 წლის 19-21 ნოემბერს. სადაზვერვო ჯგუფში მონაწილეობდნენ: ნ.სურმანიძე (ხელმძღვანელი), წევრები: მ.ჭიჭინაძე (მოწვევით), მ.ნაგერვაძე, გ.დუმბაძე, ნ.აფაქიძე. მიზანი იყო ჩვენს მიერ ადრე აღმოჩენილ კერებზე გარკვეული სახის ფოტოგადაღებების განხორციელება. გარდა ამისა, დაზუსტდა ჩაიელის ადგილსამყოფელი. მეგზურობა გაუწია ადგილობრივმა მკვიდრმა ალი ალიმ. ამჯერად ძეგლი ვიზუალურად იქნა აღწერილი და ფოტოები გადაღებული. მონაწილეთა ინტერესების სფეროში შედიოდა, აგრეთვე, ზოგიერთი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის დათვალიერება (იშხანი, ოთხთა ეკლესია, ტბეთი, ზინკალეს ციხესიმაგრე და ა.შ.). ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩაიელის ლოკალიზაცია.

მორიგი გასვლა განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2018 წლის 7-15 სექტემბერს. სადაზვერვო ჯგუფში

ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღეს: ზურაბ გიორგაძემ (სააგენტოს თანამშრომელი), ემზარ კახიძემ (ჭანეთის გრანტის მონაწილე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), გიორგი დუმბაძემ (აჭარის მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფოტოგრაფი), ნუგზარ აფაქიძემ (მძლოლი). გასვლა, მართლაც, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მიმოვიხილეთ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, აღმოვაჩინეთ ახალი კერები არხავეს მიდამოებსა და ორდუდან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე როგორც ზღვისპირა, ასევე გორაკ-ბორცვიან ზოლში. მოკლედ ვისაუბრებთ 2014-2018 წლებში სამხრეთ შავიზღვისპირეთში განხორციელებულ კვლევა-ძიებების უმთავრეს შედეგებზე.

მურღული (ტაბ. 69-70). მცირე კავკასიონის გამაღმების ბოლნის-ართვინის ზონის უძველესი წარმოების კერებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, სპილენძის წარმოების მძლავრ ცენტრად მიჩნეულია მურღული (თურქეთი), რომელიც რადიოკარბონული თარიღების მიხედვით ძვ.წ. IV ათასწლეულითაა დათარიღებული. მდებარეობს მურღულის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე. მადნის დამუშავება შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. 1898 წელს განხორციელდა პირველი გეოლოგიური დაზვერვები. ცნობილია ძეგლის სტრატეგრაფია, საბადოს მინერალურ-გეოლოგიური სტრუქტურა, წიაღისეული სტრუქტურა. წიაღისეული რესურსები უპირატესად წარმოდგენილია სპილენძის, პირიტის, ალბიტინისა და თუთიის შემცველი მადნებით. წამყვანია ჩანგარის, სოსვენისა და სადეფის მომცველი ტერიტორია. მურღულიდან 7 კმ-ის მოშორებით (სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი) მდებარეობს აქარშენის საბადო. მარაგი 30000 ტონითაა შეფასებული, სპილენძის შემცველობა 3,5%-ია. ქუვარშანის საბადო ჩორუხის რეგიონში ექცევა. 1937-41 წლებში აქ ყოველწლიურად 8800 ტონა სპილენძს მოიპოვებდნენ (დამბაშიძე..., 2013: 22-24).

სპილენძის სამთო მოპოვებითი და მეტალურგიული დამუშავების ტრადიცია ჭოროხის ხეობაში დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ცნობილ ეთნოგრაფ ნ.რეხვიაშვილთან ვკითხულობთ: „ამ ხანებში რკინას მხოლოდ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში ამუშავებდნენ. ეს იყო მდ. ჭოროხის, ღალისის, ტიგროს-ევფრატისა და მტკვრის სათავეთა აუზებში გაწვდილი მთიანეთი, რომელიც შეიცავდა ლითონის ნედლეულის მდიდარ კერებს, რომელთა დამუშავება ძველიდანვე წარმოებდა და არ შეწყვეტილა დღემდე“ (რეხვიაშვილი, 1964:14).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უცხოელი მეწარმეები დიდ ინტერესს იჩენენ სპილენძით, ოქროთი, ვერცხლით, თუთიით, მარგანეცით, ტყვიითა და რკინის მარაგით მდიდარსა და კონცენტრირებული მხარისადმი. დაიწყო არსებულ საბადოთა შესწავლა, ახალთა ძიება და საქარხნო-სამთამადნო წარმოების დაწყებისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდების განხორციელება (მარტო ძანსულის (ჭინკათხევი) კაპიტალდაბანდებამ 15 მლნ-ს მიაღწია). გამოვლენილ იქნა ფერადი ლითონის 45 საბადო. მათ შორის, 34 ართვინის ოკრუგში, გამოირჩეოდა ძანსული, კვარცხანა, ხოდი, ჩონჩხათი, ლომაშენი, ჰოდელია და ა.შ. 11 კერას მითვლიდა ბათუმის ოკრუგი. წამყვანი იყო მერისი (მადანი ქედამდე ცხენებით ჩამოჰქონდათ, შემდეგ – ფურგონებით). ამოქმედდა სპილენძის სადნობი ქარხნები. პირველი ასეთი ქარხანა გაიხსნა ბათუმთან ახლოს სოფელ ერგეში (1890 წ), ჭინკათხევი (1902 წ), ხოდში (1908 წ),

კვარცხანაში (1914 წ.). დიდი იყო მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე მაღალხარისხიან ფერად ლითონებზე, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ერგეს ქარხნის მუშაობა შეაჩერა, ხოლო სხვა საწარმოები კი თურქებმა დაიკავეს (სიორიძე, 1987; თურმანიძე, 1991; კახიძე ნ., 2005; 2010).

მურღულის კვლევაში გარკვეული წვლილი ჩვენი ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმაც შეიტანა. ესაა მურღულის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ქვის გობი და ჩვენ მიერ მიკვლეული მეტალურგიის უძველესი უნიკალური კერა. შეპირებისამებრ, აქვე მოვიტანთ მათ აღწერილობას.

ადგილის მიკროტოპომიმია დელიკლიკაია. აღწერა ვაწარმოეთ ზემოდან, მდინარის დინების მიმართულებით. დასაწყისთან აღმოჩნდა ქვის გობი #1. წრიული, ნაკვეთია კალაპოტში. წინა მხარე გახსნილია. პირის დიამ. 1 მ-დეა, სიღრმე – 30-35 სმ. როგორც ჩანს, კვეთა ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი. მოყვა ქვის გობი #2. ნახევარსფერული. მდინარის მარჯვენა სანაპირო. პირის დიამ. 25 სმ, სიღრმე – 30 სმ. ვფიქრობთ, რომ სამტეხლო სამუშაოები არც აქ უნდა იყოს დასრულებული. გარკვეულ მონაკვეთზე სწორ ადგილებში პატარა ღეღე მდორედ მიედინება. გენიოს მელითონეთა უნიკალური ნაკეთობა შექმნილია გაგრძელებაზე, გოლის თავზე. კლდის მონოლითში ამოუკვეთიათ გოლის ცენტრალური ნაწილისკენ მიმართული ვერტიკალური ცილინდრულ-ტუბისებრი წყლის ნაკადის შემკრები ჩანჩქერ-ვარდნილი. ცილინდრ-ჩანჩქერის ზომები თვალსაჩინოა: დიამ. 4,8 მ, სიმაღლე – 4,5 მ. ყოველივე დანაკარგის გარეშე შექმნილი მსგავსი კონცენტრირებული წყლის ნაკად-ჩანჩქერი მეტად ეფექტური იქნებოდა გოლში განლაგებული მადნის ფლოტაციის პროცესებში. მსგავსი მეგალითური ძეგლი ჯერჯერობით სხვაგან არაა აღმოჩენილი. ქვის გოლი მოზრდილია, ახლა დიდი ნაწილი ქვა-ღორღითაა შევსებული, ამოსაწმენდია. გოლის მარჯვენა სანაპიროზე, სივრცის გაზრდის მიზნით, კლდის ქანებში გაუკეთებიათ მოზრდილი შენაჭერი. დღევანდელი კონტურების მიხედვით მისი ზომების ზუსტი გადმოცემის შესაძლებლობა არ არსებობს – იკითხება 6 მ სიგრძისა და 2 მ-ის სიფართოზე. ქვა-ღორღით დაფარული გოლის დანარჩენი ნაწილი 5,7X5,3 მ-ზე ფართობის მომცველი უნდა იყოს, ნაკადის გასასვლელის სიგანე 2 მ-ია. აღსანიშნავია ისიც, რომ გოლის გვერდით, მარჯვენა მხარეს, თითქოსდა გარკვეული მოედნის შექმნის მიზნით, 15 მ სიგრძისა და 9 მ-ის სიმაღლეზე კლდის კედელი მთლიანად ჩამოკვეთილია და მიღებულია ნახევარსფერული სივრცე. ამის შემდეგ დაახლოებით 58 მ-ის სიგრძეზე მდინარე მდორედ მოედინება. ალაგ-ალაგ ქვის სამტეხლო სამუშაოების ნაშთებიცაა შემორჩენილი. საკმაოდ ფართო არხისა და ქვის მორიგი #3 გობის სახით. ეს მონაკვეთი იმდენად ჩახერგილი აღმოჩნდა ქვა-ღორღითა და ხის ნატანის სახით, რომ რაიმეს გადაჭრით თქმა ჭირს. შემდგომ გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებითა და ფაქიზი ნაკეთობით, მისი სიგრძე 4 მ-ია, სიგანე – 1,5-3 მ. გაგრძელებაზეც მოჩანს მეგალითური სამუშაოების კვალი, მაგრამ ეს ადგილები ჩვენთვის ძნელად მისადგომი აღმოჩნდა. მომდევნო სწორხაზოვან ადგილებში რაიმე სახის არტეფაქტების არსებობა არ შეინიშნება. დასკვნა ერთია, მურღულის მდ. ქოროხის ქვემო წელის ერთ-ერთი უბრწყინვალესი, როგორც ითქვა, უნიკალური ძეგლთაგანია.

მენჩუნი (ტაბ.71). მდებარეობს არქაბედან 16 კმ მოშორებით. GPS კოორდინატებია: (37T) 0697070 4569912, ხეობის სიღრმეში. სამანქანე გზიდან დაახლოებით 500 მ ზემოთ. უსახელო მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ძეგლის აღწერილობა ვაწარმოეთ მდინარის დინების მიმართულებით ზემოდან ქვემოთკენ. დასაწყისთან იკვეთება თითქმის 70 მ სიმაღლის ჩანჩქერი. თავშივე არხის ნაკადის სიმძლავრისა და კონცენტრაციის მიზნით გარკვეული მონაკვეთი რკალისებრადაა ამოკვეთილი. ჩანჩქერის მკვეთრად დაქანებული ზოგეირთი მონაკვეთი საერთოდაც მიუდგომელი ჩანს. ჩანჩქერ-არხის ქვის გოლში დაცემა-დარტყმის ძალა მეტად დიდი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, შესაბამისად შექმნილი მორევი ფლოტაციის პროცესებს მკვეთრად დააჩქარებდა. გოლის ირგვლივაც მნიშვნელოვანი ქვის სამტეხლო სამუშაოებია შესრულებული. მსგავსი სიმაღლისა და სიმძლავრის ჩანჩქერი იშვიათია. როგორც ჩანს, მურღულის კომპლექსთან ახლოს მდებარე მსგავსი მძლავრი კერები სხვაც უნდა ყოფილიყო. შესანიშნავად იკითება ქვის გოლის კონტურებიც. მის ზემოთაც 1,5 მ სიმაღლეზე არხ-ჩანჩქერის კედლები შესანიშნავად დამუშავებულ-გაპრიალებულია. გოლი სამკუთხა შემოწერილობის ჩანს, სიგრძე 12 მ-დეა, გვერდების სიმაღლე – 5,5 მ, სიღრმე – 3 მ ივარაუდება. ჰქონია სადინარი, სრულდება ხელოვნურად შექმნილი წყლის ნაკადის შემაკავებელი ჯებირით. მისი სიგრძე 6 მ, სიმაღლე – 1 მ. მიმართულია მარჯვენისაკენ, გაგრძელებაზე მოსალოდნელია შედარებით ნაკლები სიღრმის მქონე გოლები, სადაც ხდებოდა ნაკადს გაყოლებული ლითონის წვრილი ნატეხ-ნამცეცების საბოლოო დალექვა.

ამავე კომპლექსში უნდა ექცეოდეს უსახელო მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ჩვენთვის მიუდგომელი ჩანჩქერი. მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ დისტანციური ფოტოს გაკეთება. იგივე მარჯვენა სანაპიროზე, სამანქანე გზის პირას, დაზვერვებისას დაფიქსირდა მეტალურგიის კიდევ ერთი კერის არსებობა. ესაა საკმაოდ ღრმად ჩაჭრილი მოგრძო არხი, რომელიც შედის თანამედროვე სამანქანე გზის ხელოვნურად შექმნილი გრუნტული საფარის ქვემოთ. აქვე იგულისხმება ქვის გოლის არსებობაც. მოხდა არხის სათანადო ფოტოფიქსაცია. როგორც ზემოთაც ითქვა, ღრმა ხეობის ექსპოზიციაშიც ივარაუდება სხვა ძეგლების არსებობა.

აიდერე (ტაბ. 72). ფორტუნას ხეობა. მარჯვენა შენაკადი. სამანქანე გზასთან ახლოს, GPS კოორდინატებია: N400 58 737, E400 04 265. სიმაღლე ზღვის დონიდან 835 მ. გაშიშვლებულ კლდოვან ქანებში შექმნილია არც თუ ისე ფართო ხელოვნური ჩანჩქერი. ზედა მონაკვეთი მიუდგომელი აღმოჩნდა. გზიდან გაგრძელებაზე მოჩანს ერთმანეთთან ახლოს მდებარე პატარა ზომის ქვის ორი გოლი თუ გობი. არხ-ჩანჩქერის დასასრული ექცევა გზის საკმაოდ სქელი მოზვინული ფენის ქვემოთ. სავარაუდოდ, ამ ადგილებში უნდა ყოფილიყო ამოჭრილი ქვის გოლიც. ეს რაც შეეხება პირველ კერას.

2-3 კმ-ის გავლის შემდეგ მდინარის მარცხენა სანაპიროზე გამოჩნდა მეორე კერაც. მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი იყო. ამიტომაც ჩვენი აღწერილობა გარკვეული დაშორებით გაკეთდა. გამოლმიდან თვალსაწიერში ექცევა კლდოვან ქანებში ნაკვეთი ქვის არხის გარკვეული მონაკვეთი. შექმნილია მომაღლო ჩანჩქერი, რომელიც მდინარის პირთან ნაკვეთ საშუალო ზომის ქვის გოლში ჩაედინება. თვით გოლი, როგორც წესი, შევსებული იყო ქვა-ღორღითა და ადიდებული შენაკადის მიერ ჩამოტანილი ხის კუნძებით.

პალოვითი (ტაბ. 73). მდებარეობს ზილკალედან 10 კმ-ით ზემოთ. ფორტუნას ხეობის მარცხენა სანაპიროს მიკროხეობა. ადგილი პალოვითი. GPS კოორდინატებია: N400 58 320, E400 59 675 სიმაღლე ზღვის დონიდან 945 მ. შესრულებულია მეტად დიდი მასშტაბის მეგალითური სამუშაოები. აღმოვჩნდით შთამბეჭდავი სანახაობის წინაშე. შესაძლებლობის ფარგლებში ძეგლის აღწერა და ფოტოგადაღებები ვაწარმოეთ ზემოდან ქვემოთკენ მოზრდილი მდინარის დინების მიმართულებით. დასაწყისთან, კლდის ქარაფებში შეუქმნიათ ფართო ჩანჩქერი, რომელიც მსხვილი ნაკადის სახით მიემართება პირველი გოლისკენ. ბუნებრივია, იგი ქმნის მუდმივ მბრუნავ მორევს. მოსდევს კიდევ ერთი გოლი და შედარებით ნაკლები სიღრმის მქონე ჩანჩქერი. კიდევ უფრო დინამიური ჩანს მესამე გოლი და მასში ჩამდინარე ჩანჩქერი. აქ კვეთა გარკვეული გათვლებითაა გაკეთებული, რომელიც ემსახურებოდა ფლოტაციასთან დაკავშირებული საქმიანობის ნაყოფიერების კიდევ უფრო გაზრდას. ასევე განსხვავებულადაა ნაკვეთი მომდევნო ქვის გოლი #4. წინა მხარეს დაუტოვებიათ კლდის ჯებირი დინების სიჩქარის შენელებისა და მარცხენა მხარეს მიმართვის მიზნით. აქაური მელითონეები მძლავრი მბრუნავი მორევებისა და გოლ-ჩანჩქერების შექმნის დიდოსტატები ჩანან. ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ძეგლის გაგრძელებაზე. პირველ ხანებში გარკვეული მონაკვეთი შედარებით სწორ ადგილზე მოდის. თხელი გოლების არსებობა არც აქ უნდა იყოს გამორიცხული. აქაც გაგრძელდებოდა ზედა ნაკადიდან გადაყოლილი მადნის ნატეხების დაგროვება.

60-70 მ-ის ქვემოთ მორიგი კომპლექსია ოთხი ჩანჩქერისა და ამდენივე აქაფებული მორევიანი გოლის სახით. მათ ემატება ნაკვეთი მაღალი კედლებისა და კლდის მასივში საგანგებოდ შექმნილი მოედნების სახით. გაგრძელებაზე მდინარის კალაპოტი მოქცეულია საკმაოდ ფართო არხში. მაგრამ მაინც მთავარი სიურპრიზი ამ საოცარი ძეგლის ბოლო მონაკვეთში, 40-50 მ ქვემოთ გველოდებოდა.

ირველი დიდი სივრცის მქონე ოდნავ მორკალულ ვერტიკალურ სივრცეში საოცარი ხელოვნებით ნაკვეთია ოთხკუთხა მძლავრი ჩანჩქერი. მისი სიმაღლე 20-25 მ-ია, სიფართოე – 1,2-1,3 მ. არხით კონცენტრირებული წყლის მძლავრი ნაკადი ეცემა, შეიძლება ითქვას, ეხეთქება შუაგულში, უზარმაზარ ქვის გოლში. საფლოტაციო ფართობის გაზრდის მიზნით ძირათან ახლოს საგრძნობლადაა შეჭრილი კლდის მონოლითში. შესრულებულია ფართო მასშტაბის სამუშაოები. სახეზეა ხელოსანთა მაღალი პროფესიონალიზმი. ძეგლი, განსაკუთრებით ბოლო დამაგვირგვინებელი ჩანჩქერ-გოლი წარმოადგენს სახალხო სანახაობას. გოლის ზომებს გვერ ვიძლევიტ. დიდი ნაწილი სილა-ხრეშით იყო დაფარული. მისი ზომები შთამბეჭდავია. სამწუხაროდ, სხვადასხვა მოტივის გამო გრაფიკული ანაზომების გაკეთება ვერ შევძელიტ. დასკვნა ერთია, ძეგლი წარმოადგენს საფლოტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ინდუსტრიულ დონეზე აყვანილ მძლავრ კერას სამხრეთ პონტოსპირეთში.

ჩაიელი (ტაბ.74). ზოგიერთი შეზღუდვის გამო არ მოხერხდა ამ საინტერესო ძეგლის შედარებით სრულყოფილი შესწავლა – მთელი ტერიტორიის დათვალიერება. გარკვეული სურათი მაინც შეიქმნა, მეტალურგიის კერა მდებარეობს ქალაქ რიზეს აღმოსავლეთით, გარეუბან მონდულლუში (ქართულად ცისარტყელას ნიშნავს). თვით პატარა მდინარე

უსახელოა. აქვს ორი შენაკადი. შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ მარცხენა შენაკადის დათვალიერება. GPS კოორდინატებია: N41003 696, E40039 183. მდებარეობს ზღვის დონიდან 155 მ-ზე. დასაწყისთან შემორჩენილია 2-2,5 მ სიმაღლის ყორე. ტიპური. ვერ ვიტყვით რა დროისაა. ადრე აქ წისქვილიც ყოფილა. ყორეზე წყლის ნაკადი გადმოდის. მიმდებარე ადგილები ხის ტოტებითა და ქვა-ღორღით დაფარულია. ადრე მეგზურმა ალი ალიმ მობილურ ტელეფონზე მოასწრო ღორღითა დაფარულ ამ ადგილებში ქვის სამი გობის აღბეჭდვა. ქვის გობი #1 წრიული მოყვანილობის ყოფილა. საკამოდ დახვეწილი ნამუშევარია. ასევე ითქმის #2 და #3 გობების შესახებაც. ზომებთან დაკავშირებით ვერაფერს ვამბობთ. მე-3 გობი უფრო პატარა ჩანს. ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს ქვის გობი #4. მისი გადაღება ამჯერადაც ვერ მოხერხდა. ესეც წრიული შემოწერილობისაა. მარცხენა შენაკადზე სხვა არტეფაქტები არ ჩანს.

საწარმოო კერა გრძელდება თვით უსახელო ღელეში. მეგზურის ინფორმაციით, წყვილი მინიატურული მოყვანილობის ქვის გობები #5 და #6 ბალახოვანი ბუჩქნარის ქვემოთაა მოქცეული. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მდინარის მარჯვენა მონაკვეთი, სადაც თხილნარისა და სკურდიდის მსგავსად, შესანიშნავად იკითხება წალკატის ყველა დარტყმისგან შექმნილი ფოსოების არასრული წრისებრი ქარგა და წყვილი ვერტიკალური პარალელური ხაზი. ამკარაა, რომ აქაც დაუწყიათ #7 გობის ამოტეხვა, გაუვლიათ პატარა ზომის არხებისათვის განკუთვნილი ხაზები, მაგრამ გარკვეული მოტივის გამო შეუწყვეტიათ სამუშაოები. ჩანს, რომ აქაც ხდებოდა ნაკადულების მიერ ჩამორეცხილი ფერადი ლითონის ნამცეცების შეკავება-შეგროვება.

ამის შემდეგ ძეგლის აღწერილობა გაგრძელდა ღელის დინების საწინააღმდეგოდ, ქვემოდან ზემოთკენ. მიემატა კიდევ ერთი ქვის გობი – #8. ესეც პატარა ზომისაა, წრიული. მისგან 4-5 მ ზევით აღმოჩნდა ერთადერთი ქვის გოლი. კონტურები შესანიშნავად იკვეთება. საშუალო ზომის, საკმაოდ ღრმა. ტიპური. მასში ეშვება ოდნავ მიხვეულ-მოხვეული არხი, რომლის თავზე ექცევა მორიგი ქვის გობი #9, პატარა ზომის, წინა ნიმუშების მსგავსად, ესეც წრიული მოყვანილობისაა, ოდნავ ზემოთ, 2 მ-ის მოშორებით, გამოჩნდა კიდევ ერთი ქვის გობი #10. გრძელდება მცირე დაქანების მქონე გაფართოებული კლდოვანი მონაკვეთი. აქვეა მარჯვენა შენაკადის მომადლო ჩანჩქერი. სიმაღლე 3 მ უნდა იყოს. მარჯვენა შენაკადის გაშიშვლებულ ქანებშიც მოსალოდნელია მეგალითური კულტურის ნაშთების არსებობა. მისი დათვალიერების შესაძლებლობა ამჯერად სადაზვერვო ჯგუფს არ მიეცა.

ჩაიელი მეტად საინტერესო ძეგლი ჩანს. როგორც ვნახეთ, შესანიშნავად ნაკეთები გობ-გოლებისა და ჩანჩქერების შემცველი ფერადი ლითონების მსგავსი კერები რიზესა და, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, სამსუნის მიდამოებამდე გრძელდება. აქ არსებითია ისიც, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ქვეყნის მსგავს მიკრო ხეობებში მიზანმიმართული კვლევების განხორციელების კომპეტენციას მოკლებული გახლავართ. სწორედ ამიტომაც, მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ჭანეთის ექსპედიციის ეს ინფორმაცია.

მათ ემატება დღეს უკვე სანახაობებად ქცეული მადნის ფლოტაციასთან დაკავშირებული არაერთი მონუმენტური ჩანჩქერ-გოლები. ყოველივე ეს კი ახლად აღმოჩენილი კულტურის

ფართო მასშტაბებია და ვრცელი არეალის მანიშნებელია.

სადაზვერვო ჯგუფმა დაათვალიერა, აგრეთვე, ტრაპეზუნტთან ახლოს მდებარე საყოველთაოდ ცნობილი სუმელას ხეობაც. მაგრამ მჩქეფარე მდინარეში მეგალითური კულტურის ნაშთების არსებობა არ შეინიშნება. არის არაერთი მძლავრი ბუნებრივი ჩანჩქერი. ერთი რამ აშკარაა. დიდი და მცირე კავკასიონის სამხრეთი ფერდების მსგავსად ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში ისტორიული ჭანეთის ზღვისპირეთსა თუ გორაკ-ბორცვოვან ზონაში მოქმედებდა ფერადი ლითონების მეტალურგიის გამორჩეული კერა, რომელიც სამხრეთულ ცივილიზაციებს აწვდიდა ეკონომიკისა თუ კულტურული ცხოვრებისთვის აუცილებელ ნედლეულს.

ულუბეი (ტაბ. 75). ორდუს შემოგარენი. მეგზურობას გვიწევდა მუჰაჯირების შთამომავალი ბილალ ჩალოღლი – იგივე ჩავლეიშვილი. მანვე გადმოგვცა ბუკლეტი ორდუს შესახებ. ძეგლი ორდუდან 35 კმ-ითაა მოშორებული, მდებარეობს სოფელ ულუბეისთან ახლოს. გზადაგზა დავაფიქსირეთ საინტერესო ტოპონიმები. მაგალითად, გუმიშქოი (გუმიში – ვერცხლი, ქოი – სოფელი-ა.კ.). შეგვხვდა სარფიდერეც (დერე – ხეობას ნიშნავს-ა.კ.). მეტალურგიის კერა მდებარეობს ალრაკდერეს ხეობაში. მოიცავს დაახლოებით 30 მ სიმაღლის მქონე მკვეთრად დაქანებულ კლდოვან-ქარაფოვან ზონას. დასაწყისში საგანგებოდ შეუქმნიათ ძეგლზე მისადგომი პლატფორმის მსგავსი მოედანი. ქვემოთკენ გაგრძელებაზე მოსდევს შედარებით სწორი ადგილები, სადაც რაიმე სახის მეგალითური სამუშაოები არ უნდა იყოს წარმოებული. მწელად მისადგომი მეტალურგიული კერის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ზედა მონაკვეთი, უხეშადაა ჩამოსწორებული დაახლოებით 25 მ სიმაღლეზე. სურათი მკვეთრად იცვლება ძირთან, გოლთან ახლოს. დაახლოებით 4-5 მ სიმაღლის მონაკვეთზე. ეს ადგილები საგანგებოდ ჩანს ჩამოთლილ-ჩამომანდაკებული. ძირთან ახლოს ამოუკვეთიათ საკმაოდ დიდი ზომის გოლი. მოცულობის გაზრდის მიზნით გაუკეთებიათ საკმაოდ ღრმა რკალისებრი შენაჭერი კლდის მასივში. გოლის მარჯვენა მხარეს კლდე-შვერილი პირვანდელი სახითაა მოღწეული. ქვის სამტეხლო სამუშაოები ძეგლის ამ ნაწილში არ ჩანს. ხოლო მარცხენა მხარე ჩამოქცეული ქვის ლოდებითა და ქვა-ღორღითაა შევსებული. ასევე ითქმის თვით ქვის გოლის მიმართაც. მეგზურის ინფორმაციით მისი სიღრმე 2 მ უნდა ყოფილიყო. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მარჯვენა სანაპიროზე გოლიდან დაახლოებით 3-4 მ სიმაღლეზე მელითონებს მოზრდილი თაროც შეუქმნიათ. მისი დანიშნულების შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვამბობთ. არაა გამორიცხული, რომ სწორედ აქედან ხდებოდა გოლში გამოსავლებიდან გამოტანილი ნედლეულის ჩაშვება. რაც მთავარია, ქარაფოვან კლდეს მთელ სიმაღლეზე მიუყვება მძლავრი ჩანჩქერისებრი ნაკადის შემქმნელი საკმაოდ ღრმა (განსაკუთრებით ზედა მონაკვეთში) ქვის არხი. არტახებში მოქცეული წყლის მძლავრი ნაკადი პირდაპირ ეხეთქებოდა ქვის გოლის შუა გულს. შესაბამისად, ქმნიდა მორევისებრ ბრუნვას. ძეგლის მაგალითზეც საქმე უნდა გვქონდეს ფართო მასშტაბის საფლოტაციო სამუშაოებთან. გოლის გაგრძელებაზე მიემატა ერთი მოზრდილი, მეორე პატარა ზომის ქვის გობი და არხი. მომდევნო შედარებით სწორ ადგილებში ხეობა იმდენად ჩახერგილი დაგვხვდა, რომ სხვა სახის არტეფაქტების წაკითხვა ჭირს.

უსახელო მდინარეს მარცხენა მხრიდან უერთდება მდ. თინდერესი. აქაც დაფიქსირდა ღარებისა და ხელოვნურად ჩაღრმავებული ადგილების არსებობა. ერთგან კარგად იკითხება ქვის გოლის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი. სხვა ადგილები აქაც ქვა-ღორღით იყო შევსებული.

ასარლიკი (ტაბ. 76). სამსუნის გარეუბანი. მასპინძლობა და მეგზურობა გაგვიწია მაჭახლელი მუჰაჯირის შთამომავალმა ომერ კოკოტოლლიმ (ძველი გვიანიძეები, სოფ. ზედა ჩხუტუნეთიდან, ე.წ. ხოხოტოლლები). დაინტერესებულია როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე სამსუნისა და მისი მიდამოების წარსულით. დავათვალიერეთ მის მიერ შექმნილი მონეტებისა თუ სხვა ნივთების კოლექცია. უძველესია ქ. ამასიის, ძველი სამსუნის საფასურები (ძვ.წ. IV საუკუნე). გაგვიწია მეტად გულითადი მასპინძლობა. ქ. ორდუდან სამსუნში ჩასვლამდე, ბუნებრივია, დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა ზღვისპირა ზოლი. შეგვექმნა გარკვეული შთაბეჭდილება ამ საკმაოდ ვრცელი არეალის მომცველ გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებით. სურათი გარკვეულად იცვლება. ფაცამდე გამოჩნდა ერთადერთი თითქმის დამშრალი მდინარის კალაპოტი. თვით ფაცაში ორი მდინარე ჩაედინება. სიღრმეში ხეობებიც მოჩანს, სადაც მოსალოდნელია მეტალურგიული კერების არსებობა. ერთი მდინარე ჩერჩემბესთანაც ჩაედინება. შემდეგ ქ. სამსუნამდე გრძელდება ზღვისპირა დაბლობი ადგილები, ენაცვლება გორაკ-ბორცვოვანი ზონა და შორეთით მთიანეთი. ასეა თერმამდე. სამსუნთან ახლოს იწყება შედარებით შიშველი გორაკ-ბორცვოვანი ზონა. ერთ-ერთი შემადგენელი ბორცვის ფერდზე ცხოვრობს ჩვენი მასპინძელი ომერ კოკოტოლლი. ოჯახში საუბრისას წარმოთქვა, რომ ახლომახლო პატარა ხეობაში გვხვდება გახვრეტილი ქვებიო. ბუნებრივია, ეს ჩვენთვის გარკვეული მინიშნება გახლდათ. ამიტომაც მაშინვე გავეშურეთ ინფორმაციის შესამოწმებლად. მართლაც, ჩვენ წინაში მცირე დაქანებების მქონე კლდოვან ქანებში გამოჩნდა მიკრომეტალურგიასთან დაკავშირებული ჩაიელის მსგავსად მეტად საინტერესო ძეგლი. მდებარეობს სამსუნთან ახლოს – ადგილი ასარლიკი, სოფ. თექნებნარი. სირანქოის შუაწელი, გზასთან ახლოს. თვით ხევეს ილანნი დერეს – გველის ხევეს ემახიან. მდინარე სათავეს იღებს ჯანისის, არ გამოირიცხავენ ჭანეთის ტყეებიდან. მეტალურგიული კერის მოზრდილი სივრცე კლდოვანი ფლატეებითაა დაფარული. არქეოლოგიური არტეფაქტები მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული. GPS კოორდინატებია: N410 14 76, E36020 105. სიმაღლე ზღვის დონიდან 65 მ.

აღწერილობა პირველად ვაწარმოეთ ზემოდან ქვემოთკენ წყლის დინების მიმართულებით. დასაწყისში ნაკვეთია ქვის ორი გობი, რომელთაც გვერდში ქვის არხი მიუყვება.

ქვის გობი #1. ოვალური. პირის დიამ. 80X60 სმ-ზე, სიღრმე – 80 სმ.

ქვის გობი #2. წრიული შემოწერილობის. ნაკვეთია პირველი გობის გვერდით, სულ რაღაც 40 სმ-ის მოშორებით. პირის დიამ. 50 სმ, სიღრმეს ვერ ვიძლევი. ამოსაწმენდია.

მკვეთრად გამოხატული არხის სიგრძე 2 მ-ია. მეტალურგიული წარმოების ნაშთების მეორე ჯგუფი დაახლოებით 250 მ-ის ქვემოთ გამოჩნდა. ამჯერად მათი აღწერილობა ქვემოდან ზემოთკენ ვაწარმოეთ. დასაწყისში გაჭრილია ერთმანეთთან დაკავშირებული ქვის ორი არხი. მათთან ახლოს აღმოჩნდა შესანიშნავად ნახელავი ქვის გობი #3. პირის დიამ. 12 სმ, სიღრმე – 15 სმ. უფრო ზემოთ ღელის ორივე სანაპირო გაშიშვლებულია, ამ ადგილებში

ამოუკვეთიან შედარებით პატარა ზომის ქვის გოლი. მისკენ მიმართულია მოზრდილი ჩანჩქერის შემქმნელი ქვის არხი. გაგრძელებაზე ვხედავთ ქვის #4 გობს. წინა პირი გახსნილი აქვს. მისი დიამ. 15-18 სმ-ია, სიღრმე – 15 სმ-დე. ახლომახლო შეინიშნება 10-12 სმ სიფართის ქვის არხების არსებობაც. ნაკვეთია 1-1,2 მ შემადლების მქონე კლდის ქანებში. ჩაედინებიან #2 ქვის გოლში. კონტურები ალაგ-ალაგ კარგად იკითხება. ჩახერგილია უზარმაზარი ქვის ლოდებით. გოლის სიგრძე 5 მ-ია, სიგანის გაზომვა არ მოხერხდა. სიღრმე – 1 მ.

ეს აღმოჩენაც ჩვეთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. დასტურდება, რომ აჭარის მსგავსად, ახალი კულტურის ამ ვრცელ არეალში გავრცელებული ჩანს ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ყველა სახის ძეგლი. რა თქმა უნდა, საერთო სანახაობების გარდა, ჩვენი ჯგუფი შედარებით წვრილ ხეობაში მიმოფანტული არტეფაქტების ძიების უფლებას მოკლებული იყო.

სამსუნის შემდეგ დაზვერვები გაგრძელდა ამასიის მიმართულებით. ანკარის გზით შევეყვით სამსუნის სიმაღლეებს. სურათი აქაც მკვეთრად იცვლება. კვლავაც გრძელდება გორაკ-ბორცვოვანი გაშიშვლებული ზონა. ჰიდროგრაფიული ქსელი მაინც და მაინც არ იკვეთება. 50 კმ-ის გავლის შემდეგ, ღამის გასათევად გავჩერდით ქ. კავაკში. მეორე დღეს გავემართეთ ქ. ამასისკენ. ქალაქს ორ ნაწილად ყოფს მდ. იეშილირმაქი. შთამბეჭდავ სურათს ქმნის კლდეში ნაკვეთი ელინისტური ხანის აკლდამების მთელი პანორამა. ვეწვიეთ საკმაოდ მდიდრული და საინტერესო კოლექციების მფლობელ ამასიის მუზეუმს. ეზოშიც კი ბევრი ნივთიერი კულტურის ძეგლი იყო ექსპონირებული (კაპიტელები, აკლდამები, მრავლად ქვევრები და ა.შ.). თვით მუზეუმის ექსპოზიცია ხალკოლოთით იწყება. საკმაოდ მრავალფეროვანია. მუზეუმის მესვეურთაგან მივიღეთ ორი ფოტოინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ძეგლებთან დაკავშირებით.

ამასია. კაზანკაია. გიუკდერე (ტაბ.77). ადგილი დუნდულუ. GPS კოორდინატებია: (37T) 07 30 350/448 8009. სიმაღლე ზღვის დონიდან 560 მ. ექცევა გორაკ-ბორცვოვან ზონაში. თავიდანვე სურათი მეტად შთამბეჭდავი ჩანდა. უზარმაზარი კლდეების მასივში, შორიდანვე გამოჩნდა გამოქვაბული. ხევი გამშრალი იყო. კლდეების სიმაღლე 100 მ-დე იქნებოდა. ადგილზე მისვლისას მეტალურგიასთან დაკავშირებული რაიმე სახის არტეფაქტების არსებობა არ დადასტურდა. კლდე-ქარაფების ძირი მოსილულია. არც აქ ჩანს ქვის გოლის არსებობის ნიშანწყალი. ერთადერთი რაც შესანიშნავად მოჩანს, ესაა მარჯვენა სანაპიროზე კლდეში ნაკვეთი გამოქვაბული. სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მივაკვლიეთ მეგზურის გარეშე კაზანკაიას ჩანჩქერს, ე.წ. Meşligftigi. ფოტოზე შესანიშნავადაა აღბეჭდილი ვერტიკალურ ქარაფოვან მასივში ჩაჭრილი ქვის არხის კონტურები. აშკარაა, რომ მეგალითური კულტურის ძეგლები ამასიის მიდამოებამდე ვრცელდებოდა. ეს კი ჩვენთვის არსებითია.

ბალიკი (ტაბ. 78). თოქათი. კაზანკაია. მაღალი დონის მასპინძლობა-მეგზურობა გაგვიწია თოქათის უნივერსიტეტის ნატიფ ხელოვნებათა ასოცირებულმა პროფესორმა ქემალ იბრაიმზადემ, მესხების შთამომავალმა. პირველ რიგში დავათვალიერეთ თოქათის მუზეუმი. ჩვენთვის ძალიან საინტერესო. არის ყუამილიანი ცულები, მათი ყალიბები, ოთხკუთხა კორპუსის მქონე ადრეული ბრტყელი ცულები, წყვილშვერილიანი ფიჭვნარის მსგავსი თიხის

სადგრები და ა.შ. აქვე საჩუქრად მივიღეთ ბუკლეტი „თოქათი“. მუზეუმის დირექტორმა მოგვაწოდა ცნობა ბალიკში მეტალურგიული კერის არსებობასთან დაკავშირებით. თვით ჩანჩქერის სახელია Kapli (Cigirt). Kazankaya – ძეგლი, მართლაც, ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. 20-25 მ სიმაღლის ვერტიკალურ კლდოვან ქანებში ჩაჭრილია ჩანჩქერი. სიახლეა ისიც, რომ საფლოტაციო წყლის გოლი თვით კლდის მასივშია ამოკვეთილ-ამოღებული. სიღრმე – 5 მ, ძირთან მოჩანს ხრემის ფენაც. გოლის წინა პირიც საკმაოდ ფართოდაა გახსნილი. არ გამოვრიცხავთ, რომ საჭიროებისამებრ ხის ჯებირის ჩასმით ხდებოდა გოლის ჩაკეტვა. გოლს სიღრმეში რკალისებრი შემოწერილობა აქვს. კონტურები კარგად იკითხება. მისი სიგრძე 8 მ-ია, სიფართე – 5 მ, წინა პირის – 3,5 მ-დე უნდა იყოს. კლდეში ასე ღრმად ჩაჭრილი გოლი ადრე არც იყო აღმოჩენილი, ქმნის ცალკე სახეობას.²⁵

ჩანჩქერის წინაპირის მარჯვენა მხარეს 15 მ სიგრძეზე გარკვეული სიმაღლიდან გაუყვანიათ დაახლოებით 1 მ სიფართის ბილიკი, მასთან ახლოს, დაახლოებით 30 მ-ის მოშორებით, აღმოჩნდა მორიგი გამოქვაბული. შესასვლელის ზომებია 5X3 მ-ზე, სიღრმე – 3,5 მ. მარცხენა მხარეს გარკვეულ სიმაღლეზე ნაკვეთია თარო. როგორც ვიცით, მსგავსი არტეფაქტები სხვა ძეგლების მიხედვითაცაა ცნობილი.

კაპლი. კაზანკაია (ტაბ.79). Kapli (Cingirt). თოქათიდან უკანა გზაზე გეზი ავიღეთ უკვე სხვა მარშრუტის, კერძოდ, გორაკ-ბორცვოვანი ზოლის გავლით კვლავაც ორდუს მიმართულებით. მომალლო ზეგნიდან მოჩანს ერთმანეთთან დაკავშირებული გორები. ალაგ-ალაგ ხევებიც. პირველი შეჩერება გაკეთდა ქ. ნიქსარში – ძველი ნოვოკესარია. დავათვალიერეთ ციხის მიმდებარე ადგილები და ციტადელი. აღმართულია განცალკევებულ მომალლო გორაზე. ქვემოთ თანამედროვე ქალაქია გაშენებული. ციხის კონტროლის არეში ექცევა ვრცელი ტერიტორია. გზის მოზრდილი მონაკვეთის გავლის შემდეგ კვლავ აღმოვჩნდით ორდუს ადმინისტრაციულ ერთეულში. გეგმაში გვქონდა ბუკლეტში შეტანილი ერთ-ერთი ობიექტის დათვალიერება. ძეგლი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. არტეფაქტები განლაგებულია, როგორც ჩანს, ხელოვნურად შექმნილ ორ ტერასაზე. დასაწყისთან, სხვა ძეგლების მსგავსად, შექმნილია მოზრდილი მოედანი. გაგრძელებაზე კლდე-ქარაფებში ჩაუჭრიათ მაღალი არხი. აქაც მისი დასაწყისი გამოირჩევა სიღრმავით. ქვედა გაშლილად ეშვება კლდის ქანებში ნაკვეთ გობში. არხის სიმაღლე 25-30 მ-დეა. მის შუა წელზე თითქოსდა ბილიკებია მიყვანილი. GPS კოორდინატებია: (37T) 033025 452926. სიმაღლე ზღვის დონიდან 901 მ. ქვის გობის პირის დიამ. 0,8 მ-ია, სიღრმე – 0,8-1 მ. ნახევარწრიული – წინა პირი გახსნილია. ქვის გობს დაახლოებით 3 მ ქვემოთ მოსდევს საკმაოდ დიდი ზომის პირველი გოლი. მისი სიგრძე 12 მ-დე უნდა იყოს, სიგანე – 6 მ. სიღრმეზე ვერაფერს ვამბობთ. კონტურების შესანიშნავად იკითხება.

გაგრძელებაზე გარკვეულ სიახლესთან უნდა გვქონდეს საქმე. კერძოდ, პირველი გოლის შემდეგ ჩანჩქერის გაგრძელება იცვლის მიმართულებას, პირდაპირ დინებას. მის

²⁵ 2019 წლის 18 ნოემბერს ჩვენი მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა მდ. აბაშის წყალზე, მარტვილთან ახლოს, მიაკვლია კლდის მასივებში ნაკვეთ არაერთ ქვის არხებსა და გოლებს, რომელიც მომავალი კვლევის საგანი უნდა გახდეს. ძეგლი გამოირჩევა მონუმენტურობითა და მეგალითური სამუშაოების შესრულების მეტად ფართო მასშტაბებით. ამაზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ფოტოილუსტრაციები. აუცილებელი ჩანს საგანგებო აზომვითი სამუშაოების განხორციელება.

წინ მეტალურგებს გარკვეული სიმაღლის ქვის ჯებირ-კედელი შეუქმნიათ. დინება უკვე მარჯვნივკენაა მიმართული, მომდევნო ქვის #2 გოლში, გაშლილ-გაფანტულად ჩაედინება. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს – პირველი გოლიდან გადმოყოლილი მადნის ნაშთების დაგროვება შენელებული დინებისას, ბუნებრივია, უფრო ეფექტური იქნებოდა. მეორე გოლი უფრო დიდი ზომისაა. მისი სიგრძე 20 მ-ია, სიგანე – 8 მ. რა თქმა უნდა, სწორედ ამ გოლში ხდებოდა ფლოტაციაქმნილი ნარჩენების საბოლოო დაძირვა. როგორც ვხედავთ, დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ამ ვრცელი არეალის მომცველ კულტურაში განხორციელებულია ფართო მასშტაბის მეგალითური სამუშაოები. გაგრძელებაზე, შედარებით სწორ ადგილებში, რაიმე სახის ნაშთების არსებობა არ შეინიშნება. ძეგლმა მორიგი სიურპრიზიც შემოგვთავაზა. მეორე გოლის მარჯვენა მხარეს, სამანქანე გზის გასწვრივ, გვერდიგვერდაა განლაგებული, როგორც ჩანს, ქვის ხანის ორი გამოქვაბული.

კაიაბაში (ტაბ.80). ორდუ. კარაულუკი. წარმოადგენს მორიგ შესანიშნავ სანახაობას. მდებარეობს სოფლის ცენტრიდან 12 კმ-ის მოშორებით, GPS კოორდინატებია: (37T) 0390628 45 33 925. სიმაღლე ზღვის დონიდან 407 მ. ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლთაგანია. ჩვენი ჯგუფი პირდაპირ მიადგა მის დასაწყისს. ზედა წელი შედარებით სწორი ადგილების მომცველ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ვრცელდება. ყველგან კლდოვანი მასივებია. თავიდანვე ჩვენი ყურადღება მიიქცია ჩანჩქერის დასაწყისთან ნაკვეთი არხის კონსტრუქციამ. მოზრდილი პლატფორმა-მოედნის შექმნისას მდინარის მარცხენა მონაკვეთზე დაახლოებით 25 მ სიგრძეზე დაუტოვებიათ 1,5-1,7 მ სიმაღლის ჯებირი მდინარის ნაკადის კონცენტრაციის და, შესაბამისად, მძლავრი ჩანჩქერის მიღების მიზნით. არხების საწყისთან გაკეთებულია წყვილი ჩანაჭერი. მათი სიღრმეც საგრძნობია, რაც საწინდარია მძლავრი ნაკად-ჩანჩქერისა და საფლოტაციო სამუშაოების ნაყოფიერების ზრდისათვის. ახლაც კარგად ჩანს, რომ მსგავსი ნაკადები უშუალოდ ეცემოდნენ, ეხეთქებოდნენ ძირში ნაკვეთი გოლის შუა გულს. შესაბამისად, ქმნიდნენ სათანადო ძალისა და სიჩქარის მქონე მორევს. მაღალ დონეზეა ნაკეთები თვით ქვის გოლიც. აქვს გამოკვეთილი კონტურები. ირგვლივი კედლები გოლთან ახლოს საგულდაგულოდ დამუშავებულ-გაპრიალებულია. თვით ხელოვნურად შექმნილი ჩანჩქერი დიდი სიმაღლით არ გამოირჩევა – 7-8 მ. ნაკადი კი – მძლავრია. გოლის მიახლოებითი ზომები უნდა იყოს: სიგრძე – 20-25 მ, სიგანე – 10-12 მ. ეს ადგილებიც საერთო სანახაობათა რიცხვს განეკუთვნება.

მიუხედავად ზოგიერთი შეზღუდვებისა და მსგავსი ეპიზოდური ხასიათის სამუშაოებისა, შედეგები მეტად თვალსაჩინო აღმოჩნდა. აჭარის მაგალითზე ჩვენ მიერ მიკვლეული და შესწავლილი ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული სრულიად ახალი ასპექტების მატარებელი მეგალითური კულტურის არეალი მკვეთრად გაფართოვდა მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე სამხრეთ შავიზღვისპირეთის მიმართულებით. მურღული-არხავედან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ამ კულტურის მატარებელი ხალხების არაერთი ბრწყინვალე ძეგლი. ზოგჯერ უნიკალურიც. მეტად პერსპექტიული ჩანს სადაზვერვო სამუშაოების შემდგომი გაგრძელება. ჩვენ უკვე მივაღებთ ისეთ რეგიონებს, რომელთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ანატოლია დღეისათვის

აღიარებულია მეტალურგიის უძველეს კერად საკაცობრიო ცივილიზაციაში, ხოლო სამხრეთ შავი ზღვისპირეთის გაგრძელება (სინოპა, ჰერაკლეა-ერეგლი, მელენი და ა.შ.) დასახლებული იყო ლითონის არაერთი სახეობის შემოქმედი თუბალების, დრილების, ხალიბების, მოსინიკებისა და სხვა ტომით. ამასთან დაკავშირებით შემოგვენახა საკმაოდ მდიდარი წერილობითი ტრადიცია. ყოველივე ეს ჩვენთვის უკვე ცნობილი მიწისზედა ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვითაც უნდა დასტურდებოდეს. 1990 წლისათვის სტუმრად ვიყავით მელენში, წარმოშობით მირვეთელ ჰილმი დიასამიძის (ახლა გორენი) ოჯახში. იგი გახლდათ თხილის პლანტაციების მფლობელი. გაგვიყვანა ვრცელი ბაღების დასათვალიერებლად. გავხდით მეტად საინტერესო აღმოჩენის მოწმენი. დიდი ტერიტორია, დაახლოებით 70-მდე ჰა, მიმოფენილი აღმოჩნდა მეტალურგიასთან დაკავშირებული წიდეების გროვებით, საქმენი მილებითა და ქურის შელესილობის ნატეხებით. ამ ადგილებს „ქომურ ოჯახს“, ე.წ. ნახშირის ბუხარს უწოდებენ. სვანეთის მსგავსად, გრანდიოზულობით მელენს პარალელი არ ეძებნება. ამას ემატება ისიც, რომ ძეგლის ტერიტორია მიმოფენილია მიწისზედა შედარებით პატარა ზომის ყორღანული სამარხებით.

ქვევრები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან შედარებით თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი, შავი ზღვის სანაპირო გაცილებით ცუდადაა შესწავლილი. ეს განსაკუთრებით რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილს ეხება (დღეისთვის არსებულ ლიტ-დან იხ. კახიძე, 2002a; მამულაძე, კახიძე, 2014; Максимова, 1956; Карпов, 2007).

აჭარის ტერიტორიაზე ბოლო დროს განხორციელებული კვლევები შესაძლებლობას იძლევა განვახორციელოთ პარალელური კვლევა თურქეთის ანალოგიურ ძეგლებზეც. ინტერესი კიდევ უფრო იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლური ცივილიზაციის ერთი ნაწილი ექცევა თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში, მეორე ნაწილი კი, მხედველობაშია კრეტა-მიკენისა და ძველი შუამდინარეთის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობა, ჩნდება ჩვენი არქეოლოგიური გათხრების ობიექტებზე. დასტურდება, რომ ახალი ქვის ხანიდან წინა პლანზე წამოიწია მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლის ისტორიულმა პროცესებმა, მიგრაციებმა, გამრავლდა მეტალურგიის უძველესი კერები. ზოგადასაკაცობრიო კულტურათა კვლევა მეტად აქტუალურ, გლობალურ პრობლემად იქცა.

მრავალრიცხოვან ასპექტთა შორის ამჯერად გამოყოფთ გვიანანტიკური და ადრეიზანტიური ხანის სამეურნეო კერამიკის საინტერესო ჯგუფს ქვევრების სახით.

პირველად ჩვენი ყურადღება მიიქცია ჩაქვის ჩაისუბნის (შუამთის უბანი) შემთხვევითმა აღმოჩენებმა. 2012 და 2017 წლებში ორგზის განვახორციელეთ სავსე სამუშაოები. სულ აღმოჩნდა 5 ქვევრი (ტაბ. 81/1-2). აქვთ მეტად მასიური სამკუთხაგანიკვეთიანი პირი. ზედა კალთის სიფართოე 7 სმ-ია (ერთგან ნაკაწრია გრაფიტო E). ფართო ყელი ტანისგან არაა მკვეთრად გამოყოფილი. კორპუსი კომისებრი, ქვედა ნახევარი – ნახევარსფეროსებრად მომრგვალებული, ძირი – დისკოსებრი, მკვეთრად გამოყოფილი. ყელს დასაწყისთან შემოუყვება წიბოებიანი ოვალური ჩაღმავეების მქონე ერთმანეთთან დაკავშირებული დიდი ზომის ჭდეების ჰორიზონტალური რელიეფური ზოლი. ყელის დანარჩენი ნაწილი და კორპუსის ზედა შვეიწროებული მონაკვეთი დაფარულია მჭიდროდ განლაგებული მკვეთრი

წიბოების მქონე ჰორიზონტალური ღარებით (ღარების სიფართო 2 სმ). ვხვდებით შემკობის სხვა მოტივებსაც (კახიძე..., 2013: 227-228).

უფრო დიდი ზომის მეორე სახეობის ქვევრის პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანია. მაღალი. ძირი დისკოსებრი. პირის გარეთა კალთაზე ერთგან მოცემულია მკვეთრწიბოიანი ფოსოების ერთმანეთთან დაკავშირებული ჰორიზონტალური ზოლი. ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ მომდევნო ზოლი უწყვეტად არაა ერთმანეთთან მიერთებული. ღარების ჰორიზონტალურ ქედებზე ვხედავთ ურთიერთდამორებულ სამ, ორსა თუ ერთ ნათითებრ ჭდეებს. ტანის დმ 1,5 მ. ამ ქვევრის მსგავსი ნატეხები 2012 წელს შევაგროვეთ არხაბეს ციხის ტერიტორიაზე (თურქეთი) (ტაბ.81/3-5). ისინი ანალოგიური ჩანან როგორც პირის მოყვანილობის, ასევე, სამკაულის მიხედვითაც (კახიძე..., 2013:227-228).

ფორმის, ზომებისა და, გარკვეულად, შემკობის მიხედვით ჩაისუბნის ამ ქვევრთან გარკვეულ სიახლოვეს პოვებს 2017 წელს თოდოგაურში ეზოს გაფართოებისას გამოჩენილი ქვევრი, რომელსაც ზემოდან ეფარა თითქმის 1 მ სისქის ჰუმუსოვანი ფენა. თვით ქვევრი ჩადგმული იყო მკვირვ მოწითალო ფერის თირის ქანში. ორმოს სიღრმე 3 მ-მდე იყო. ქვევრი ქმნის სრულიად ახალ სახეობას. აქვს მომაღლო, ცილინდრული, მასიური ძირი. ტანი, რომაული ქვევრების მსგავსად, სფერული შემოწერილობისაა. მხრები დაქანებული, ყელი დაბალი, პირი ოთხკუთხაგანივკვეთიანი. ტანის ზედა ნახევარი, უფრო მხრის არე, შემკულია სიმეტრიულად განლაგებული 3-4 სმ-ით დამორების მქონე რელიეფური ქედებით. საინტერესოა, რომ რამდენიმე მკვეთრად დამორებული (20 სმ) წყვილი ქედი შემოუყვება ტანის ქვედა ნახევარზეც. სიახლეს იჩენს შემკობის სხვა მოტივებიც. ყელთან ახლოს ვხედავთ მკვეთრად გამოხატული წრეების ორ არასრულ რიგს. ერთ-ერთი დატანილია ყელთან ახლოს, მეორე – მხრის არეში. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ამ რიგების ქვემოთ დამტამპულია სამკუთხედად განლაგებული სამ-სამი წრე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამკაულის ეს მოტივი ყურძნის მტევნის სქემატურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს, რაც სიახლეა ჩვენი სინამდვილისათვის. კეცი ყვითელი ფერის, წვრილმარცვლოვანი. შესანიშნავად გამომწვარი. ზომები: ძირის სიმაღლე – 4 სმ, დმ 11 სმ, ტანის დმ 1,21 მ, სიმაღლე 1,45 მ, პირის დმ 35 სმ. განეკუთვნება მაღალმატვრულ ნაკეთობათა რიცხვს.

ჩაისუბნის ზემოთ აღწერილი პირველი სახეობის ქვევრის უშუალო ანალოგს წარმოადგენს ტრაპიზონში, აიასოფიას ტაძარში დაცული მთლიანი ქვევრი (ტაბ.82/1). მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ ქვევრი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრ სინოპშია აღმოჩენილი. მისი სიმაღლე 1,67 მ-ია. პირის გარეთა კალთა სამკუთხაგანივკვეთიანია. ქვემოთ შემოუყვება დიდი ზომის ჭდეების ჰორიზონტალური რელიეფური ზოლი, ხოლო მაღალი ყელისა და დაქანებული მხრების არე მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური ღარებითაა დაფარული. ძირი ცილინდრული, მომაღლო. ერთგვაროვანია ორივე ქვევრის კეცი. ეჭვარეშეა, რომ ჩაისუბნისა და სინოპეს საღვინე ჭურჭელი ერთ საწარმოო ცენტრშია დამზადებული. არაა გამორიცხული, რომ ასეთი თვით ქალაქ სინოპე ყოფილიყო (კახიძე..., 2013:227-228).

ყურადღებას იქცევს ტრაპიზონის მუზეუმში ექსპონირებული მთლიანად დაცული სამი

ცალი ქვევრი (ტაბ.82/2). ისინი უფრო ადრეული ჩანან – ახ.წ. III-IV სს. ერთ-ერთი მათგანი შედარებით პატარა ზომისაა. ფორმის მიხედვით მსგავსია ჩაისუბნის ქვევრების. ოღონდაც, მასზე ჰორიზონტალური ღარები არაა დატანილი. შემკულია მხოლოდ და მხოლოდ ჭდეების ორი რიგით. უფრო დიდი ზომის ჭდეების პირველი რიგი მიუყვება ყელის ქვემოთ, მეორე – ტანის არეში.

შედარებით დიდი ზომისაა მომდევნო ქვევრები. აქვთ ოთკუთხაგანივკვეთიანი პირი, დაბალი ყელი, სფეროსებრი ტანი, მომალლო ცილინდრული ძირი. ერთ-ერთ მათგანს ყელთან ახლოს შემოუყვება პირველ ქვევრთან შედარებით უფრო პატარა ზომის ჰორიზონტალური ჭდეების უწყვეტი რიგი. მესამე ქვევრს კი – ჭდეების ორი რიგი. მათ შორის ყელის არეში დატანილი ჭდეები უწყვეტია, მეორე რიგში სიმეტრიული დაშორებით გამოსახულია ხუთ-ხუთი ჭდე. პირველი ქვევრისგან განსხვავებით ორივეზე მოცემულია მჭიდროდ განლაგებული ღარების ორნამენტი. ისინი აღმოჩენილია ტრაპიზონთან ახლოს, ოფში (კახიძე..., 2013: 227-228).

ოფის მსგავსი და თანადროული ქვევრები გავრცელებული ჩანს აჭარის ზღვისპირა თუ გორაკ-ბორცვოვან ზოლში. მათ რიცხვს განეკუთვნება 2010 წლისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში 1964 წელს ოქროს ნივთების აღმოჩენის ტერიტორიაზე საფლავის გაჭრისას აღმოჩენილი ქვევრი (ტაბ.83/2). პირი მაღალი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ყელი ფართო, ტანი მომრგვალებული, ძირი ცილინდრული. მხრის დასაწყისს შემოუყვება მოზრდილი ჭდეების ჰორიზონტალური რიგი. მოსდევს ღარების არც თუ ისე ფართო სარტყელი. საინტერესოა, რომ ურთიერთდაშორებული ჰორიზონტალური ქედების სამი რიგი, თოდოგაურის ქვევრის მსგავსად, ტანის ქვედა ნახევარზეც აქვს შემოვლებული (კახიძე...2017: 25-34). თანადროულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩელტაში ასევე შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი, რომელიც გადმოტანილია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში. სიტყვას აღარ განვაგრცობთ სხვა მონაპოვრების შესახებ. ჩანს, რომ იმპორტული ქვევრების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ფორმათა უმნიშვნელო ცვლილებითა და კიდევ უფრო გამდიდრებული ორნამენტაციის მოტივებით საღვინე ჭურჭლის ეს ფორმა არსებობას განაგრძობს ადრემუასაუკუნეებში. ეს კარგად ჩანს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავის მაგალითზე (ტაბ.82/3; ტაბ.83/1). ერთი ნაწილი ადრემუასაუკუნეებისაა (კახიძე...2017: 30, ტაბ.XV/2;XVI/1; XVIII/2; XX2;XXI). ისინი მსგავსია 2012 და 2017 წლებში ჩაქვის ჩაისუბანში მოპოვებული ქვევრებისა, რომელიც წინასწრულად გვიანრომაულ-ადრებიზანტიური ხანით თარიღდება (კახიძე..., 2013: 228, ტაბ. XXI/1,2). საქართველოში მსგავსი ქვევრები ადრე უცნობი იყო.

ამფორები (ტაბ. 84). გირესუნის მუზეუმში დაცული ანტიკური და ადრემუასაუკუნეების მრავალრიცხოვან ამფორათა შორის გვხვდება ყავისფერთიხიანი, წელშეხეილი ამფორების შვიდი ნიმუში. ამათგან ორი ამფორა ექსპოზიციამაა გამოფენილი. სიმაღლე 70 სმ. თიხა ყავისფერი, შეიცავს თეთრ, ყავისფერ და პიროქსენის მსხვილ ნამცეცებს. აქვს პროფილირებული პირი, დაბალი, ვიწრო, ცილინდრული ყელი. პატარა, ბრტყელგანივკვეთიანი სწორი კუთხით მოხრილი ყურები. ვიწრო, წაგრძელებული, ქვედა ნაწილში შეხეილი კორპუსი და კონუსური ქუსლი. ამ ტიპის ამფორებისათვის დამახასიათებელია ზედაპირის დაღარვა

წრიული მსუბუქი ღარებით. წელშეზნეილი ამფორების ეს სახე ახ.წ. V ს ყალიბდება და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ახ.წ. VI-VII სს. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესაბამისი პერიოდის ძეგლებზე, რაოდენობრივად გაცილებით სჭარბობენ კერამიკული ტარის სხვა სახეს (ხალვაში, 2002: 20.) და, ძირითადად, კოლხურ პროდუქციასაა მიჩნეული. ნაპოვნია ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც. სამხრეთ შავიზღვისპირეთში, გირესუნის გარდა ანალოგიური ჭურჭლები დაცულია სამსუნის და სინოპის არქეოლოგიურ მუზეუმებში. ერთი ცალი წელშეზნეილი ამფორა ნაპოვნია ბაფრაში, რომელიც ამასიის მუზეუმში ინახება. თიხების ანალიზის მიხედვით ფიქრობენ, რომ აქ აღმოჩენილი ამფორები კოლხურების მიხედვით ადგილზევეა დამზადებული, შესაბამისად მათ „ფსევდოკოლხურ“ ამფორებს უწოდებენ (Kassab-Tezgör, Akkaya, 2000: 127-141).

როგორც ვხედავთ, ადრეული და უახლესი მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ გრძელდება ღრმა ისტორიული ფესვების მქონე კონტაქტები სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობებს შორის გვიანანტიკური და ადრეშუა საუკუნეებისათვისაც.

დასკვნა

მოკლედ, ესაა ცენტრალურ ჭანეთში დღესდღეობით შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (საფორტიფიკაციო, საკომუნიკაციო, საკულტო, საყოფაცხოვრებო ნაგებობები, აგრეთვე მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები) მოკლე აღწერილობა. ამ მრავალფეროვანი მასალიდან ძალზედ ჭირს ქართული სამყაროსთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთა. ყველაზე უფრო მეტად ამ მხრივ მაინც საფორტიფიკაციო ნაგებობები, განსაკუთრებით ჰინტერლანდში განლაგებული ციხეებია აღსანიშნავი.

მათ არქიტექტურაში შესანიშნავად იკვეთება სხვადასვა პერიოდის სამშენებლო დონეები, რომელთა გამოჯვანა-დათარიღება ჩვენი კვლევების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

გამოსაყოფია ხარშიტის ხეობაში მდებარე ბოდრამას (პეტრას) ციხე, შაბან-კალესი, სუტაშის ციხე. ჩანს, რომ ხეობას უკვე ადრეობიანტიური ეპოქიდან მაინც ჰქონდა ერთ ჯაჭვზე ასხმული თავდაცვის სისტემა ზღვის სანაპიროდან ხეობის სათავემდე. მსგავსი სისტემა ფუნქციონირებდა შუა საუკუნეების საქართველოში. ზემოთ ხსენებული ციხეების არქიტექტურული თავისებურებები და ჩვენს მიერ ახლახან მოყვანილი არგუმენტები გვაფიქრებინებს, რომ ისინი თავის დროზე ადგილობრივმა მოსახლეობამ ააგო.

პრაქტიკულად იდენტურია გუმუშხანეს რეგიონში განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემაც. მას მდ. პრიტანისის (თან. დელირმენდერე) აყოლებაზე სერიოზული საფორტიფიკაციო ხაზი იცავდა. ყველაზე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც ამ რეგიონის ცენტრად აღიქმებოდა იყო ზიგანას ციხე-სიმაგრე, რომელიც აკონტროლებდა მისივე სახელობის უღელტეხილს. ამ უღელტეხილით დელირმენდერედან ხარშიტის ხეობაშიც არის გადასასვლელი, მაგრამ, ბუნებრივია, უშუალოდ ციხემდე აქ სასიგნალო ციხე-კოშკების მთელი წყებაა: განტოპედინი/ლაბრა/ზანხა-კალე, პალეოკასტრონი (ჰამსიკოი).

ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება, მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი. ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა.

მომდევნო საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემა იწყება თორულიდან (ძვ. არდასა, მეზოხალდია?), გრძელდება ჯადაჯას ციხით, იქი-სუს (დიპოტამოსი) კოშკი, გოდაინის ანუ გუმუშკაიას ციხე, გოლახას (კოლაშანის) ციხე და ბაიაანა.

იქი-სუს ციხიდან 500 მ-ში მდებარე პუმბულას (თან. ოვუნდუ) ეკლესია ადრეული ნაგებობა არატიპიურია რეგიონისთვის და უფრო ქართულ საეკლესიო არქიტექტურას მოგვაგონებს. მსგავსი ნაგებობები ქალდეაში სხვაგანაცაა, მაგ. ქეჩი-კალე და ლერი. პარალერები დასტურდება აგრეთვე ტაოში, განსაკუთრებით აღსანიშნავია თორთუმთან ახლოს, კისა ქოიში განლაგებული ეკლესია (Bryer, Wienfiled, 1985: 308).


რეგიონის ცენტრალური საფორტიფიკაციო სისტემა განლაგებულია გუმუშხანეში, იგივე ჭანიხაში. საინტერესოა, რომ ამ პუნქტზე ცნობები მარკო პოლოსთანაცაა შემონახული (1294 წ). ჭანიხას ის არგირონად მოიხსენიებს და აქ კარგ ვერცხლის საბადოებზე საუბრობს (Yule, Cordier, 1929: შენ. 46 და 49). გუმუშხანეს აღმოსავლეთით, ბაიბურთისკენ მიმავალი

გზის ჩრდილოეთით განლაგებულია ქეჩი-კალე. არაა გამორიცხული ის მიქაელ პანარეტოსის მეზობალდიას (Chron., 24) შეესაბამებოდეს. ტ. სინკლერი, რომელიც ციხის გადარჩენილ კედლებს XIV ს ათარიღებს, არ გამორიცხავს, რომ მისი აგება ბიზანტიელების მოსვლამდე მომხდარიყო (Sinclair, 1989: 13). ბუნებრივია, დამპყრობლებამდე ციხეების მშენებლობა ადგილობრივების მიერ ხდებოდა, რაზეც პირდაპირ საუბრობდა პროკოპი კესარიელი ჩვენს მიერ ჯერ კიდევ შესავალში ციტირებულ წყაროებში.

ადგილობრივი ელემენტების კვალი ასევე ჩანს სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებში. თუმცა, აღმოსავლეთ ჭანეთთან შედარებით ადგილობრივი ელემენტი აქ უფრო ნაკლებადაა თვალში საცემი. განსაკუთრებით, ეს საკომუნიკაციო ნაგებობებზე ითქმის. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ლაზური საყოფაცხოვრებო არქიტექტურის თავისებურებები რომაულ-ბიზანტიური ხუროთმოძღვრების გავლენებითაც იყოს განპირობებული, თუმცა ეს მომდევნო კვლევების საგანი იქნება.

Summary

Central Tzanika, Chaldia,²⁶ which basically corresponds to the Gumuşhane region located to the northeast of the Republic of Turkey, though the historically Chaldia was naturally in a much larger area and covered Trapezus, Değirmendere and Harşit valleys. Thus the Tzani²⁷ had been one of the numerous peoples who had settled the country known as Khaldia in more ancient times, and, with the growing political importance of the Tzani in the 7th century, the entire country became known as Tzanika. A little later, in the 8th century, the ancient name was revived, and we know that at the time of the division of the Theme of Armeniakōn, one of its part received the name of Khaldia.



Southeastern shore of Black Sea by Zviad Chkhenkeli

²⁶ Strabo, quoting the Homeric passage, suggests that the Halizonoi were the ancient Chalybes known as Chaldaei in his own time. Strabo is even inclined to correct the Ἀλύβης of Homer into Χαλύβης (Strabo, XII, 3,19-20; Homer, *Iliad*, II, 856). The two names are grammatically equivalent (Adonz, 1970). The variant forms may perhaps indicate different regions settled by these peoples, or else, different periods in their history reflecting the influence of the Colchians and of the Armenians respectively. Pliny refers to those Chalybes who were neighbours of the Armenians as Armeno-chalybes (NH, VI, 4, 29). Stephanus of Byzantium says “Χαλδία χώρα τῆς Ἀρμενίας” (p. 680).

²⁷ Procopius found Tzani “settled on Roman territory” but still enjoying freedom (BP, I, 15, 19). The Tzani were finally conquered and forced to recognize the imperial authority only under Justinian. Procopius mentions a number of cities there and new fortifications (*Aed.* III, 5, 1): “For the Tzani...are neighbours of the Armenians”, and Schamalinichōn, where Justinian built the first church for the newly converted Tzani, lay in this region (6, 1). “It happens that a certain point in that land forms the meeting-place of three roads; for the boundaries of the Romans and the Persarmenians and the Tzani themselves begin here and extend from this point. Here he constructed a very strong fortress which had not existed previously, Horonōn by name, making it the mainstay of the place of the region. For the Romans were first able to enter Tzanica from that point” (15-16). Two day’s journey from Horonōn lay the stronghold of Chartōn in the land of the Okenitan Tzani, who were one of the many Tzani tribes. East of Chartōn, opened a steep gorge leading northward to the fortress of Barchōn (20). Still further north, on the slopes of the mountains, were the folds where the cattle of the Okenitan Tzans were sheltered at night, and their pastures. Beyond the foothills of the mountain, where the place called Cena lies in the level country, as one goes approximately westward there is a fort named Sisilissōn;... And as one goes on from that fort, there is a certain place on the left, toward the north, which the natives call Longini Fossatum because in earlier times Longinus, a Roman general, an Isaurian by birth, had made an expedition against the Tzani on one occasion and built his camp there. In that place this Emperor built a fortress called Bourgousnoes, one day’s journey distant from Sisilissōn... From there begins the territory of the Coxyline [Koxylinoi] Tzani, as they are called; and here he has now made two forts, one called Schamalinichōn and other is the one they call Tzanzacōn (22-26).

Fortification. Like to eastern part of historical Tzanika, there were two systems of fortification: seaside (figs 1-10) and internal (figs 11-47) existed in central Tzanika as well.

Trapezus, modern Trabzon had an important role in the Black Sea region due to its geographical location. During the Roman's ruling time, it became an important city, as it enabled connection with Armenia and Euphrates lowland. During Emperor Vespasian's ruling, new roads leading to Persia and Mesopotamia were built, and Adrian declared Trapezus as capital of the province and arranged a port as well. There was located the Black Sea naval fleet and the city was the main supply centre for Roman soldiers deployed in the Black Sea region. It was also the last point on the military road leading to Syria and Euphrates. The old fence of the city fort is still preserved (Mitford, 2018: 385-386).

Generally, the Trabzon fort was divided into three parts: the lower, middle and upper fort. At present there is a modern construction area with multi-storey residential houses on the territory of upper fort. The upper fort had been collapsed in the 17th century AD. In some places are remained a western part of the wall built by Alex II (1297-1330) at the time of the Trebizond Empire. Remains of Roman fence, layer of the 1st-2nd centuries AD are observed in some spots, as well (Mitford, 2018: 387).

Remains of the fence wall of the Roman period are very well preserved at the lower fort area. At present, there is one of the most crowded Trabzon areas, Iskender Pasha District. The fort plan has been made relevant to the terrain and is inclined from the southeast to the northwest. At this section of the lower fort, the tower of the rectangular plan is included in the central part of the fence. The maximum height of the tower and the fence walls is 8-10 m. There is observed two construction periods: lower, Roman period and upper, later periods. Most part of the walls of the fence preserved up to date belong to The Middle Ages, but the old Roman construction period is well noticed, as well. The fence wall assembly of the Roman period is basically horizontal and is built with well-processed flattened stones. This is especially visible in the corners of the fence. In the later period, this structure was disregarded and has been obviously changed. Initially, the fence wall could reach to the north, to the harbour established by Adrian. It seems that the port had the same location as it has at present. Parts of the survived fence walls are used as walls of residential houses, and the other part is located in the military zone. Therefore, its complete description is impossible.

To the west of Trabzon, in about 11 km distance from the Yoros Cape, before arriving to the town of Akçaabat (former Hermonassa, Platana), is located **Akçakale**. According to several of authors (Ruge, 1922: 1373, s.v. Kordyle; Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105). it is identified with Kordyle I. (There is another Kordyle as well, to the east, close to Pazar; on issue, see: Mamuladze, Kakhidze, 2014: 35-36). This point first mentioned by Arrian (PPE, 24) and occurs in the later sources as well (Ptol. V, 6, 6; Anon., PPE, 36; Peut. Tab. X, 3).

The fort is built on the right side of the highway connecting Trabzon to Giresun on the peninsula shape hill, which is protruding to the sea. It is a quite big structure. The plan of the fort is defined by the configuration of the hill. Its large part is pretty well preserved so the plan is perfectly readable. The north and partially west fence wall are especially well preserved. The maximum pre-

served height of the fence walls in some places is 12-15 m. The south and the east sections of the fence are less preserved. The entrance occurred to be in the last section of the west part of the fence.

Two square plan tower, inserted in the fence walls are still preserved. The first one is inserted to the northwest section of the western wall. It is quite well preserved. Its maximum height is 12-14 m. The entrance to the tower is located in the central part of the interior. According to the preserved measures, it was three-storey. Each floor had its entrance door, which were located on one line. On the second floor there were up to seven observation niches and windows. In the walls of the tower are inserted niche used for between-floor poles.

Rectangular shaped tower is inserted to the western section of the north wall. Its size is relatively small. Outer three walls are much better preserved. The internal side is demolished to the foundation level. The maximum height of the walls varies between 4-7 m. Well processed, medium sized stones are used in the arrays of walls. The line-up is horizontal. Adjoining spots of tower with the fence walls is especially well thought out. There is used different size well processed longitudinal squares. The thickness of the fence walls is 1 m. The fort, based on its favourable strategic location, takes control over the sea and vast terrestrial space. In some arrays of the fort fence there are identified walls of the early Byzantine era. As for the main part it should be built later.

Remains of structures are not identified during surface surveys in the territory of the fort. It seems that, in recent years, Turkish archaeologists have conducted small-scale excavations in the northeastern section of the fort. Surficial materials, which we have had collected include a flat, folded solenoid tile, amphora and fragments of various vessels. Observing this material, we think that the earliest layers of the fort are dated to the 6th-7th centuries AD.

Gelida/Klita Kalesi situated to the east of Yalıköy and to the west of Yoros Cape in about 10 km distance, close to modern Kale Köy, earlier Makrimanos. (<http://acikerisim.giresun.edu.tr/xmlui/bitstream/handle/123456789/359/EVL%C4%B0YA%20%C3%87ELEB%C4%B0%20SEYAHAT-NAME%C4%B0NDEN%20.pdf?sequence=1&isAllowed=y>; http://atom.doaks.org/atom/uploads/r/image-collections-and-fieldwork-archives-dumbarton-oaks-research-library-and-collection-2007-present/5/5/55415dc4a4d0ab466c5293e643a32b9343b35fd5b2119b2c8a15443468b9c8b4/doaks_icfa_PHBZ001_inventory.pdf). On the “Digital Map of Rome Empire” (<http://dare.ht.lu.se/places/29563.html>). it is referred as Kerasous, Sinopes’ colony (Kacharava, Kvirkvelia, 1991: 127). A number of authors (Hamilton, 1842: 158; Leper, 1908: 314; Ruge, 1922, s.v.Kerasus; Maksimova, 1956: 72-73; Hind, 1969; 68). relate Kerasous with Fol Pazar, modern Vakfikebir. By another part of historians Kerasous is referred to the modern Giresun (Kacharava, Kvirkvelia, 1991: 127). Byzantine sources of 5th-6th centuries AD noted that two Kerasous were existed at the same time (Drakoulis, 2012: 86). According to the number of authors (Bryer, Winfield, 1985: 158; Sinclair, 1989: 105). still are not identified urban areas near the fortification and it should have purely military assignment. In our point of view, definition of “Catalogue of Ancient Ports and Harbours” completed in 2016 by the “Ancient World Online” electronic resource, the AWOL Index (ISSN 2156-2253) should be more precise, where Kerasous (No. 2731) is placed on the coast of the river of Kerasoun Dere Su, close

to Kirazlik, to the west from Yalıköy, at 3,5 km distance. (<https://www.ancientportsantiques.com/the-catalogue/bosphorus-black-sea>). As for Gelida fort, it should have control over the approaching routes to that settlement (Sinclair, 1989: 105).

This structure is located on a favourable geographical area. It is surrounded by a crescent shaped hill system. From the seashore is spread a quite extensive space. The sea creates a quite large gulf of semi-circle shape, appropriate to the terrain, which should be favourable for the harbour. It is also interesting that both endings of the old Giresun crescent shaped space are protected and well preserved in the well-chosen area, with forts built on the rocky boulders that are protruding to the sea: from the south is the Eynesil Kalesi, and to the north Kale Köy.

Gelida Kalesi is a typical small fort, tower. It is built on the rocky boulders that are protruding to the sea to the north of the old Giresun Gulf. It is a relatively small size structure.

Observation of the fort shows that remains of original foundation were preserved on that place as well, which were later restored. The fort is protected by the sea from three sides (except the south). The only central access is located to the south. Along the entire rock a fence wall had been built. In the extreme southeast section was inserted steps, entering to the interior space of the fort, which enabled entrance to the first terrace. The gate was protected by the small tower of the rectangular plan (dimensions: 2,5x3,2 m).

The part of the western wall is partially preserved, with its total length of 24.10 m. Original remains of the fort are relatively well preserved to the north side of the fort, its length is 22.60 m. As for the eastern fence wall, its length is 12.5 m and the length of the south wall is 14 m, which is destroyed to the foundation level. The length of the inner space is 22.60 m, width 19 m, wall thickness 1,10 m. The internal space of the fort is presented in two terraces. There are not confirmed remains of old structures. It is possible, that they were covered with tiles paved during the “conservation”. The first and the second terraces were separated from each other by a transverse wall, with the currently preserved length of 19 m.

From the first terrace there is way to down to the second one with the stairs. In the extreme northwest corner of the second terrace there was and still is preserved stairs inserted in the fence wall, which was used to go down to the sea or vice versa. It was guarded by the tower of a square plan, three sides of which are still remained.

There is a little stream passing down to the west side of the fort located on the way from the Vakfikebir to the Trabzon. The fort is built with medium size flattened-sided stones. The line-up is horizontal. It is not excluded that it was built in early Byzantine era (Bryer, Winfield, 1985, fig. 33; Sinclair, 1989: 105).

Çesmeönü Kalesi dated to middle or late Byzantine era (Sinclair, 1989: 105). is located to the east at the distance of approx. 8 km from the Görele Cape should be complies with Yavabolu/Yobol, ancient Libiopolis, which is mentioned by Pliny (NH, VI, 11) for the first time. Hitherto it was not precisely identified and mainly was placed in Vakfikebir or further west. (Kacharava, Kvirkevelia, 1991: 153-154), According to the AWOL Index mentioned place is Cesmeönü Kalesi

which is located at the Beşikdüzü Liman “Digital Map of Rome Empire” drafted in 2015 by the Lund University, Sweden refers Yuvabolu (should be Yavabolu) instead of Çesmeönü (<http://dare.ht.lu.se/places/29563.html>). Actually, mentioned toponym is nearby, to the west of Beşikdüzü, at the distance of approx. 5 km On (<http://www.besikduzu.bel.tr/besikduzu>;<http://www.sanalfotograf.com/besikduzu-kaleguney-kalesi>)

The fort is located on a small cape, to the west of the river of Akhisar in 1 km distance. Fortification is almost destroyed to the ground but remains can be still identified. Rubble walls, thickness of which are 1 m, are built in regular array and are welded with the mixture of mortar, pebble and ceramics. There traced remains of two square shaped towers, which probably were guarding the gate. To the east of the cape are identified pithos like cuts, which are filled with pebble. Its depth is 2 m and diameter: 1.5X2.0 m. It should be a tank or a storage for crops. Some authors suggested that the St. Basil’s church columns must be transferred from Yavabolu (? Libiopolis) which relates later site to the Classical times. The fort itself is dated by the middle Byzantine or Trebizond Empire times (Bryer, Winfield, 1985: 157-158; Sinclair, 1985: 105).

Eynesil Kalesi is located close to town of Eynesil. It is assimilated to ancient Koralla (Görele), which at the beginning was confirmed by Arrian (PPE, 24) and correspondently was repeated by Anonimus (PPE, 36). Pauly-Wissowa imputes the object on Görele Cape, which is located 30 km away on east from modern town of Görele (ancient Philokalea) (Ruge, 1922: 1373, s.v. Koralle). We are confirming a fort, which to this day is known as Eynesil fort, but the fort of Görele also is known (<https://www.ancientportsantiques.com/the-catalogue/bosphorus-black-sea/NB2733>). Natela Kechakmadze puts it with small settlement of Fol (Kechegmadze, 1961: attached map: Fol Pazari situated on river of Fol Deresi, modern Vakfikebir) though the etymological union of Koralla and Görele is more persuading (Bryer, Winfield, 1985: 153-159; Sinclair, 1989: 105).

The fort is built on the headland, the old name of which is Koralla, and was later renamed to Görele. The area of the fort is connected to the ground by a narrow channel. Seems it was a large building. According to the written sources was destroyed by the Trabzon Pasha in 1811 (Sinclair, 1989: 105). Its plan was defined by the rocky hills. According to the observations, old remains were still on place before the restoration. Original aspect of the fort is missing and does not correspond to the structures of old constructions. Walls and towers are ruined so that the original plan cannot be read.

In the arrays of remains of old building are used roughly elaborated flattened squares. Outside of the old structural balances, the outer surface of the exposed surface is used. The inner parts are filled with mortar and stone mixing, lined up. It resembles to the shape of Petra-Tsikhisdziri walls, dated to the 6th century AD and located at southwestern Georgia, close to Batumi. Seems that the fort was constructed to early Byzantine period.

Despite the headland being surrounded by the sea from three sides, it is still bordered by high walls. The old remains of the walls were taken into account during the “restoration” and new walls were made according to the remains; and the whole plan was restored. Due to the lack of original

walls and covering big portion of the walls during the restoration, we cannot say anything about its description and characterization. Different functional types of buildings are observed in the inner area of the fort. Walls are destroyed down to foundation level. On the northwest side of the fort, large size water reservoir was constructed, which was a pithos shaped instalment. On the eastern side from this point, they curved a path to the seaside; the staircases of this path still exists and is well preserved to this day.

To the southeast corner of the fortification there is also confirmed cascade, which is engraved in rock. There should be a wine cellar. Moreover, three walls (except of the east one) of wine press (stone utensil used for grape-crushing) are quite well preserved. The rest is covered with underbrush/thorn bird.

According to the remains of the fort it seems that there were built square shaped towers in various sides which were hauled forward from the fence.

It is interesting, that rocky coastline of the sea in the extreme east section of the fort is survived hitherto. In the extreme western section of the rocky massive were observed quite deep cuts (four pieces) of elongated rectangular plan, engraved in rock. It should be used for fish drying or for other purposes. Far away from them to the south, a huge water reservoir has been engraved, northwest side of which is additionally built up. Probably, the reservoir was concealed with that wall. To the right of the fort's entrance, towers of semi-circle and rectangular plan are preserved, thoroughly guarding access road to the fort from the land, width of which is 7-8 m.

Among military architectural monuments preserved in the hinterland especially significant are:

Kurum Kale - the shortest summer route laid from Trabzon to the East; this important highway was controlled by the castle, built on the highest point of the Kolat Mountains. Kolat has been identified by researchers as a door to Pontus, antique Pylae, Bylae. This is where the remains of the Roman castellum was found, being the only one between Satala and Trabzon roads. This gate was particularly important and is known as Baghdad, Silk and Caravan Roads (Mitford, 2018: 370).

